სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 24 ივნისი 2000 №119 (1141) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილები მწვანე სამოთხიდან

პირდაპირ „სარბიელში“

ORSHABATHIDAN, ორი კვირით, ლონდონი მსოფლიოს საჩოგბურთო დედაქალაქი გახდება — სეზონის მესამე, პრესტიჟით კი პირველი დიდი სლემის ტურნირი, უიმბლდონი დაიწყება.

„ოლ ინგლენდ კლაბის“ ნასათუთევ ხასხასა ბალახს მწვანეებსა და სახელ-დიდებაზე მონადირენი გადათელავენ, ტურნირის ბოლოს კი ორი იღბლიანი თვით ინგლისის სამეფო ოჯახის წევრის ხელიდან მიიღებს მთავარ ჯილდოს.

ძველი და კონსერვატორული ტრადიციები ისევ პატივშია: სასტიკად ისჯება სიცილ-ხითხითი მატჩისას და, რაღა თქმა უნდა, ჭრელა-ჭრულა სამოსი — უიმბლდონზე ყველა ჩოგბურთელს თეთრი უნდა ემოსოს.

დიდი სპორტიდან უდროოდ წასული შტეფი გრაფის გარდა ფავორიტებიც უცვლელნი არიან — ექვსგზის ჩემპიონი პიტ სამპრასი, შარშანდელი გამარჯვებული ლინდსი დევენპორტი, მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი და ანდრე აგასი.

თუმცა წლევანდელი ტურნირი მაინც ბევრითაა გამორჩეული და განსხვავებული. ჩვენთვის იმითაც, რომ მას „სარბიელის“ საჩოგბურთო მიმოშხილველი ავთანდილ სვანიძე დაესწრება და საკუთრივ ნანახ-განცდილს უიმბლდონურ რეპორტაჟებად გაახლებთ.



პიტ სამპრასი

ესპანელებმა ცუდად დაიწყეს, უკეთ გააგრძელეს და ფრანგებთან მეოთხედფინალიც ვნახოთ...

UEFA EURO 2000

ფესტივალი გრძელდება

ფეხბურთი კურორტზეა. დასასვენებლად სამხრეთი ირჩია

ილია გაბუნაშვილი

ბრიუსელიდან

ფრთხილად, 1984 წელი. სილამაზის კონკურსში შენ სერიოზული კონკურენტი გამოგიჩნდა. მართალია, შენ გყავდა მიშელ პლატინის და ჟან ტიგანას საფრანგეთი, პრეგენ ელკიაერის დანია, საუცხო ესპანეთი და პორტუგალია, მაგრამ 2000 წელს ზინედინ ზიდანის საფრანგეთი ჭყავს, რაულის, შენდიეტას და გვარდიოლას ესპანეთი, დე ბურების და კლუივერტის ჰოლანდია, ჩინებული იტალია, აქვს უამრავი სიურპრიზი და... მან ჩაატარა სუნთქვისშემკვრელი შეხვედრა ესპანეთი — იუგოსლავია.

იხილეთ მეორე გვერდი

წითელი ვარსკვლავი ისევ დაგვნათის

საქართველოს ჩემპიონ „ტორპედოს“ იუგოსლავიის ჩემპიონი „ცრვენა ზვეზდა“ ერგო

ცოტას თუ ეპარება ეჭვი, რომ ქუთაისის „ტორპედოს“ მეტოქე ჩემპიონთა თასის მეორე შესარჩევ ეტაპზე ფარერული „კლაკსვიკარის“ და იუგოსლავიური „ცრვენა ზვეზდას“ წყვილიდან სწორედ ეს უკანასკნელი იქნება.

1991 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელი „ცრვენა ზვეზდა“ ჩვენ მწარედაც გვახსოვს: სწორედ ის იყო, 1998 წელს უეფას თასის პირველ ეტაპზე ფოთის „კოლხეთი“ 4:0, 7:0 რომ გაგვინადგურა.

ვიცე-ჩემპიონ თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ მეტოქე ისრაელის თასის მფლობელი იერუსალიმის „ბეითარია“.

საქართველოს თასის მფლობელი თბილისის „ლოკომოტივი“ კი 1969 წლის თასების თასის მომგებ სლოვაკურ ბრატისლავის „სლოვანს“ გაეჯიბრება.

ასეთია ფენევის სასტუმრო „ნოვა ჰილტონში“ გუშინ გამართული ჩემპიონთა და უეფას თასების წილისყრის შედეგები.

წილისყრის სრული შედეგები და ჩვენებურთა მეტოქეების წარდგენა იხილეთ მერვე მეცხრე გვერდებზე

REUTERS ფოტოებიდან

უეფას ვიცე-პრეზიდენტი სენენ ერზიკი (მარჯვნივ) და ჟან ფურნე ფაიარდი გუშინდელი წილისყრისას

ფესტივალი გრძელდება

ვიწროვდება შესაძლო ლაურეატთა წრე

ილია გაგუნაშვილი
ბრიუსელიდან

ევრო 2000-ის 24 თამაში უკვე ისტორიაა, მაგრამ, აბა, დაასახელეთ თუნდაც ერთი საფეხბურთო სეირი, რომელიც ამ 24 თამაშს გამორჩა. დაძაბული მატჩები, ნაირნაირი გოლები, ფინტები, პასები, მეკარეთა ოსტატობა, რაინდობა, მზაკვრობა, მოედანზე გადამხტარი შლეგი გულშემატკივარი, სათუო თუ უეჭველი პენალტი, მსაჯის ტრავმა, მოთამაშის გაძევება, ქომაგთა ერთობლივი ზეიმი და ქალაქების ლეწვა, წინათა ჩამორჩენა და უკანათა დაწინაურება, ვარსკვლავთა ვარსკვლავობა და ახალთა აღმოჩენა... რამე ხომ არ გამომრჩა? თუ გამომრჩა, გთხოვთ, თავად დაამატოთ, მე კი ჩემი მხრივ დავძენ, რომ გაფრანგებული იაპონელებიც კი ვნახე, მაგრამ ამას ფეხბურთთან მხოლოდ ირიბი შეხება აქვს, ანუ მე ევრო 2000-ზე ბრიუსელში ჩამოვედი, ისინი კი აქ ცხოვრობენ. ეს არის და ეს.

ზემოთ ნახსენებ 24 შეხვედრას 794 850 მაყურებელი დასწრება, რაც იმას ნიშნავს, რომ გაყიდული ბილეთების რაოდენობამ მხოლოდ შვიდ შემთხვევაში ვერ გადაამეტა 90 პროცენტს. საშუალო მაჩვენებელი კი 94 პროცენტი გახლავთ. კაცმა რომ თქვას, იმ შვიდი მატჩის ამბავიც გასაგებია, რადგან აქედან სამი სლოვენთა მონაწილეობით იყო, სლოვენია კი ჯერ არ გახლავთ ისე განვითარებული ქვეყანა, რომ ბელგიაში ათეულობით ათასი გულშემატკივრის გასაშვები ხელფასები გადაიხადოს. კიდევ ერთი, შედარებით უმაყურებლო მატჩი გამოდგა დანია — ჩეხეთი, D ჯგუფის მესამე ტურის შეხვედრა, იმჟამად უკვე გავარდნილ ორ გუნდს შორის.

ზემოთ ნახსენებ 24 თამაშში 65 გოლი გავიდა, ანუ საშუალოდ 2,7 ერთ მატჩში. როგორია? ფაქტობრივად, მაყურებელი ყოველ შეხვედრაში სამი გოლის მოწმეა.

„ჯერჯერობით საუცხოო შეჯიბრებაა. გუნდები შემტევ ფეხბურთს თამაშობენ, უამრავი გოლი გააქვთ და მხოლოდ ორჯერ დასცილდნენ ერთმანეთს ისე, რომ ბურთი კარში ვერ შეავდეს“ — ამბობს საფრანგეთის ნაკრების ყოფილი და ინგლისური „ლივერპულის“ მოქმედი მწვრთნელი ჟერარ ულიე.

და კიდევ ერთი საკითხი, რომელმაც ჯგუფური ეტაპის დამთავრების შემდეგ წამოჰყო თავი. ამ საკითხს ჩვენ გუშინაც შევეხეთ, დღესაც გავიმეორებთ და მასზე, ალბათ, კიდევ დიდხანს იქნება ლაპარაკი. აქაურ ტელეარხებში ამაზე ბჭობს ყველა, გადაცემის წამყვანი, მწვრთნელი თუ მიწვეული მომღერალი, რომელსაც მხოლოდ სამ-ხუთწუთიანი საქმე აქვს — უნდა იმღეროს და წავიდეს. საკითხი ესაა: რატომ გავიდნენ მეოთხედფინალში ფაქტობრივად მხოლოდ ლათინური ფეხბურთის მიმდევარი გუნდები? ერთადერთი ჩრდილოელი შეჯიბრებას ჰოლანდიაღა შემორჩა.

ამ კითხვაზე პასუხის გაცემას დრო სჭირდება, მანამდე კი ევრო 2000 უნდა ჩამთავრდეს. დღეს და ხვალ მეოთხედფინალებია.

ჯერ „ამსტერდამ არენაზე“ თურქეთი პორტუგალიას უნდა შეხვდეს. ეს მატჩი ადგილობრივი დროით 18, ჩვენით კი 21 საათზე დაიწყება.

მას მერე, რაც „გალათასარაიმ“ უეფას თასი მოიგო, ევროპაში თურქებს ანგარიშგასაწევ ძალად მიიჩნევენ და სპორტული კომენტატორებიც შეძლებისდაგვარად ცდილობენ ჰაქან შუქურის გვარის ხშირად და სწორად წარმოთქმას, ოღონდ ზოგი შუქურს ამბობს, ზოგიც სუკურს. ერთხელ სულაც სუკერი მოვისმინე, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს. მთავარი ხომ თავად შუქურისთვისაც, ნახევარფინალში გასვლაა.

თურქთაგან განსხვავებით, „ბებერი კონტინენტის“ მასმედია შედარებით უყურადღებოდ ეპყრობოდა პორტუგალიელებს, მაგრამ უმბერტუ კოელიუს ფეხბურთელებმა ბევრი უცხოელი ჟურნალისტი აიძულეს მათ პრესკონფერენციაზე მისულიყო და პრესასთან თავიანთი შეხვედრები ეროვნულიდან საერთაშორისოდ აქციეს.

მეოთხედფინალის წინ კოელიუმ განაცხადა, რომ გერმანელებთან ტრიუმფალური შეხვედრისგან განსხვავებით თურქეთთან მატჩი თავიდან ბოლომდე ტაქტიკური ხასიათისა იქნება:

„ისინი თავს ჩინებულად იცავენ და მოწინააღმდეგეს ნახევარდაცვაშივე უჭერენ მარწუხებს. ამრიგად, ძალიან მჭიდრო ბრძოლას ველით. გერმანიასთან სხვა იყო, თავი ქუდში გვქონდა და ერთადერთი, რაზეც ვფიქრობდით, ბურთაობით სიამოვნების მიღება გახლდათ. თანაც სათამაშო სისტემა ერთნაირი გვაქვს. ცხადია, მხოლოდ ტექნიკაზე დაყრდნობა არაფრით შეიძლება, თორემ თურქები სწრაფი კონტრშეტევებით დაგვსჯიან.“

შემდეგ პორტუგალიელებმა ილაპარაკეს იმაზე, რომ გერმანიასთან 3:0 მოგება თავში არ უნდა აუვარდეთ და რომ იმ დღეს სულაც არ უთამაშიათ სათადარიგო შემადგენლობით, რადგან სათადარიგო შემადგენლობა არ ჰყავთ — ყველა ძირითადის წევრია. მოდით, ეს განცხადება ნაწილობრივ ავტოტრენინგად, ნაწილობრივ კი დიპლომატიად ჩამოვართვათ და ჩვენი საქმე განვაგრძოთ.

დღეს, ადგილობრივი დროით 20.45-ზე, თბილისურად კი 23.45-ზე, ბრიუსელის „მეფე ბოდუენზე“ რუმინეთი — იტალიაა.

„სკუადრა აძურას“ თავკაცს, დინო ძოფს წესად აქვს, თამაშამდე ორი დღით ადრე თავის ფეხბურთელებს ორ გუნდად ყოფს და ათამაშებს. ამ ორი გუნდიდან ერთი მომავალი სასტარტო შემადგენლობაა ხოლმე. ერთი სიტყვით, მართალია, ოფიციალურად ჯერ არაფერი ვიცით, მაგრამ იტალიელთა თეორიულად პირველი გუნდის დასახელება შეგვიძლია: ტოლდო, კანავარო, ნესტა, იულიანო, მალდინი, ძამბროტა, დი ბიაჯო, ალბერტინი, ფიორე, დელ პიერო, ინძაგი.

მაშ ასე, დელ პიერო აქეთ, ტოტი კი იქით, მეორეში. თამაში 1:1 დამთავრდა, ძირითადთაგან ფიორემ გაიტანა, რეზერვისტთაგან... ტოტიმ, ოღონდ პენალტით.

REUTERS გრიმბერგენიდან

გეორგე ჰაჯიმ სადალაქოში შეიარა და... დისკვალიფიკაციამოხდილი სასჯელმოხდილს დაემსგავსა

რაც შეეხებათ დი ბიაჯოს და დი ლივიოს, იტალიელთა ექიმის, ანდრეა ვერეტის ძალისხმევით მათ ტრავმები მოიშუშეს და ჩვეულებრივი დატვირთვით ვარჯიშობენ.

რუმინელთა ბანაკიდან რაიმე განსაკუთრებული ცნობა არ არის. სავარაუდოდ, „მეფე ბოდუენზე“ ვიხილავთ როგორც დისკვალიფიკაციამოხდილ ბებერ ვარსკვლავს გეორგე ჰაჯის, ასევე ახალგაზრდა კრისტიან კივუს, რომელმაც ევროსაზოგადოებას თავი კარგად გააცნო.

ამით შაბათი ამოიწურება და გათენდება კვირა, 18 საათზე (თბილისში 21) ჰოლანდია — იუგოსლავიით, 20.45-ზე (23.45) კი ესპანეთ — საფრანგეთით. პირველი შეხვედრა როტერდამშია, „ფეიენორდის“ სტადიონზე, მეორე — ბრიუგეში, „ჟან ბრეიდელზე“.

ჰოლანდია — იუგოსლავიისა რა გითხრათ, მასპინძლები ჩინებულ განწყობაზე არიან და ყოველ საღამოს ტელეგადაცემა „ნარინჯის კლუბში“ გამოდიან. ეს „ნარინჯის კლუბი“ ძალიან ნარინჯისფერი გადაცემაა, ფრიად ენერგიული და, როგორც ჩანს, სხარტად მოაზროვნე წამყვანით, სტუდიაში შეკრებილი, ნაკრების მაისურიანი ხალხით და სტუმრებით, რომლებიც ან რაიმე თემას არჩევენ, ანდა მღერიან. ვგონებ, ამ შოუს ერთადერთი ნაკლი ის უნდა იყოს, რომ ჰოლანდიურადაა, თუმცა, მგონი, ტვეი და დრი რომ ორი და სამია, უკვე გავიგე.

უხასიათობას არც იუგოსლავიელები უნდა უჩიოდნენ. მეოთხედფინალის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე მწვრთნელი, ვუიადინ ბოშკოვი და ფეხბურთელები ერთობ რიხიანად ლაპარაკობდნენ ყველაფერზე, დეიან გოვედარიცამ კი ჩვენს, ზემონახსენებ „ნარინჯის კლუბს“ ერთობ თავაზიანად ჰოლანდიურით მისცა ინტერვიუ.

საერთოდ, ევრო 2000-ზე ფეხბურთელები აშკარა პოლიგლოტობითა და დალაგებული, სწრაფი საუბრით გამოირჩევიან, ყოველგვარი „ეეე“-ს, „უუუ“-ს და „ისა, რა ქვია“-ს გარეშე. მათ მშობლიურ ენაზე საუბარი არ უჭირთ (!) და ხშირად ამა თუ იმ საკითხზე საკუთარი აზრი აქვთ. მაგალითად, არცთუ იშვიათად გაიგებთ „მწვრთნელმა ასე კი თქვა, მაგრამ...“ და ამის გამო, ჰოი საოცრებავ, მერე არ ჩხუბობენ.

აი, საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი, როჟე ლემერი კი ფრანგულ მედიასთან გაბუტულია და ერთი შეხვედრისას უთხრა კიდეც, უეფას რეგლამენტი რომ არა, თქვენთან სალაპარაკოდ სულ არ მოვიდოდიო. ლემერს, თურმე, ფრანგ ჟურნალისტთა გადამეტებული კრიტიკა აღიზიანებს. თქვენი ნებართვით, აქ კოლეგიალობას დავარღვევ და გავოცდები, მსოფლიოს ჩემპიონი და ევროპის პირველობის მეოთხედფინალისტი გუნდი მყავდეს და... ამიტომ, ლამის შპიცბერგენის და ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის ნაკრებებთან დამარცხებული ბუტია მწვრთნელებისგან განსხვავებით, ლემერისა, ასე განსაჯეთ, უფრო მესმის.

მაგრამ ფრანგთა მწვრთნელს და მის გუნდს ოდენ მეოთხედფინალისტობა არ აკმაყოფილებთ, ოღონდ ნახევარფინალში გასასვლელად ესპანელთა დამარცხება სჭირდებათ.

საფრანგეთის ვინაობა და რაობა კარგადაა ცნობილი, მსოფლიოს ჩემპიონთა დღევანდელ გუნდს უკვე რამდენიმე წელიწადია ვუყურებთ, აი, ესპანეთი კი, ამ ქვეყნის კლუბების აღმასვლის ფონზე იმთავითვე დიდ ინტერესს იწვევდა. ევრო 2000-ზე ხოსე ანტონიო კამაჩოს გუნდი პირველ და მეორე შეხვედრებში ტელევიზიით ვიხილე, მესამე მატჩი, იუგოსლავიასთან კი, ჩემდა ბედად, ცოცხლად ვნახე და პირველი, რაც დასაწყისშივე თვალში მეცა, ფეხბურთელთა ტექნიკა გახლდათ. მერწმუნეთ, ამის უშუალოდ ნახვა სულ სხვაა, სრულყოფილია და ძალიან დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. აღსანიშნავია ესპანელთა პროგრესიც — პირველი და მესამე მატჩების შედარება ხომ, არც მეტი, არც ნაკლები, მკრეხელობაა და ვინძლო ეს აღმასვლა გაგრძელდეს.

და თუ კამაჩომ მენდიეტა დაცვაში არ დაწია ან კარში არ ჩაყენა (ხუმრობ), მსოფლიოს ჩემპიონებს ძალიან, ძალიან სერიოზული გამოცდა ელით. მათ კვირას უნდა დაამტკიცონ, რომ პირველ და მეორე ტურებში დანიელებს და ჩეხებს მართლა ძალთა დაზოგვით მოუგეს, თორემ გამოდის, რომ მეტი არ შეძლებიათ და მხოლოდ მოწინააღმდეგის სისუსტის ან იღბლის წყალობით გაუმარჯვიათ.

ვნახოთ, მეოთხედფინალი დღეს და ხვალეო, ნათქვამია.

ფრანკ რაიკარდი: ჰიქა ღვინო მეოთხედფინალის წინ ოპტიმიზმის ნიშანია

სიახლე!

პირველად საქართველოში!

რადიო „ევრიკა“ გთავაზობთ
პროექტს „ევრო 2000“

RADIO EVRIKA 100.3 FM
ყველაზე პიცჭის ტალღა

გადაცემაში „ევრო 2000“ თქვენ თამაშების წინ მოისმენთ:

- ცოტაოდენი რამ ევროპის ჩემპიონატის ისტორიიდან
- ინფორმაცია ფეხბურთელთა პირადი ცხოვრებიდან
- კურიოზები და ანეკდოტები ფეხბურთზე
- სტატისტიკური ცნობები ევროპის ჩემპიონატის შესახებ
- გასული თამაშის მიმოხილვა
- საუბარი იმ გუნდების შესახებ, რომელთა თამაშიც არის იმ დღეს, ხოლო გადაცემის ბოლოს მიიღებთ მონაწილეობას საინტერესო ვიქტორინაში.

გენერალური პრიზის მომწოდებელი — ტურისტული ფირმა „აფრა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოლი იქნება, იოლი არ იქნება

პორტუგალიელებმა და თურქებმა „ამსტერდამ არენა“ დაინდეს

REUTERS როტერდამიდან

ჟოაუ პინტუ, ზა პინტუ და ფიგუ გუშინდელ ვარჯიშზე

„ჩემპიონობის მოპოვების ასეთი კარგი შანსი არასდროს გვქონია“, „თითოეული ფეხბურთელი მხოლოდ თასზე ფიქრობს“, „გვჯეროდა, რომ ჯგუფში სამივე თამაშის მოგებას შევძლებდით“ — ეს სიტყვები პორტუგალიელებმა მეოთხედფინალური მატჩის წინ თქვეს. დავეთანხმოთ ამ მოსაზრებებს თუ არა? კი, რა თქმა უნდა, იყო ინგლისთან საოცრად შეტრიალებული თამაში, რუმინეთთან ბოლო წამზე გასროლა, მეორე შემადგენლობით გერმანელთა პირველის ძლევაც, მაგრამ ჩემპიონობაზე საუბარი ცოტა ნაადრევი ხომ არ არის? ნახევარფინალი და ფინალი იქით იყოს, ჯერ ხომ თურქული ბარიერია გადასალახი? თურქები კი... თურქებმა ამ სეზონში გაგვაოცეს. საკლუბო დონეზე „მილანით“ დაიწყეს და „არსენალით“ დაამთავრეს. ევროზეც მათივის განსაზღვრულ ჯგუფში ბოლო ადგილის ნაცვლად მეორეს შესწვდნენ (თან ვერავინ იტყვის, დაუმსახურებლადო) და აგერ, სად ამოყვეს თავი. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ პორტუგალიელთა ზემოთ მოყვანილი განცხადებები უფრო სურვილია, ვიდრე მყარი რწმენა. მათი სხვა გამონათქვამებიც ამას მოწმობს. აკი სპორტინგელი მცველი რუი ჟორჟეც ამბობს: „თურქებთან ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. უკანმოუხედავად შეტევაში წასვლა სისულელე იქნება. საკუთარი კარის დაცვას დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ. შანსები? ალბათ, ორმოცდაათი ორმოცდაათზე“.

REUTERS როტერდამიდან

უმბერტუ კოელიუს საფიქრალს რა გამოულევს

რუი ჟორჟე ფრთხილობს, მაგრამ გერმანელებთან მატჩისგან განსხვავებით, დღეს ის მინდორზე არ გავა. ამიტომ ყურადღების გამოჩენა მის თანაგუნდელებს მოუწევთ.

პორტუგალიელთა სათურქეთო შემადგენლობა ისეთივეა, როგორიც რუმინეთთან შეხვედრაში იყო. თუმცა აღსანიშნავია, რომ დაცვის მარცხენა ფლანგზე კარლოს სეკრეტარიუმ აბელ შავიერის ადგილი მხოლოდ ამ უკანასკნელის მცირედი დაშავების მერე მიიღო. კარის დაცვა ისევ ვიტორ ბაიას დაეკისრება, ვინაც გერმანიასთან ეს მოვალეობა პედრო ეშპინიას და ბოლო ორი წუთი ბრაგელ კიმს გადააბარა. საინტერესოა, რომ უმბერტუ კოელიუ ერთადერთი მწვრთნელია, რომელმაც სამივე მეკარე საქმეში გამოსცადა (სხვა ნაკრებთა მესამე მეკარეები ამ პატივს, ალბათ, ვერ ეღირსებიან).

ისე, პორტუგალიელთა რიგებში მხოლოდ ორმა ფეხბურთელმა ჩაატარა სრულად წინა სამი შეხვედრა. ესენი ლაციოელი მცველი ფერნანდუ კოუტუ და ასევე მცველი, ოღონდ პორტუელი ჟორჟე კოშტა არიან. რა გასაკვირია, რომ კოელიუ მათ დღესაც ენდობა.

ნაკრებში სხვა ორი ფეხბურთელია, რომლებმაც სამივე წინა მატჩში ითამაშეს, ოღონდ თითოჯერ შეცვლაზე შევიდნენ. სპორტინგელ ჟოზე ვიდიგალსა და ბენფიკელ ნუნუ გომეშზე მოგახსენებთ.

დღეს კვლავ მინდორზე იქნებიან დასვენებული და ენერგიაალდგენილი დიმაში (რომლის პატარა თანაგუნდელებმა ბელგიური „სტანდარდიდან“ რამდენიმე დღის წინ ჩვენს „დინამოს“ ფეხბურთის გაკვეთილი ჩაუტარეს), გუნდის სული და გული ლუიშ ფიგუ, ამ უკანასკნელის მეწყვილე და ჩინებულად მოთამაშე რუი კოშტა, და ბენფიკელი თავდამსხმელი ჟოაუ პინტუ ჰეთ-თრიქის გამხერხებელი სერჟიუ კონსეისაუ სად არისო, იკითხავთ. ის კვლავაც სათადარიგოთა სკამს დაუბრუნდა და თუ უმბერტუ კოელიუმ თავის ჩვეულებას არ ულალატა, მეორე ტაიმში პინტუს ნაცვლად უნდა გამოჩნდეს. შეგახსენებთ, ინგლისთან და რუმინეთთან შეხვედრებში სწორედ ასე იყო.

აი, ასეთია პორტუგალიელთა სავარაუდო სასტარტო შემადგენლობა, თუმცა გარკვეული ეჭვის საბაბს კარლოს სეკრეტარიუს მცირედი ტრავმა იძლევა. მაგრამ რაკი შემადგენლობაში მოხსენიებულია, ალბათ, მომჯობინდა. და ერთი რეკორდიც — პორტუგალიის ნაკრებში არ დარჩენილა ფეხბურთელი, ევროპის ჩემპიონატზე თუნდაც რამდენიმე წუთი რომ არ ეთამაშოს.

თურქთა ნაკრები ჯგუფიდან პორტუგალიელთა მსგავსი ტრიუმფით არ გასულა, მათი ბედი ბოლო შეხვედრამ გაარკვია. ამიტომ მუსტაფა დენიზლის ძირითადი ფეხბურთელების დასვენების საშუალება არ მისცემია. სამეოთხედფინალო სავარაუდო შემადგენლობაში მხოლოდ სამი მოთამაშეა, ვისაც სამივე მატჩში მონაწილეობა არ მიუღია. ფენერბაჰჩელმა აბდულა ერკანმა შვედეთთან თამაში გამოტოვა, უეფას თასის მფლობელმა სუათ კაიამ იტალიასთან შეხვედრაში დაისვენა, ხოლო ბეშიქთაშელმა ტაიფურმა — აბდულას მსგავსად შვედეთთან.

პორტუგალიელთაგან განსხვავებით, რომელთაც შეუცვლელი მხოლოდ ორი მოთამაშე ჰყავთ, თურქეთის ნაკრებში ასეთი ოთხია: მეკარე რუშთუ რექბერი, მისი თანაგუნდელი „ფენერბაჰჩედან“ ალფაი ოზალინი და ორიც გალათასარაელი — ჰაქან შუქური და ფათიჰ აკიელი. სავარაუდო სასტარტო შემადგენლობის სხვა ფეხბურთელებმა წინა სამივე მატჩი ჩაატარეს, მაგრამ ხან ნაადრევად ტოვებდნენ მინდორს, ხან კი თავად ცვლიდნენ სხვებს.

ცალკე უნდა ითქვას თუგაიზე. მისი ამბავი ადრეც გაუწყეთ და მოკლედ გავიმეოროთ. ვერა და ვერ დაიმკვიდრა რეინჯერსელმა სასტარტო შემადგენლობაში ადგილი. იტალიასთან მხოლოდ ბოლო თოთხმეტი წუთი ითამაშა, შვედებთანაც მეორე ტაიმში შევიდა შეცვლაზე. ბელგიასთან იმედი მიეცა — თავიდანვე მინდორზე იყო, მაგრამ რად გინდა, 37-ე წუთზე მუსტაფა დენიზლიმ ტაიფურს მისი შეცვლა დაავალა. ჰოდა, გაბრაზდა თუგაი, მწვრთნელს უთხრა, ჩემი ან მინდორზე შეშვება რაა და ან გამოყვანო. დენიზლიმ პასუხად ბილეთი აუღო და შინ გაუშვა.

ბოლოს კი დღევანდელ შეხვედრაზე სხვა ორ ამბავსაც მოგახსენებთ.

წესია, მატჩის წინადღეს გუნდებს სტადიონზე ვარჯიშის უფლება ეძლევათ, რათა მოედანს შეეჩვიონ. გამონაკლისი, ცხადია, არც თურქეთ-პორტუგალიის წყვილი იქნებოდა. მათ შესთავაზეს, „ამსტერდამ არენა“ თქვენთვის დაგვითმიაო, მეტოქეებმა კი ერთხმად უარი თქვეს. მიზეზს პორტუგალიელთა ბანაკის წარმომადგენელი ჟოზე ფრეიტაში განმარტავს: „ვარჯიშისას ბალახი გაფუჭდება. ჩვენ კი გვსურს, მინდორი იდეალურ მდგომარეობაში იყოს“.

პორტუგალია — თურქეთის შეხვედრას ჰოლანდიელი არბიტრი დიკ იოლი მოემსახურება, თუმცა საეჭვოა, რომელიმე გუნდმა თამაში იოლად მოიგოს.

გიორგი დარჯანია

მუსტაფა დენიზლი

ურთიერთშეხვედრები

პორტუგალია	5	თურქეთი	
4	მოგება		1
0	ფრე		0
1	წაგება		4
11	ბურთები		5
18.12.55	სტამბოლი	ა.მ.	1:3
25.03.56	ლისაბონი	ა.მ.	3:1
24.01.65	ლისაბონი	მ.ჩ.შ.	5:1
19.04.65	ანკარა	მ.ჩ.შ.	1:0
14.06.96	ნოტინგემი	ე.ჩ.	1:0

საავარაუდო შემადგენლობები

პორტუგალია

			ა	წ	თ	გ	თე	გე
1	ვიტორ ბაია	პორტუ	მკ	30	72	0	2	0
20	კარლუშ სეკრეტარიუ	პორტუ	მც	30	30	1	1	0
2	ჟორჟე კოშტა	პორტუ	მც	28	29	0	3	0
5	ფერნანდუ კოუტუ	ლაციო	მც	30	64	6	3	0
13	მანუელ დიმაში	სტანდარდი	მც	31	35	0	2	0
7	ლუიშ ფიგუ	ბარსელონა	ნახ	27	63	15	2	1
4	ჟოზე ვიდიგალი	სპორტინგი	ნახ	27	6	0	3	0
17	პაულუ ბენტუ	ოვიედო	ნახ	31	23	0	2	0
10	მანუელ რუი კოშტა	ფიორენტინა	ნახ	28	53	18	2	0
8	ჟოაუ პინტუ	ბენფიკა	თავდ	28	59	19	2	1
21	ნუნუ გომეში	ბენფიკა	თავდ	23	16	1	3	1

თურქეთი

			ა	წ	თ	გ	თე	გე
1	რუშთუ რექბერი	ფენერბაჰჩე	მკ	27	45	0	3	0
5	ალფაი ოზალანი	ფენერბაჰჩე	მც	27	48	1	3	0
3	ოგიუნ თემიზქანოღლუ	ფენერბაჰჩე	მც	30	55	2	3	0
4	ფათიჰ აკიელი	გალათასარაი	მც	22	17	0	3	0
19	აბდულა ერკანი	ფენერბაჰჩე	ნახ	28	54	2	2	0
14	სუათ კაია	გალათასარაი	ნახ	32	9	1	2	0
7	ოკან ბურუქი	გალათასარაი	ნახ	26	13	1	3	1
2	ტაიფურ ჰავუტკუ	ბეშიქთაში	ნახ	30	24	5	2	0
11	ტაიფუნ კორკუტი	ფენერბაჰჩე	ნახ	26	26	0	3	0
6	არიფ ერდემი	გალათასარაი	თავდ	26	37	6	3	0
9	ჰაქან შუქური	გალათასარაი	თავდ	28	55	28	3	2

ა — ამბავი, წ — წყვეტილება, თ — თამაში, გ — გოლი, თე — თამაში ევრო 2000-ზე, გე — გოლი ევრო 2000-ზე

მეოთხედფინალი. 24 ივნისი. 23[45]

რუმინეთი — იტალია

ბრიუსელი. „მეფე ბოდუენი“. მსაჯი: მელო პერეირა (პორტუგალია)

REUTERS ვრიმბერგენიდან

ემერიხ იენეი: ყველაფერი რიგზეა!

რუმინელებმა დინო ძოფი მოატყუეს

ემერიხ იენეის არითმეტიკა: გეორგე ჰაჯი პლუს რუმინეთი ორი რუმინეთია

იტალიელებს სასეირო რამ დაემართათ. მოგეხსენებათ, B ჯგუფში თამაშები სხვებზე ადრე დასრულდა და იტალიელები A ჯგუფში მეორეადგილოსანი გუნდის — თავისი მომავალი მეტოქის ვინაობის გარკვევას ელოდნენ. სინიორ დინო ძოფმა ბლოკნოტი მოიმარჯვა (ბლოკნოტი განა მარტო ლუის ვან გაალს აქვს) და ინგლისი — რუმინეთის მატჩის ანალიზს მიჰყო ხელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იტალიელი მწვრთნელის დაკვირვებანი კევინ კიგანის ტაქტიკურ სქემას და ამგვარ რამეებს შეეხებოდა. ძოფი რუმინელთა თამაშით ნაკლებად დაინტერესდა — მომავალ მეტოქედ ინგლისი ეგულებოდა. ფრანჩესკო ტოლდომაც აღიარა, ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ მეოთხედფინალში რუმინელებთან თამაში მოგვიხდებოდა, საინგლისოდ ვემზადებოდითო.

იტალიელთათვის რუმინელთა ჯგუფიდან გასვლა მოულოდნელი გახლდათ, მაგრამ საინტერესო სხვა რამ არის, ეს სასიამოვნო მოულოდნელობა იყო, თუ — პირიქით? ისევ ფრანჩესკო ტოლდო: „არა მგონია, ჩვენთვის ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს. ცხადია, ინგლისი უფრო სახიფათოდ ჟღერს, ვიდრე რუმინეთი, განსხვავებულ ფეხბურთსაც თამაშობენ, მაგრამ ძალით კი არ ჩამოუვარდებიან. ისე, ჩვენ და რუმინელებს ერთნაირი სტილი გვაქვს — სწრაფი და აგრესიული. ახლა მთავარია, მათ ჩვენი თამაში მოვახვიოთ თავს“.

იტალიელები დღევანდელ შეხვედრას ისევე დაიწყებენ, როგორც პირველ ტურში, თურქეთის წინააღმდეგ. კარში მათი უცვლელი მეკარე და ზემოთ მოყვანილი გამონათქვამების ავტორი ფრანჩესკო ტოლდო ჩადგება. დაცვის ხაზს მარცხნიდან მათი კაპიტანი პაოლო მალდინი გააკონტროლებს, ცენტრში მეორე კაპიტანი, ოლონდ მხოლოდ თავის კლუბისა, ალესანდრო ნესტა გამაგრდება, მარჯვნივ კი ფაბიო კანავარო ითამაშებს. ეს სამეული აქამდე თითქმის უშეცდომოდ ირჯებოდა, მაგრამ ამჯობინებენ, თავიანთი დამსახურება ნახევარმცველებსაც გაუნაწილონ. აქ კი საყრდენად მილანელი დემეტრიო ალბერტინი იქნება, ცენტრში ტურინული წყვილი — ანტონიო კონტე და ჯანლუკა ძამბროტა ითამაშებენ, ფლანგებზე კი სტეფანო ფიორე და ჯანლუკა პესოტო. ბოგდან სტელიას კარს კი ფილიპო ინძაგი და ფრანჩესკო ტოტი შეუტევენ. დავამატოთ, რომ ტოლდოს მსგავსად შეუცვლელი იტალიის ნაკრებში მხოლოდ პაოლო მალდინია. ეს არცაა გასაკვირი, დინო ძოფმა მესამე ტურში, შვედეთთან არაფრისმომტან მატჩში ბლომად სათადარიგო ფეხბურთელები ათამაშა. ასე რომ, მინდორზე გასვლის პატივი იტალიელთაგან მხოლოდ მეორე და მესამე მეკარეებს, რომელ ფრანჩესკო ანტონიოლის და მილანელ კრისტიან აბიატის არ ღირსებიათ.



REUTERS გელიდან

დინო ძოფი მეტოქედ ინგლისს ელოდა, მაგრამ...

იტალიელებს რა ენაღვლებათ, საქმე ისე აქვთ აწყობილი, ალესანდრო დელ პიერო სათადარიგოთა სკამზე უზით. აი, რუმინელთა ბანაკში კი არეულობაა. მათ ერთბაშად ოთხი ფეხბურთელი გამოაკლდათ.

გეორგე პოპესკუმ ინგლისთან შეხვედრაში კუნთი იტკინა და გუნდს ვერც დღეს დაეხმარება და ვერც შემდგომ მატჩებში (ცხადია, თუ რუმინეთი მეოთხედფინალს გასცდა). საერთოდ კი ინგლისთან მატჩმა რუმინელებს სენსაციურ გამარჯვებასთან ერთად სხვა უსიამოვნებებიც მოუტანა. შვეიცარიელმა არბიტრმა ურს მაიერმა იმ თამაშში ხუთი რუმინელი გააფრთხილა და მათგან სამისთვის ეს მეორე ყვითელი ბარათი გამოდგა. ეს უიღბლოები ალავესელი კოსმინ კონტრა, ჩელსელი დან პეტრესკუ და ვალენსიელი ადრიან ილიე გამოდგნენ.

მაგრამ ნუ იფიქრებთ, თითქოს ემერიხ იენეი დანაკარგს ითვლის და უიღბლობაზე წუწუნებს. პირიქით, მეტად იმედისმომცემ განცხადებებს აკეთებს (რუმინელი გულშემატკივრებისთვის). მაგრამ საბაბი? საბაბი გეორგე ჰაჯის დაბრუნება გამხდარა, რომელმაც გერმანიასთან და პორტუგალიასთან მატჩებში მიღებული გაფრთხილებების გამო მიღებული დისკვალიფიკაციის ვადა მოიხადა და დღეს კაპიტნის სამკლავურს მოირგებს. მართალია, პოპესკუ, კონტრა, პეტრესკუ და ილიე არ გვეყოლება, სამაგიეროდ, ჰაჯი ითამაშებს და ეს უბრალო ამბავი არ გეგონოთო — ამბობს რუმინელთა მწვრთნელი. მერე ის უფრო შორსაც მიდის და ზეთამამ განცხადებას აკეთებს, ჰაჯი რუმინეთის ნაკრებს უდრისო. რა გამოდის? რუმინელებს ჰაჯი არ ჰყავდათ და ინგლისს სამი გოლი გაუტანეს, ეს კაციც რომ დაემატებინათ, ვითომ ექვს გოლს გაუტანდნენ? ისე, ქართველებსაც გაგვიხარია, მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩვენი ნაკრები რუმინეთისას (ჰაჯი ნაკრებიდან წასვლას აპირებს) სულ იოლად დაამარცხებს (ინგლისის სუსტ ნაკრებზე უსუსტესი თუ არ გამოვდექით).

თუმცა გეორგე ჰაჯი რაგინდ დიდი ფეხბურთელი იყოს, შემადგენლობიდან ამოვარდნილი ორი მცველის, ერთი ნახევარმცველის და ერთიც თავდამსხმელის საქმეს მარტო ვერ შეეჭიდება. ამიტომაც ემერიხ იენეის გარკვეული ცვლილებების მოხდენა მოუწევს.

კარში რომ ბოგდან სტელია ჩადგება, მტკიცება არ უნდა. ბეტისელი იულიან ფილიპესკუ იტალიელთა შეტევებს მარჯვენა ფლანგიდან მოიგერიებს, აიაქსელი კრისტიან კივუ კი — მარცხნიდან. ამ წყვილს ევროპის ჩემპიონატზე ერთი მატჩიც არ გამოუტოვებია. დისკვალიფიცირებულ კოსმინ კონტრას სტანდარდელი ლივიუ ჩობოტარიუ შეცვლის. ჩობოტარიუმ ამ ტურნირზე პირველ მატჩში ითამაშა, პორტუგალისთან და ინგლისთან კი კონტრამ შემადგენლობიდან ამოაგდო. აი, მეორედ დაბრუნების ჩინებული შანსი.

გეორგე პოპესკუს ტრავმამ კი მიოდრაგ ბელოდედიჩს ახალგაზრდობა გაახსენა. ეს თითქმის მათეუსის ასაკს მიღწეული კაცი რუმინეთის ნაკრებში დაახლოებით იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც მანუელ სანჩისი მადრიდის „რეალში“ — ახალგაზრდებს ახსენებს ხოლმე, რომ რუმინეთში ფეხბურთს ადრეც თამაშობდნენ.

დისკვალიფიცირებული ნახევარმცველის დან პეტრესკუს გვარს ბოლო სამი ასო ჩამოვაშოროთ და მისი შემცვლელის გვარს მივიღებთ. ბუქარესტელმა ფლორენტინ პეტრემ პეტრესკუ პორტუგალიასთან მატჩშიც შეცვალა 64-ე წუთზე, ახლა კი სასტარტო შემადგენლობაში იქნება და ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგს გააკონტროლებს. ამავე ფლანგზე, ოლონდ თავდასხმაში ნაიჯელ მარტინის კარში გამარჯვების გოლის გამტანი იონელ განეა ითამაშებს. ევროპის ჩემპიონატზე პეტრეს მსგავსად განეასთვისაც პირველი მატჩი იქნება სასტარტო შემადგენლობაში. პორტუგალიასთან მან მოლდოვანი შეცვალა, ხოლო ინგლისთან ადრიან ილიე. თავიანთ პოზიციებზე ითამაშებენ კონსტანტინ გალკა და დორინელ მუნტეანუ, ხოლო გეორგე ჰაჯიზე უკვე ვისაუბრეთ.

იტალიისა და რუმინეთის ურთიერთშეხვედრების ისტორიას თუ დავალს გადავავლებთ, აღმოჩენილი, რომ „ჯუადრა აპურას“ დღევანდელი მეტოქე 1980 წლის მერე არ დუმარცხებია. ოცი წელი, დამეთანხმებთ, ძალიან დიდი დროა. ბოლო შეხვედრის ორი მონაწილე კი დღესაც მინდორზე იქნება და ერთმანეთს ხელსაც ჩამოართმევს. კაპიტნებზე — პაოლო მალდინისა და გეორგე ჰაჯიზე მოგახსენებთ.

გიორგი დარჯანია

REUTERS გელიდან

ალესანდრო დელ პიერო პირველი სანაკრებო ტიტულისკენ მიილტვის

ურთიერთშეხვედრები

რუმინეთი		10	იტალია
2	მოგება		6
2	ფრე		2
6	წაგება		2
10	ბურთები		16

18.12.55	სტამბოლი	ა.მ.	1:3
11.06.39	ბუქარესტი	ა.მ.	0:1
14.04.40	რომი	ა.მ.	1:2
26.11.66	ნეაპოლი	ე.ჩ.შ.	1:3
25.06.67	ბუქარესტი	ე.ჩ.შ.	0:1
17.06.72	ბუქარესტი	ა.მ.	3:3
05.06.76	მილანი	ა.მ.	2:4
16.02.80	ნეაპოლი	ა.მ.	1:2
04.12.82	ფლორენცია	ე.ჩ.შ.	0:0
16.04.83	ბუქარესტი	ე.ჩ.შ.	1:0
29.03.89	სიბიუ	ა.მ.	1:0

საკვანძო შემადგენლობები

რუმინეთი

			ა	წ	თ	გ	თე	გე
12	ბოგდან სტელია	სალამანკა	მკ	22	68	0	3	0
4	იულიან ფილიპესკუ	ბეტისი	მც	26	37	1	3	0
3	ლივიუ ჩობოტარიუ	სტანდარდი	მც	29	24	2	1	0
17	მიოდრაგ ბელოდედიჩი	სტიაუა	მც	36	51	5	1	0
13	კრისტიან კივუ	აიაქსი	მც	19	7	1	3	1
14	ფლორენტინ პეტრე	დინამო	ნახ	24	18	2	1	0
8	დორინელ მუნტეანუ	ვოლფსბურგი	ნახ	31	96	11	3	1
5	კონსტანტინ გალკა	ესპანიოლი	ნახ	28	57	4	3	0
10	გეორგე ჰაჯი	გალათასარაი	ნახ	35	124	35	2	0
9	ვიორელ მოლდოვანი	ფენერბაჰჩე	თავდ	27	51	22	3	1
18	იონელ განეა	შტუტგარტი	თავდ	26	15	8	2	1

დისკვალიფიცირებულნი: კოსმინ კონტრა, დან პეტრესკუ, ადრიან ილიე

იტალია

			ა	წ	თ	გ	თე	გე
12	ფრანჩესკო ტოლდო	ფიორენტინა	მკ	28	11	0	3	0
5	ფაბიო კანავარო	პარმა	მც	26	37	0	3	0
13	ალესანდრო ნესტა	ლაციო	მც	24	26	0	3	0
3	პაოლო მალდინი	მილანი	მც	31	108	7	3	0
17	ჯანლუკა ძამბროტა	იუვენტუსი	ნახ	24	8	0	2	0
8	ანტონიო კონტე	იუვენტუსი	ნახ	30	19	2	2	1
11	ჯანლუკა პესოტო	იუვენტუსი	ნახ	29	16	0	2	0
4	დემეტრიო ალბერტინი	მილანი	ნახ	28	69	2	2	0
18	სტეფანო ფიორე	უდინეზე	ნახ	26	6	1	3	1
9	ფილიპო ინძაგი	იუვენტუსი	თავდ	26	23	7	2	1
20	ფრანჩესკო ტოტი	რომა	თავდ	23	14	2	2	1

ა — ამპლუა, წ — წლოვანება, თ — თამაში, გ — გოლი, თე — თამაში ევრო 2000-ზე, გე — გოლი ევრო 2000-ზე.

მეზობელო კარისაო

1984 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალი. საფრანგეთი — ესპანეთი 2:0. მიშელ პლატინის საჯარიმო დარტყმას მეკარე ლუის არკონადას შეცდომა და ესპანელთა კარში გოლი მოჰყვა

1922 წლიდან მოყოლებული, ესპანელები და ფრანგები 26-ედ შეხვდებიან ერთმანეთს. ურთიერთშეხვედრებში მცირედი უპირატესობა პირენეელებს კი აქვთ, მაგრამ ეს მხოლოდ ამხანაგური მატჩების ხარჯზე. ოფიციალურ ტურნირში ესპანეთს ჯერჯერობით ვერ უჯობნია, 1981 წლის მერე კი საერთოდ ვეღარ მოუგია. დაირღვევა ტრადიცია? ისე, საინტერესოა, რომ ამ გუნდების პირველი ოფიციალური შეხვედრა ევროპის ჩემპიონატზე შედგა. 1984 წელს პლატინიმ და კომპანიამ ფინალში ესპანელებს 2:0 სძლიეს და პირველი ტიტულიც მოუპოვეს ფრანგულ ფეხბურთს. ახლა სხვა დროა, მაგრამ...

მეოთხედფინალში ბოლო წამს მოხვედრილი ესპანეთი მშვენიერ ხასიათზეა. მას დასაკარგი არაფერი აქვს, რადგან მსოფლიოს ჩემპიონებს სპეციალისტთა უმრავლესობა ფავორიტებად თვლის. ასე რომ, ფსიქოლოგიურად ფრანგები უფრო შებოჭილნი უნდა იყვნენ. თუმცა ამ ტვირთისგან ისინი, ალბათ, მაინც გათავისუფლდებიან, თუ ორი ნაკრების ძლიერ და სუსტ მხარეებს შეადარებენ. როჟე ლემერის გუნდი აშკარად სჯობს ხოსე ანტონიო კამაჩოსას.

დავიწყოთ უკანა ხაზით. ესპანელთა რომელი მეკარე შეედრება ფაბიენ ბარტეზს? ვერც მოლინა, ვის შეცდომასაც ნორვეგიასთან მარცხი მოჰყვა და ვერც მისი შემცვლელი კანისარესი, ვისაც ორ მატჩში ოთხჯერ გაუტანეს სლავებმა. კასილიასი კი ჯერ კიდევ ფრიად გამოუცდელია და მის დაყენებას არც აპირებს კამაჩო. ფერნანდო იეროს გარშემო აგებული დაცვა ჯგუფურ ტურნირში ბევრჯერ შეცდა. იგი საკმაოდ ნელი და ხანდახან ინერტულია, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ ანრი-ანელკას დუეტის შეჩერება ძლიერ გაუჭირდება. ფრანგების დაცვის ოთხი მუშკეტერი კი ბრწყინვალედ ირჯება. სამი მათგანი შეუცვლელია, ლიზარაზუს კი ბოლო მომენტში შეიძლება კანდელა ამჯობინოს ლემერმა, ისევე როგორც ჩეხეთთან.

ნახევარდაცვაშიც ფრანგებს აქვთ უპირატესობა. ესპანელებს სამი შემტევი ნახევარმცველი (მენდიეტა, ეჩებერია, ვალერონი) კი ეყოლებათ, მაგრამ დეშამპისა და პეტის (ან ვიეირას) ჯებირის გავლა მაინც ძალიან გაუჭირდებათ. ზიდანი და ჯორკაეფი კი, ალბათ გაცილებით იოლად დაძლევენ გვარდიოლას წინააღმდეგობას, რომელიც თავის საუკეთესო ფორმაში ნამდვილად არ არის.

წინ ორივე გუნდს მშვენიერი ტანდემი ჰყავს — რაული და ალფონსო ანრისა და ანელკას წინააღმდეგ. ესპანელთა თავდასხმა უფრო მობილურია და ძნელი შესაჩერებელიც იქნება. ოღონდ პარტნიორებმა მაღალი ბურთებით არ უნდა მოამარაგონ, თორემ მეორე სართულზე ისინი ბლანთან და დესაისთან ვერაფერს გახდებიან. ფრანგებს კი თამამად შეუძლიათ მეტოქის საჯარიმოში ხშირად ჩაანოდონ ბურთი — ანელკა მშვენივრად იყენებს თავის გადაპარსულ თავს.

გადაპარსულ თავზე ჩამოვარდა სიტყვა და გეტყვით, რომ მატჩს იტალიელი პიერ-ლუიჯი კოლინა გაუძღვება.

დაბოლოს, ტრავმების შესახებ: იუგოსლავიასთან მუხლნატკენი მენდიეტა და თავგატეხილი (სამი ნაკერი დაადეს) ფრანი მანამდე დაშავებულ იეროსთან ერთად თითქმის სრულიად გამოჯამრთელდნენ. ფრანგებს კი მხოლოდ პეტი ჰყავთ ტრავმირებული და „ლურჯების“ ექიმის თქმით, კვირისთვის ისიც მწყობრში იქნება.

ასე რომ, გუნდები საბრძოლო შემადგენლობებით ითამაშებენ და დიდ სანახაობასაც ჰპირდებიან მაყურებელს.

გაიოზ თალაკვაძე

მეოთხედფინალი. 25 ივნისი. 23[45]

ესპანეთი — საფრანგეთი



ბრიუგე. „ჟან ბრეიდელი“. მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

ურთიერთშეხვედრები

ესპანეთი 25 საფრანგეთი

10	მოგება	9
6	ფრე	6
9	წაგება	10
48	ბურთები	28

30.04.22	ბორდო	ა.მ.	4:0
28.01.23	სან სებასტიანი	ა.მ.	3:0
22.05.27	პარიზი	ა.მ.	4:1
14.04.29	სარაგოსა	ა.მ.	8:1
23.04.33	პარიზი	ა.მ.	0:1
24.01.35	მადრიდი	ა.მ.	2:0
15.03.42	სევილია	ა.მ.	4:0
19.06.49	პარიზი	ა.მ.	5:1
17.03.55	მადრიდი	ა.მ.	1:2
13.03.58	პარიზი	ა.მ.	2:2
17.12.59	პარიზი	ა.მ.	3:4
02.04.61	მადრიდი	ა.მ.	2:0
10.12.61	პარიზი	ა.მ.	1:1
09.01.63	ბარსელონა	ა.მ.	0:0
17.10.68	ლიონი	ა.მ.	3:1
17.03.71	ვალენსია	ა.მ.	2:2
08.11.78	პარიზი	ა.მ.	0:1
18.02.81	მადრიდი	ა.მ.	1:0
05.10.93	პარიზი	ა.მ.	1:1
27.06.84	პარიზი	ე.ჩ.	0:2
23.03.88	ბორდო	ა.მ.	1:2
20.02.91	პარიზი	ე.ჩ.შ.	1:3
12.10.91	სევილია	ე.ჩ.შ.	1:2
15.06.96	ლიდსი	ე.ჩ.	1:1
28.01.98	სენ დენი	ა.მ.	0:1

საკვარაუდო შემადგენლობები

ესპანეთი

				ა	წ	თ	გ	თე	გე
1	სანტიაგო კანისარესი	ვალენსია	მკ	30	25	0	2	0
2	მიჩელ სალგადო	რეალი	მც	24	16	0	3	0
6	ფერნანდო იერო	რეალი	მც	32	73	23	2	0
5	აბელარდო ფერნანდესი	ბარსელონა	მც	30	47	3	2	0
12	სერხი ბარხუანი	ბარსელონა	მც	28	47	1	1	0
17	ხოსება ეჩებერია	ბილბაო	ნახ	22	29	7	3	1
4	ხოსეპ გვარდიოლა	ბარსელონა	ნახ	29	38	5	3	0
16	გაისკა მენდიეტა	ვალენსია	ნახ	26	16	3	3	1
21	ხუან კარლოს ვალერონი	ატლეტიკო	ნახ	25	15	0	2	0
10	რაულ გონსალესი	რეალი	თავდ	22	34	17	3	1
11	ალფონსო პერესი	ბეტისი	თავდ	27	37	11	3	2

საფრანგეთი

				ა	წ	თ	გ	თე	გე
16	ფაბიენ ბარტეზი	მანჩესტერი	მკ	28	34	0	2	0
15	ლილიან ტურამი	პარმა	მც	28	58	2	2	0
8	მარსელ დესაი	ჩელსი	მც	31	68	2	3	0
5	ლორან ბლანი	ინტერი	მც	34	91	16	2	1
3	ბიქსენტ ლიზარაზუ	ბაიერნი	მც	30	54	2	1	0
7	დიდიე დეშამპი	ჩელსი	ნახ	31	97	4	3	0
6	იური ჯორკაეფი	ლაუტერნი	ნახ	32	65	25	3	1
17	ემანუელ პეტი	არსენალი	ნახ	29	39	3	2	0
10	ზინედინ ზიდანი	იუვენტუსი	ნახ	27	56	13	2	0
9	ნიკოლა ანელკა	რეალი	თავდ	21	15	4	3	0
12	ტიერი ანრი	არსენალი	თავდ	22	17	7	2	2

ა — ამპლუა, წ — წლოვანება, თ — თამაში, გ — გოლი, თე — თამაში ევრო 2000-ზე, გე — გოლი ევრო 2000-ზე.

როჟე ლემერი

საფრანგეთის ისტორიაში ჩახედულთ გრევის მოედანი უთუოდ სმენიათ. დანარჩენებს კი ვეტყვით, რომ ეს ადგილი პარიზშია და ფრანგული რევოლუციის დროს იქ მთავარი გილიოტინა იდგა. უამრავი თავი დაგორებულა იმ ეშაფოტიდან... და რა შუაშია აქ ფეხბურთი? ჩაიკითხეთ ბატონ როჟე ლემერის ინტერვიუ და მიხვდებით

როჟე ლემერის ეშაფოტი

— ბატონო ლემერ, ემანუელ პეტის ჯანმრთელობა ხომ არ გაფიქრებთ?

— თუ მას დასვენება დასჭირდება, ამას უყოყმანოდ გავაკეთებ. ნაკრებში 22 კაცი მყავს. მწვრთნელმა ყოველთვის უნდა შეძლოს პრობლემის გადაჭრა, თუმცა ამჯერად არაფერი მაფიქრებს — სხვა ფეხბურთელებს პეტის შეცვლა სრულფასოვნად შეუძლიათ.

— რატომ ათამაშეთ ჰოლანდიასთან სათადარიგო შემადგენლობა?

— ყველამ უნდა იცოდეს, რომ გუნდში დიდი და მუდმივი კონკურენციაა და ნებისმიერს აქვს ძირითადში მოხვედრის შანსი. ამიტომაც, სათადარიგოებისთვისაც უნდა მიმეცა თავის გამოჩენის საშუალება. ყველაზე მეტად პირესმა გაამართლა. იგი ბრწყინვალეა.

— კვირას ესპანეთს ხვდებით. თქვენი აზრით, მოასწრებს ეს გუნდი ჯგუფური ტურნირის შემდეგ სათანადოდ დასვენებას?

— არ ვიცი. რაც შეგვეხება ჩვენ, საუკეთესო ფორმაში ვიქნებით.

— კმაყოფილი ხართ ბრიუგეში დაბრუნებით? ნაცნობი სტადიონი, ერთგული გულშემატკივარი...

— ბელგიაში დაბრუნება... დიდი ხანია, ასეთ უმნიშვნელო დეტალებზე აღარ ვფიქრობ. სად ვითამაშებთ, მნიშვნელობა არა აქვს. ყველგან მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძვით. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ ფეხბურთელებს ბელგიაში დაბრუნება მაინც გაუხარდათ.

— დავუბრუნდეთ ესპანეთს...

— მათ მეოთხედფინალის საგზური ძლივს, შეიძლება ითქვას, სასწაულებრივად მოიპოვეს. ეიფორიაში არიან, რაც ძალიან კარგია. ჩვენ კი ბარტეზი, ტურამი და სხვები ტრავმებს მოვარიდეთ.

— პეტი კი ვერა. თუ ის ვერ გავა მინდორზე, მაშინ რას მოიმოქმედებთ?

— ორი ვარიანტია. ან მის ნაცვლად შემტევ ნახევარმცველს დავაყენებ და იგივე ტაქტიკით ვითამაშებთ, როგორც ჰოლანდიასთან, ანდა დეშამპს მეორე საყრდენ ნახევარმცველს მივახმარ.

— წეღან პირესი ახსენეთ. მას ხომ არ ანდობთ ძირითადში ადგილს?

— შეიძლება. თუმცა ჯერჯერობით არაფერი გადამწყვეტია.

— ძირითადის ხალხს ჩეხეთთან მატჩის შემდეგ ესპანეთამდე 10 დღით იძულებითმა დასვენებამ მოუწიათ. ეს მათზე უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს?

— არავითარ შემთხვევაში. ჩვენ იმ დონის ვარჯიშებს ვატარებთ, რომ უთამაშებლობა არავის შეეშინევა. თავად დარწმუნდებით.

— ესპანურ ფეხბურთზე რას იტყოდით?

— უნდა განვასხვავოთ — დიდ კლუბებს უამრავი უცხოელი ჰყავთ, პატარებს კი არა. სწორედ აქედან იწყება ნაკრების პრობლემები. თუმცა, ესპანური ფეხბურთი მაინც ძალიან ლამაზია და ტალანტებით სავსე.

— თქვენი ნაკრების ყველა თავდამსხმელმა გაიტანა გოლი (ანრი, ტრეზეგე, ვილტორდი, დიუგარი), ანელკას გარდა...

— მერე რა. თუ სხვები მისი გადაადგილებებისა და პასების წყალობით გაიტანენ, საფრანგეთის ნაკრები ამით არაფერს წააგებს.

— გადამწყვეტი მატჩების მოახლოებასთან ერთად გაზრდილი პასუხისმგებლობას თუ გრძნობთ?

— როცა 1998 წელს საფრანგეთის ნაკრებს სათავეში ჩავუდექი, ორი მიზანი მქონდა — ამ ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა და 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გადახალისებული, ძლიერი გუნდის შექმნა. პირველი ამოცანა შესრულებულია. ახლა მეოთხედფინალში ვართ, მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობთ და ამასვე მოითხოვენ ჩვენგან. მწვრთნელი მუდმივად განიცდის ფსიქოლოგიურ ზეწოლას. ანდორაში თამაშის შემდეგ სტრესი უფრო გაძლიერდა. იცით, როცა მწვრთნელი ხართ, ისეთი შეგრძნება გაქვთ, თითქოს გრევის მოედანზე დგახართ და გილიოტინა გელით. მხოლოდ სამი საფეხური უნდა აიაროთ ეშაფოტზე. ხანდახან განგება უკან ჩამოსვლის შესაძლებლობას გაძლევთ. ამ მატჩის დროს გრევის მოედანზე ვიდგები...

ხოსე ანტონიო კამაჩო

გვინდა, შეგვიძლია, ვიმსახურებთ

იუგოსლავიასთან დაუჯერებელი გამარჯვების შემდეგ, ესპანელებს მეოთხედფინალში შეჩერება არ სურთ. ისინი გამალებით ემზადებიან საფრანგეთთან შესახვედრად და ხანდახან ჟურნალისტებისთვისაც იცლიან. ჩვენც მოვკრიბეთ ზოგიერთი მათგანის ნაუბარი და ახლა გთავაზობთ.

დავიწყოთ გუნდის მთავარი მწვრთნელით, ხოსე ანტონიო კამაჩოთი: „ოთხშაბათ საღამო მთელი ცხოვრება არ დამავიწყდება. იუგოსლავიასთან შეხვედრა ჩვენი ნაკრებისთვის ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მერე კი საფრანგეთმაც წაგო, რამაც ძალიან გამახარა. მოვლენების უკეთ განვითარებას ვერც ვინატრებდი. საფრანგეთთან თამაში ჩვენთვის გაცილებით იოლია, ვიდრე ჰოლანდიასთან, რადგან მათ სტილს უკეთ ვიცნობთ. ნახევარფინალში გასვლის კარგი შანსი გვაქვს, თანაც ფსიქოლოგიურადაც უფრო მშვიდად ვართ. თუ გამოვვარდით, მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონებთან წაგებით, რაც სამარცხვინო სრულებითაც არაა“. ისე, კამაჩოს გულს მარტო ეს ჭია არ უნდა ულრღნიდეს. 1984 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში საფრანგეთმა ესპანეთი 2:0 დაამარცხა. მაშინ ესპანელთა ამჟამინდელი თავკაციც მინდორზე იყო და ახლა უთუოდ რევანშის წყურვილი უნდა ჰკლავდეს. ჰოლანდია კი მეტოქედ, ალბათ, იმიტომ არ უნდა, რომ ამ ნაკრების წევრთა უმეტესობა ესპანეთის ჩემპიონატში გამოდის და მათი ძალა კამაჩომ მშვენივრად უწყის. ფრანგები კი... ანელკას და კარამბუს იშვიათად ათამაშებენ „რეალის“ ძირითადში, სხვები კი ძლიერები რომ იყვნენ, ამ ჩემპიონატში იქნებოდნენო. ერთადერთი ზინედინ ზიდანის კლასს აღიარებენ კამაჩო და დანარჩენი ესპანელები და ძალიანაც უფრთხიან „ზიზუს“.

ივან ელგერა საფრანგეთსა და ჰოლანდიას ძალიან არ ასხვავებს. „ორივე ძლიერი გუნდია. მეოთხედფინალში სუსტები ვერ ხვდებიან. იუგოსლავიასთან მოგება სათანადოდ ვიზეიმეთ, მერე კი უკვე მომავალი მატჩისთვის მზადება დავიწყეთ. ესპანეთში უამრავი საქებარი სიტყვა გვიძღვნეს, მაგრამ ეს დროებითია. ფრანგებთან რომ დავმარცხდეთ, მაშინვე ყველა ლანძღვას დაგვიწყებს. მთავარია, ქება თავში არ აგვივარდეს. ჯერ მხოლოდ და მხოლოდ მეოთხედფინალში გავედით. ჩემპიონობამდე კიდევ შორია. როცა იუგოსლავიელებს კაცი გაუგდეს, ისინი დაცვაში „ჩაჯდნენ“ და ძალიან გაგვიჭირდა. ფრანგები თამაშის მოკლას არასოდეს ცდილობენ და ამიტომაც, ვფიქრობ, ძალიან ლამაზი მატჩი იქნება“ — თქვა „რეალის“ ნახევარმცველმა.

ბილბაოს „ატლეტიკის“ ფეხბურთელი ხოსება ეჩებერია იმ მცირერიცხოვან ესპანელთა რიგებს ეკუთვნის, რომელთაც საფრანგეთის ნაკრებზე კარგი წარმოდგენა აქვთ. „საფრანგეთი დიდი გუნდია. იგი უძლიერესი ფეხბურთელებითაა შედგენილი და უდიდეს პატივისცემასაც იმსახურებს. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მინდორზე წასაგებად განწირულები გავალთ. ალბათ, ტრადიციული ტაქტიკით ვითამაშებთ, თუმცა კამაჩოს ამაზე ჯერ არაფერი უთქვამს. ჩვენ გამარჯვება გვინდა, შეგვიძლია და ვიმსახურებთ კიდეც. უეჭველად ივიეს ფიქრობენ ფრანგებიც. ასე რომ, კარგი თამაში უნდა გამოვიდეს“ — თქვა ბასკმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს არქივიდან

ნარინჯისფრად შეიღება ზეცაც

მეოთხედფინალი. 25 ივნისი. 21⁰⁰

ჰოლანდია — იუგოსლავია

KNVB

როტერდამი. „ფეიენორდი“. მსაჯი: გარსია არანდა (ესპანეთი)

ევროპის ჩემპიონატის მასპინძლებმა, ჰოლანდიელებმა ჯგუფის ბოლო შეხვედრაში მსოფლიოს ჩემპიონი საფრანგეთის ნაკრები დაამარცხეს, ჯგუშუფში პირველობა შეინარჩუნეს და მეოთხედფინალში C ჯგუფის მეორეადგილოსან იუგოსლავიას შეხვდებიან. ჰოლანდიელებისთვის პირველ ადგილზე გასვლას მართლაც პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა — ნაკრები სამშობლოში დარჩა და მომავალ შეხვედრებს შინ ჩაატარებს. „ძალიან გვინდოდა, ჰოლანდიაში დავრჩენილიყავით — აცხადებს „იუვენტუსის“ ნახევარმცველი ედგარ დავიდსი — შინ ხომ უამრავი გულშემატკივარი გვქომაგობს. ფრანგებთან სამი ქულის მოპოვება რთული იყო, გუნდი ძლიერი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. ფინალი, თუ, რა თქმა უნდა, მათ შევხვდით, მართლაც ბრწყინვალე იქნება“.

დენის ბერხკამპს ფრანგებთან თამაში დაუწუნეს

საფრანგეთთან გამარჯვების შემდეგ თავისი აზრი ლეგენდარულმა ჰოლანდიელმა იოჰან კრუიფმაც გამოთქვა: „პირველი ადგილის დაკავება და სამშობლოში ყოფნა მართლაც კარგია, თუმც გუნდში სისუსტეებიც აღმოვაჩინე. ედგარ დავიდსის თამაში მომეწონა, მაგრამ იგი სულ მსაჯთან კამათობდა, ვგონებ, ასე აღარ უნდა მოიქცეს. დენის ბერხკამპმა აშკარად მოისუსტა, პატრიკ კლუივერტმა ჩინებული გოლი გაიტანა, თუმცა მეტი აღარაფერი შეუქმნია“.

ჰოლანდიელთა ხარვეზები მათი მომავალი მეტოქის, იუგოსლავიის ნაკრების თავკაცმა ვუიადინ ბოშკოვმაც შენიშნა. გამოცდილი სპეციალისტის აზრით, ტურნირის მასპინძლები ისე ძლიერად ვერ თამაშობენ, როგორც ორი წლის წინ. 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში სწორედ იუგოსლავია-ჰოლანდია შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ ბალკანელები 1:2 დამარცხდნენ.

„ვფიქრობ, ჰოლანდიის ნაკრები ორი წლის წინ უფრო ძლიერი იყო — განაცხადა ბოშკოვმა — მაშინ გუნდი ბევრად მობილურად გამოიყურებოდა“. 69 წლის იუგოსლავიელი ჰოლანდიურ ფეხბურთს ერთობ კარგად იცნობს. 1970-იან წლებში იგი ამ ქვეყანაში მწვრთნელად მუშაობდა, „დენ ჰაგს“ ჰოლანდიის თასი მოაპოვებინა, ხოლო ამის შემდეგ ცოტა ხანს „ფეიენორდსაც“ უხელმძღვანელა.

„ჰოლანდიაში ფეხბურთი ძალიან პოპულარულია — ამბობს ბოშკოვი — ბავშვები ადრეული ასაკიდან იწყებენ თამაშს, თანაც იქ კარგი სკოლებია. ჰოლანდიურ ფეხბურთს ნამდვილად ვაფასებ“.

„სამპდორიის“ ყოფილმა მწვრთნელმა იუგოსლავიის ნაკრებზეც ისაუბრა: „ესპანელებთან შეხვედრაში ერთი ფეხბურთელი დაგვიშავდა, ერთი კი გაგვიგდეს. მეოთხედფინალში, შესაძლოა პრობლემებს წავაწყდეთ, მსაჯები იუგოსლავიას ძალიან ადვილად იმეტებენ და წამდაუწუმ წითელი ან ყვითელი ბარათით აჯარიმებენ, როცა მეტოქე გუნდი იგივეს აშავებს, ამას ვერავინ ამჩნევს, თუ არბიტრები ჰოლანდიასთან შეხვედრაშიც ასე მოგვექცევიან, ჩვენთვის ყველაფერი ცუდად დასრულდება“.

იუგოსლავიელთაგან მომავალ შეხვედრას მატეა კეუმანი და სლავიშა იოკანოვიჩი გამოტოვებენ, ფეხბურთელებმა წინა მატჩებში წითელი ბარათი მიიღეს და დისკვალიფიკაციით დაისაჯნენ.

ბალკანელებს დისკვალიფიცირებულების გარდა ტრავმირებულების პრობლემაც აწუხებთ. მუხლის ტრავმის გამო მეოთხედფინალს, ალბათ გორან ჯოროვიჩი გამოტოვებს. შესაძლოა ვერც ვლადიმირ იუგოვიჩმა ითამაშოს, მილანის „ინტერის“ ნახევარმცველს ზურგი ასტკივდა.

„იოკანოვიჩის, კეუმანისა და ჯოროვიჩის გარეშე ნახევარფინალში მოხვედრა მით უმეტეს, თუ მათ იუგოვიჩიც მიემატათ, ძალიან გაგვჭირდება — განაცხადა ბოშკოვმა — თუმცა ფეხბურთელები, ალბათ ორმაგად მოინდომებენ, ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰოლანდიელებთან მარცხი მათ ჯერაც არ დავიწყებიათ“.

ესპანელებთან მატჩში შეცვლაზე შესულ და მეორე გოლის ავტორ დეიან გოვედარიცას მიაჩნია, რომ იუგოსლავიელებს ცოტათი უსამართლოდ ექცევიან: „მსაჯმა იოკანოვიჩი ნამდვილად ტყუილად გააძევა, ვგონებ, არც პენალტი უნდა დაენიშნა. ორივე გადაწყვეტილება სადავო იყო“.

იუგოსლავიელთა საუკეთესო ბომბარდირმა სავო მილოშევიჩმა თქვა: „მსაჯები ჩვენს საზიანოდ უკვე მესამედ შეცდნენ. არა მგონია, ჩვენი თამაშით ასეთ დასჯას ვიმჩახურებდით. თუმცა, ღმერთი ჩვენსკენაა და არ გაგვწირავს“.

ჰოლანდიის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მცველის, ფრანკ დე ბურის განცხადებით, იუგოსლავია ხელწამოსაკრავი მეტოქე არ არის, თუმც ესპანელებთან ორთაბრძოლა ბევრად მძიმე იქნებოდა. „მართალია, იოლი მატჩი არ გველის, დიდი ძალისხმევა გვმართებს, რათა იუგოსლავია დავამარცხოთ, მაგრამ ესპანელებთან უფრო გაგვჭირდებოდა — იგი უფრო გამოცდილი გუნდია და გაცილებით ძლიერად თამაშობს“.

მომავალ შეხვედრაზე თავისი აზრი „ბარსელონას“ ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ბუდვინ ზენდენმაც გამოთქვა: „მართალია, უნდა მოვიგოთ, თუმცა წინასწარ ვერაფერს იტყვი. იუგოსლავია ევროპის რვა საუკეთესოს შორის მოხვდა, ძლიერი გუნდია, ბრძოლა ნამდვილად მოგვიწევს“.

ჰოლანდიის ნაკრების ძირითადმა მეკარემ ედვინ ვან დერ სარმა ფრანგებთან მატჩი მსუბუქი ტრავმის გამო გამოტოვა, მის ნაცვლად კარში „ლივერპულის“ გოლკიპერი სანდერ ვესტერველდი ჩადგა. ჰოლადიური საგენტოების ცნობით, „იუვენტუსის“ გოლკიპერი ახლა კვლავ მომჯობინდა, ვარჯიში განაახლა და მეოთხედფინალურ შეხვედრას, ალბათ, სასტარტოში დაიწყებს.

„ოთხშაბათს უკვე კარგად ვიყავი, ხუთშაბათს კიდევ უფრო მოვმჯობინდი, ვარჯიშს თითქმის სრული დატვირთვით შევუდექი და თავს მშვენივრად ვგრძნობ, ჩემს არყოფნაში ვესტერველდმა ჩინებულად ითამაშა, მეორე ტაიმში გუნდი რამდენჯერმე გოლისგან იხსნა — განაცხადა ვან დერ სარმა — იუგოსლავია ძლიერი მეტოქეა, ისინი მუდამ შეტევაზე ფიქრობენ და ბევრ საგოლე მომენტებს ქმნიან, გატანაც ეხერხებათ“.

ვუიადინ ბოშკოვი: ჰოლანდია ისე ძლიერი აღარაა, როგორიც ორი წლის წინ იყო

1998 წლის 29 ივნისი. იუგოსლავია — ჰოლანდია 1:2. იუგოსლავიელი პრედრაგ მიატოვიჩი (№9) და ჰოლანდიელი ედგარ დავიდსი ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზეც მეტოქეობდნენ

თავად „ლივერპულის“ კარის დარაჯი კი ამბობს: „ვგონებ, გუნდისთვის უკეთესი იქნება, თუ ძირითად შემადგენლობაში ვან დერ სარი გამოჩნდება. ცუდ ფორმაში არც მე ვარ, მაგრამ ვან დერ სარი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა. ჩვენ ევროპის ჩემპიონატის მოგება გვსურს, ამიტომ აჯობებს, ედვინმა ითამაშოს“

ჰოლანდიის ნაკრების თავკაცმა ფრანკ რაიკარდმა ვან დერ სარზე ისაუბრა: „ედვინმა ვარჯიში დაიწყო, მოსაფიქრებლად დრო კიდევ დამრჩა. მჯერა, იუგოსლავიასთან სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდება, თუმცა მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ“.

მეოთხედფინალში მასპინძლებს შესაძლოა რონალდ დე ბური ვერ დაეხმაროს. „ბარსელონას“ ტრავმირებულმა ნახევარმცველმა მცირე დატვირთვით განაახლა ვარჯიში, თუმცა კვირამდე შესაძლოა ვერ გამოჯანმრთელდეს. ფეხბურთელი ფრანგებთან მატჩის წინ ერთ-ერთ ვარჯიშზე დაშავდა და ჯგუფის ბოლო შეხვედრაში არ უთამაშია.

ფრანკ რაიკარდის განცხადებით, მისი გუნდი ახლა ისეთივე ზეწოლას განიცდის, როგორსაც საფრანგეთის ნაკრები ორი წლის წინ, ნებისმიერი ტურნირის მასპინძლებს ყოველთვის მეტი პასუხისმგებლობა აკისრიათ, ადგილობრივი გულშემატკივრები თავისი საყვარელი გუნდისგან სასწაულს მოელიან. საფრანგეთის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის თასი შინიდან არავის გაატანა, ნუთუ ჰოლანდიელებიც იგივეს შეძლებენ?

„იუგოსლავიას ჩინებული ნაკრები ჰყავს, მათთან თამაშზე წინასწარ ვერაფერს იტყვი. გუნდი ძლიერი და გამოცდილი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, ისინი ყოველთვის ბოლომდე იბრძვიან“ — განაცხადა რაიკარდმა.

კვირას როტერდამი მეოთხედფინალური მატჩის მოლოდინშია. ჰოლანდია-იუგოსლავიის შეხვედრას მთელი ქალაქი მოუთმენლად ელის. „თუ კვირას მოვიგებთ, მთელი ჰოლანდია იზეიმებს — აცხადებს მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგურის მერიის წარმომადგენელი — შეხედეთ როტერდამს, მთელი ქალაქი ნარინჯისფრად შეიღება, ყველა ფეხბურთზე ფიქრობს, ყველა საყვარელ გუნდს ქომაგობს, სრული მზადყოფნით ვეგებებით დიდ ფეხბურთს“.

იუგოსლავია-ჰოლანდიის წყვილში გამარჯვებული ამსტერდამში გადაინაცვლებს და 29 ივნისს იტალიარუმინეთს შორის უძლიერესს ნახევარფინალში შეხვდება, ფინალი კი ისევ როტერდამშია. შეძლებენ ჰოლანდიელები საპორტო ქალაქში მეორედ დაბრუნებას?

ნიკა შუბლაძე

ურთიერთშეხვედრები

ჰოლანდია		იუგოსლავია
4	მოგება	3
1	ფრე	1
3	წაგება	4
11	ბურთები	11

01.11.67	როტერდამი	ა.მ.	1:2
11.10.70	როტერდამი	ე.ჩ.შ.	1:1
04.04.71	სპლიტი	ე.ჩ.შ.	0:2
31.05.75	ბელგრადი	ა.მ.	0:3
19.06.76	ზაგრები	ე.ჩ.	3:2
03.06.90	ზაგრები	ა.მ.	2:0
25.03.92	ამსტერდამი	ა.მ.	2:0
29.06.98	ტულუზი	მ.ჩ	2:1

საპარაუდო შემადგენლობები

ჰოლანდია

			ა	წ	თ	გ	თე	გე
1	ედვინ ვან დერ სარი	იუვენტუსი	მკ	29	49	0	2	0
2	მიხაელ რაიციგერი	ბარსელონა	მც	27	42	1	2	0
3	იაპ სტამი	მანჩესტერი	მც	27	33	3	2	0
4	ფრანკ დე ბური	ბარსელონა	მც	30	79	9	3	2
12	ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი	რეინჯერსი	ნახ	25	17	1	2	0
8	ედგარ დავიდსი	იუვენტუსი	ნახ	27	33	4	3	0
7	ფილიპ კოკუ	ბარსელონა	ნახ	29	44	4	3	0
5	ბუდვინ ზენდენი	ბარსელონა	ნახ	23	24	5	3	2
11	მარკ ოვერმარსი	არსენალი	თავდ	27	58	11	3	0
9	პატრიკ კლუივერტი	ბარსელონა	თავდ	23	43	25	3	2
10	დენის ბერხკამპი	არსენალი	თავდ	31	77	37	3	0

იუგოსლავია

			ა	წ	თ	გ	თე	გე
22	ივიცა კრალი	პსვ ეინდჰოვენი	მკ	27	36	0	3	0
13	სლობოდან კომლიენოვიჩი	ლაუტერნი	მც	29	20	3	2	1
5	მიროსლავ ჯუკიჩი	ვალენსია	მც	34	40	1	3	0
11	სინიშა მიხაილოვიჩი	ლაციო	მც	31	46	6	2	0
14	ნიშა საველიჩი	ბორდო	მც	30	30	1	2	0
16	დეიან გოვედარიცა	ვალვაიკი	ნახ	30	28	2	2	1
7	ვლადიმირ იუგოვიჩი	ინტერი	ნახ	30	38	3	3	0
10	დრაგან სტოიკოვიჩი	ნაგოია გრამპუსი	ნახ	35	81	15	3	0
17	ლუბინკო დრულოვიჩი	პორტუ	ნახ	31	30	3	3	1
8	პრედრაგ მიატოვიჩი	ფიორენტინა	თავდ	31	52	22	3	0
9	სავო მილოშევიჩი	სარაგოსა	თავდ	26	50	24	3	4

დისკვალიფიცირებულნი: სლავიშა იოკანოვიჩი, მატეა კეუმანი

ა — ამპლუა, წ — წლოვანება, თ — თამაში, გ — გოლი, თე — თამაში ეკრო 2000-ზე, გე — გოლი ეკრო 2000-ზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბ ოდიშვილი

22 ივნისი

ევროპის ჩემპიონატის დღიური

მათეუსს ქვეყნის ცოდვა აჰკიდეს, ალფონსოს მთელი ქვეყანა ლოცავს

ბრალდებული ლოთარ მათეუსი ბრალს თავად სდებს

მართალი უთქვამს ბრძენკაცს: დღევანდელობაზე ნუ წუწუნებ, ხვალ შეიძლება უარესი შეგემთხვასო. აგერ, ჩემი დღიურის 15 ივნისის ჩანაწერები. წუწუნით ვიწყებ, ვწერ, რომ მოწყენილი ვარ, რადგან თურქეთ-შვედეთის მოსაწყენი მატჩი ვიხილე.

ნეტავ 22 ივნისს ვყოფილიყავი ისე მოწყენილი. ამ დღეს არათუ მოსაწყენი, საერთოდ არანაირი მატჩი არ გამართულა. დამეთანხმებით, გაგანია ევროპის ჩემპიონატის დროს მთლად უფეხბურთობას ისევ თურქეთ-შვედეთის ცქერა სჯობს.

ევრო 2000 გადამწყვეტ ფაზაში შედის. ტურნირმა ერთ-ერთი თანამასპინძელი, ბელგია უკვე მოისაკლისა. ბელგიელები მხოლოდ სპორტულ ასპექტში არ დაზარალებულან. ამ ქვეყნის ქალაქები და სტადიონები უმეტესად არასაფეხბურთო ვნებებს მოეცვა: ხულიგნები, ჩხუბები, ლეწვა-მტვრევა... მეორე თანამასპინძელ ჰოლანდიას კი გუნდი მეოთხედფინალში ჰყავს, რბევასაც გადაურჩა და, უმეტესწილად, ფეხბურთით ტკბებოდა. თუმცა, ეს ყველაფერი უკვე წარსულის, ჯგუფური ეტაპის კუთვნილებაა. რა მოხდება ხვალ, მეეჭვება, იმ ბრძენკაცმაც იცოდეს, რომლის სიტყვებითაც დღევანდელი ჩანაწერები დავიწყე.

ამ უფეხბურთო დღეს ჟურნალ-გაზეთებისთვის მოვიცალე და რამდენიმე გადავიკითხე კიდეც. თავდაპირველად ხელში და თვალში გერმანული „დი ველტი“ მომხვდა, სადაც ბუნდესნაკრების ყოფილი ნახევარმცველი თომას ჰელმერი ევრო 2000-ზე განცდილ ფიასკოს, არც მეტი, არც ნაკლები, ლოთარ მათეუსს აბრალებს: „ყველაფერი მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის სცენარით წარიმართა. მათეუსის გუნდში გამოჩენა ამჯერადაც დამღუპველი გამოდგა. ლოთარი ხელს უშლიდა დანარჩენ ფეხბურთელებს, ამიტომ მათ ვერ გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობები. არავის სურდა მათეუსის გუნდში ყოფნა, ყველა დარწმუნებული იყო, რომ იგი თამაშს გააფუჭებდა, მაგრამ საჯაროდ ამის თქმა არ შეიძლებოდა. ლოთარის ადგილზე ნაკრებიდან ნებაყოფლობით წავიდოდი, მაგრამ იგი პირიქით მოიქცა: მწვრთნელ ერიხ რიბეკს ძალით დააყენებინა შემადგენლობაში თავი“.

ჰელმერის აზრს, ცხადია, პატივს ვცემ, მაგრამ საკუთარიც ჯერ არ დამიკარგავს. არა მგონია, მეხსიერება მღალატობდეს — რუმინეთთან მატჩის შემდეგ მათეუსმა თავად უთხრა რიბეკს, თანაგუნდელები ვერ მიტანენ და გუნდიდან გამიშვიო.

მათეუსის პასუხის ძებნაში მთელი გერმანული პრესა გადავქექე, მაგრამ მსგავსი ვერაფერი ვიპოვე. ჩანს, ლოთარი არ ერჩის ჰელმერს, მაგრამ „კიკერის“ ფურცლებზე სხვა დანარჩენ გერმანელ ფეხბურთელებზე არცთუ ტკბილად ლაპარაკობს: „როცა მოთამაშეს ნაკრებში ვიწვევთ, მისი ხასიათი ზედმიწევნით უნდა გვქონდეს შესწავლილი. გაზულუქებული ვარსკვლავების ნაცვლად ნაკლებად ნიჭიერი, მაგრამ გულიანი ფეხბურთელების აყვანა სჯობს. ისინი თავს არ დაზოგავენ და გერმანიის ნაკრებში თამაში საამაყოდ ექნებათ. დღევანდელ გუნდში ყველა მილიონერია, მაგრამ თავის შეწუხება არ სურს“.

თურმე ნუ იტყვით, და პორტუგალიასთან 0:3 წაგების შემდეგ გერმანიის ნაკრების წევრთა უმრავლესობა დარდის გასაქარვებლად კარგა გვარიანად გამომთვრალა. მათეუსი გმობს თანაგუნდელთა საქციელს და მემთვრალეებს „სამარცხვინოებს“ უწოდებს.

ნაკრებში 150 მატჩის ჩამტარებელმა და ამ მხრივ მსოფლიოს რეკორდსმენმა მათეუსმა „კიკერი“ არ იკმარა და „ბილდსაც“ გაუზიარა თავის აზრი: „ასეთ არეულ გუნდში არასდროს დავბრუნდები. გერმანია საფრთხის წინაშეა: დიდი ტურნირებიდან მისი სახელი, შესაძლოა, საერთოდ გაქრეს. არ ვარ დარწმუნებული, რომ ბუნდესნაკრები მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე თამაშის უფლებას მოიპოვებს“.

ღმერთი სამობითაა და მათეუსმა მესამე ინტერვიუც მისცა, ოღონდ, ამჯერად ტელევიზიას. საუბარი რიბეკს და ლოთარის მომავალს შეეხო: „ყველაფრის რიბეკისთვის გადაბრალება არ შეიძლება. რამდენიმე ფეხბურთელმა იგი დააღალატა. მწვრთნელი წავიდა. ვწუხვარ, რომ ასე მოხდა. მე თუ შემომთავაზებენ მწვრთნელობას? კი ბატონო, წარმომიდგინონ წინადადება, გეგმა. წყნარად მოვისმენ, ვიფიქრებ და გადაწყვეტილებას მერე მივიღებ“.

დიდი ამბებია ესპანეთში. ოღონდ, გერმანიისგან განსხვავებით, იქ საყოველთაო სიხარულია გამეფებული. „ვივა ესპანია“! — დიდი ასოებით წერია ეს ფრაზა თითქმის ყველა გაზეთის პირველ გვერდზე. „გაუმარჯოს იმ დედებს, ვინც თქვენ გშობათ!“ — სადღეგრძელო სათაურში გამოუტანია სპორტულ გამოცემა „მარკას“. „შეუძლებლის ზღვარზე“ — ამტკიცებს „ელ მუნდო“. ესპანეთის რადიო კი ერთ ფრაზას იმეორებს: „ალფონსო, გოლ, ესპანია“. ოღონდ, ჩვეულებრივად ორიოდ წამში სათქმელი დროში უსასრულოდ იჭიმება, რადგან სიტყვა „გოლ“-ისას კომენტატორი ერთის ნაცვლად ოც „ო“-ს ამბობს.

ალფონსო პირველი კაცია დღევანდელ ესპანეთში. მის მიერ იუგოსლავიის კარში ბოლო წუთზე გატანილ გოლს დიდი ფასი დაედო. რა გასაკვირია, რომ თავად ალფონსოსაც, სევილიის „ბეტისის“ თავდამსხმელსაც დიდი ფასი დაედოს. ესპანეთ-იუგოსლავიის დამთავრებისთანავე „ბეტისის“ ოფისში ალფონსოს მსურველთა რიგი დადგა. წლეულს მეორე დივიზიონში გავარდნილი გუნდის დირექტორმა, ბოსნიელმა ფარუკ ჰაჯიბეგიჩმა თავიდან ყველა გაყარა: „არავის ვყიდით. ეს ალფონსოსაც ეხება: ჩვენ სუპერმარკეტი არა ვართ, კარგი ფეხბურთელები თავად გვჭირდება“.

ამის გამგონე ალფონსოს აგენტმა, ამავდროულად მამამ, ხოსე პერესმა განაცხადა: „ეთიკური მოსაზრებების და ფეხბურთელის მომავლის გათვალისწინებით, კლუბმა უნდა მისცეს ალფონსოს სხვაგან გადასვლის შანსი“. შეგახსენებთ, რომ ალფონსო 1995 წელს გადავიდა „ბეტისში“ მადრიდის „რეალიდან“ და კონტრაქტი 2003 წლამდე აქვს. ჰაჯიბეგიჩმაც იფიქრა, იფიქრა და გადაწყვიტა: ვისაც ალფონსოს წაყვანა ვსურთ, „ბეტისს“ 46 მილიონი დოლარი გადაუხადეთ და ისე წაიყვანეთო.

ამასობაში ესპანეთის ნაკრები ჰოლანდიის და ქალაქ ტეგელენში ემზადება საფრანგეთთან მეოთხედფინალის სათამაშოდ. ალფონსოს, ისევე როგორც სხვა ხუთ ფეხბურთელს (გვარდიოლა, რაული, მიჩელ სალგადო, მენდიეტა, აბელარდო) 22 ივნისს გამართულ ვარჯიშში მონაწილეობა არ მიუღიათ. ტრავმები არაფერ შუაშია, უბრალოდ, მწვრთნელმა ხოსე ანტონიო კამაჩომ დაასვენა. დანარჩენებიც მსუბუქად დაიტვირთნენ. იუგოსლავიასთან თავგატეხილი ფრანიც იქ იყო. ის კი არა, საფრანგეთთან თამაშს სლოვენიასთან დაშავებული ფერნანდო იეროც აპირებს: ექიმმა უთხრა, სამ დღეში ჩიტივით იქნებიო.

განრისხებულია იუგოსლავური პრესა. გაზეთი „გლას იავნოსტი“ ფრანგ მსაჯ ჟილ ვესიეს არ ეშვება: „მსაჯმა ჩაიდინა დანაშაული, რომელიც დაუსჯელი დარჩა. მას არ უნდოდა ესპანეთის ჯგუფში ჩარჩენა და თავისი ბინძური ქმედებით მეოთხედფინალში გაიყვანა“. იუგოსლავიის ნაკრების მეკარე ივიცა კრალი კი იმავე გაზეთიდან გვეუბნება: „მსაჯს ესპანეთისთვის უნდა მოეგებინებინა. იგი მზად იყო, თამაშისთვის მეორე 90 წუთი დაემატებინა“. სპორტულმა გამოცემამ „სპორტსკი ჟურნალმა“ კი მთლად გაუტია: „იუგოსლავიას ვერ წააქცევთ, რაც უნდა სანქციები გამოუტანოთ. ჩვენი ფეხბურთელები ვაჟკაცები და ძლიერები არიან. გაცილებით ძლიერები, ვიდრე უეფა და ჟილ ვესიე ერთად აღებული“.

სამშობლოში დაბრუნებული ჩეხეთის ნაკრების მწვრთნელი იოზეფ ხოვანეცი ნირწამხდარი სულაც არ არის. მის თანამდებობიდან გადაყენებაზე სიტყვის დაძვრაც კი არავის მოსვლია აზრად. ხოვანეციც მომავალ ტურნირებზე ფიქრობს და უპირველეს მიზნად მცველ ირჟი ნემეცთან გასაუბრება დაუსახავს. 34 წლის ნემეცს სანაკრებო კარიერის დასრულება სურს, მაგრამ ხოვანეცი იმედოვნებს, რომ გადააფიქრებინებს.

თანამდებობას შეინარჩუნებს ნორვეგიის მწვრთნელი ნილს იოჰან სემბი. მას არავინ აკრიტიკებს. მეტიც, ნორვეგიული პრესის საერთო აზრი დაახლოებით ამგვარია: „სემბმა ნორვეგიის ნაკრები აბსოლუტურად მისაღები სტილით ათამაშა“. სამაგიეროდ, კონტრაქტი დაუმთავრდა და ოთხწლიანი თანამშრომლობის შემდეგ დანიის ნაკრებს გამოეთხოვა შვედი ბო იოჰანსონი. მას ამსტერდამის „აიაქსის“ ყოფილი თავკაცი, წარსულის განთქმული დანიელი მოთამაშე მორტენ ოლსენი შეცვლის.

უფეხბურთო დღე კი საინფორმაციო სააგენტო „როიტერის“ არხით მოსულმა ინფორმაციამ დაასრულა. „როიტერსაც“ შეუდგენია ევრო 2000-ის ჯგუფური ეტაპის სიმბოლური ნაკრები: *ფრანჩესკო ტოლდო (იტალია); ლილიან ტურამი (საფრანგეთი), ფრანკ დე ბური (ჰოლანდია), პაოლო მალდინი (იტალია); პაველ ნედვედი (ჩეხეთი), ლუიშ ფიგუ (პორტუგალია), ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი), მანუელ რუი კოშტა (პორტუგალია), ედგარ დავიდსი (ჰოლანდია); ტიერი ანრი (საფრანგეთი), ზლატკო ზაჰოვიჩი (სლოვენია).*

*სპეციალისტები: ფაბიენ ბარტეზი (საფრანგეთი), მარკ ვილმოტსი (ბელგია), მარსელ დეასი (საფრანგეთი), დევიდ ბეკემი (ინგლისი), ს

ო მალოშევიჩი (იუგოსლავია), ლუბინკო დრულოვიჩი (იუგოსლავია). „როიტერის“ აზრით, ამ ნაკრების მწვრთნელი სლოვენიელი სრეჩკო კატანეცი უნდა იყოს.*

ბურთი თამაშში

ყველაზე მეტხანს

გერმანია — რუმინეთი	1:1	62 წუთი და 47 წამი
საფრანგეთი — ჰოლანდია	2:3	62 წუთი და 44 წამი
იტალია — ბელგია	2:0	62 წუთი და 5 წამი

ყველაზე ცოტა ხანს

იუგოსლავია — სლოვენია	3:3	40 წუთი და 13 წამი
საფრანგეთი — დანია	3:0	46 წუთი და 29 წამი
სლოვენია — ნორვეგია	0:0	46 წუთი და 59 წამი

ჯარიმა

ყველაზე მეტი

სლოვენია — ესპანეთი	1:2	52
ბელგია — შვედეთი	2:1	50
ჩეხეთი — საფრანგეთი	1:2	50

ყველაზე ნაკლები

საფრანგეთი — დანია	3:0	20
თურქეთი — იტალია	1:2	20
გერმანია — რუმინეთი	1:1	26

კარისკენ დარტყმა (ორივე გუნდმა)

ყველაზე მეტი

იტალია — შვედეთი	2:1	34
თურქეთი — იტალია	1:2	23
იუგოსლავია — სლოვენია	3:3	26

ყველაზე ნაკლები

დანია — ჩეხეთი	0:2	15
რუმინეთი — პორტუგალია	0:1	16
შვედეთი — თურქეთი	0:0	17
სლოვენია — ესპანეთი	1:2	17

თამაშგარე

ყველაზე მეტი

ინგლისი — რუმინეთი	2:3	15
ბელგია — შვედეთი	2:1	12
იტალია — შვედეთი	2:1	11
დანია — ჩეხეთი	0:2	11

ყველაზე ნაკლები

ინგლისი — გერმანია	1:0	2
სლოვენია — ნორვეგია	0:0	3
პორტუგალია — გერმანია	3:0	3
ესპანეთი — ნორვეგია	0:1	3

გუნდები

ყველაზე მეტჯერ დაჯარიმდნენ

ჩეხეთი	67
ესპანეთი	67
იუგოსლავია	67

ყველაზე ნაკლებად დაჯარიმდნენ

საფრანგეთი	41
პორტუგალია	41
თურქეთი	41

ბურთის ფლობა

ყველაზე მეტი

გერმანია	99 წუთი
ჰოლანდია	94 წუთი
ბელგია	94 წუთი

ყველაზე ნაკლები

სლოვენია	66 წუთი
ინგლისი	68 წუთი
ნორვეგია	69 წუთი

კარში დარტყმა

ყველაზე მეტი

ბელგია	22
ჰოლანდია	22
იუგოსლავია	22

ყველაზე ნაკლები

ინგლისი	10 (გაიტანა 5 გოლი, ანუ ყოველი მეორე)
ნორვეგია	10
პორტუგალია	12 (გაიტანა 7 გოლი!)
თურქეთი	12

თამაშგარეში აღმოჩნდა

ყველაზე მეტი

საფრანგეთი	19
იტალია	18
რუმინეთი	16

ყველაზე ნაკლები

გერმანია	3
იუგოსლავია	5
ესპანეთი	6
დანია	6

როდის გადის გოლები

1-15 წუთები	8
16-30 წუთები	7
31-45 წუთები	8
I ტაიმის წამატებული	2
46-60 წუთები	17
61-75 წუთები	14
76-90 წუთები	5
II ტაიმის წამატებული	4
ჯამში	65

ფეხბურთელები

ყველაზე მეტჯერ დაჯარიმდნენ

ტორე ანდრე ფლო (ნორვეგია)	15
სლავიშა იოკანოვიჩი (იუგოსლავია)	15
ამირ კარიჩი (სლოვენია)	11
ივ ვანდერეგე (ბელგია)	11
დენის ბერხკამპი (ჰოლანდია)	10
მლადენ რუდონია (სლოვენია)	10

ყველაზე მეტჯერ დაჯარიმდნენ ამ ფეხბურთელების წინააღმდეგ

მირან პავლინი (სლოვენია)	18
ხოსება ეჩებერია (ესპანეთი)	15
ფრედრიკ ლიუნგბერგი (შვედეთი)	14
პრედრაგ მიატოვიჩი (იუგოსლავია)	13
სასო უდოვიჩი (სლოვენია)	12

ყველაზე მეტჯერ კარში დაარტყეს

პატრიკ კლუივერტი (ჰოლანდია)	6
გაისკა მენდიეტა (ესპანეთი)	6
პაველ ნედვედი (ჩეხეთი)	6

ყველაზე მეტჯერ თამაშგარეში აღმოჩნდნენ

ადრიან ილიე (რუმინეთი)	9
ნუნუ გომეში (პორტუგალია)	8
ალესანდრო დელ პიერო (იტალია)	7
ფილიპო ინძაგი (იტალია)	7
სილვენ ვილტორდი (საფრანგეთი)	7

ტორპედო: არ გავიმართლა! ვიტ ჯორჯია: არა შეავს! ლოკომოტივი: ძალიან კარგი!

გუშინ, როგორც კი ევროტურნირებზე ქართული გუნდების ორი ნაღდი და ერთიც შესაძლო მეტოქე გარკვა, ქუთაისის „ტორპედოს“ და თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტებს — მიხეილ ქორქიასა და გურამ რუხაძეს, ასევე თბილისის „ლოკომოტივის“ მწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილს დავუკავშირდით და მეტოქეების თაობაზე კომენტარი ვთხოვეთ.

მიხეილ ქორქია: არ გაგვიმართლა. დარწმუნებული ვარ, ჩვენი მეტოქე სახელოვანი „ცრვენა ზვეზდაა“, იუგოსლავიის ჩემპიონი. შეიძლებოდა, გაცილებით სუსტი გუნდი შეგვხვედროდა. ქვეყანა უნდა დაიქცეს, „ცრვენა ზვეზდამ“ ფარერების გუნდი ვერ დაამარცხოს. კარგად მახსოვს ბელგრადელების და ფოთის „კოლხეთის“ ორი წლის წინანდელი მატჩებიც. ისე კი კარგია, ასეთ გუნდთან გაკიშპება რომ მოგვიწევს, ჩვენს ძალას უკეთ დავინახავთ.

ევროტურნირების წილისყრას საქართველოდან ერთადერთი წარმომადგენელი „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტი გურამ რუხაძე დაესწრო. მას წილისყრის შემდეგ დავუკავშირდით და კომენტარი ვთხოვეთ. ვიტელთა პრეზიდენტი თავისი პარტნიორების — ბორის ხურგინისა და ემილ დანჩევის გარემოცვაში იმყოფებოდა და მეტოქეზე მათი აზრითაც დავინტერესდით.

გურამ რუხაძე: „ეს მარტო წილისყრა კი არა, ევროპული საკლუბო ფეხბურთის დღესასწაული იყო. უამრავი ტელეკომპანია, საფეხბურთო წრეების ოფიციალური პირები, საფეხბურთო აგენტები. მოკლედ, შთაბეჭდილებები უდიდესია.

სავარაუდო მეტოქე ოთხი გვყავდა — ბუქარესტის „რაპიდი“, ჩეხური „პეტრა“, ნიქოზიის „ჰაპოელი“ და იერუსალიმის „ბეითარი“. მეტოქედ „ბეითარი“ გვერგო და მერწმუნეთ, გული სულაც არ დამწყვეტია. შანსებს ორმოცდაათი-ორმოცდაათზე ვაფასებ, მოვემზადებით და ვნახოთ, რა გამოგვივა.

უკვე ვესაუბრე „ბეითარის“ პრეზიდენტ მოშე დადაშს. ორგანიზაციულ საკითხებზე მოვილაპარაკეთ. პირველ შეხვედრას 10 აგვისტოს, თბილისში ჩავატარებთ. მგონი, ესეც ჩვენს წისქვილზე დაასხამს წყალს. მეტს ვერაფერს მოგახსენებთ, ვეცდებით, მეტოქეზე სრული წარმოდგენა შევიქმნათ და „ბეითარს“ მზადყოფნაში დავხვდეთ.

ბორის ხურგინი: შემდეგ ეტაპზე მოხვედრის შანსი ორივე გუნდისთვის თანაბარია. დიდი იმედი მაქვს შეკრებისა, რომელსაც გერმანიაში მოვაწყობთ. იქ 6 ამხანაგური მატჩი გვექნება პირველ და მეორე ბუნდესლიგის გუნდებთან, რაც „ვიტ ჯორჯიას“ მეტად საჭირო გამოცდილებას შეჰმატებს და გუნდი „ბეითარს“ მზადყოფნაში დახვდება.

ემილ დანჩევი: ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ პირადად მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. შანსები თანაბარია, ორმოცდაათი-ორმოცდაათზე.

„ლოკომოტივის“ და საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი წილისყრით კმაყოფილი დარჩა.

რევაზ ძოძუაშვილი: ვიცოდი, ყოფილი სოციალისტური ქვეყნის გუნდი უნდა შეგვხვედროდა. „სლოვანზე“ ბევრი არაფერი ვიცი, თუმც მათ რამდენიმე ფეხბურთელზე მაქვს წარმოდგენა. ისინი კვიპროსზე სლოვაკეთის ნაკრებში თამაშობდნენ. ნორმალური გუნდი უნდა იყოს. ისე, მოუგებელი ახლა რომელია? კენჭისყრით კმაყოფილი დავრჩი. შეიძლებოდა, გაცილებით სახელოვანი მეტოქე შეგვხვედროდა. ვნახოთ, მგონი, ამათ მოვუგებთ. ახლა, რამდენიმე დღეში, ბორჯომში გავემგზავრებით და სლოვაკებთან მატჩებისთვის კარგად მოვემზადებით.

ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

პირველი მატჩები 12 ივლისს, საპასუხო — 19 ივლისს

1. კლაქსვიკარი (ფარერები) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)
2. ლანსანტფრეიდი (უელსი) — ლევადია (ესტონეთი)
3. სლოგა იუგომაგნატი (მაკედონია) — შელბურნი (ირლანდია)
4. ბირკირკარა (მალტა) — რეიკიავიკი (ისლანდია)
5. ჟალგირისი (კაუნასი, ლიტვა) — ბროტნიო (ბოსნია)
6. ტირანა (ალბანეთი) — ზიმბრუ (მოლდოვა)
7. შირაქი (სომხეთი) — ბატე (ბელარუსი)
8. ჰაკა (ფინეთი) — ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია)
9. სკონტო (ლატვია) — შამქირი (აზერბაიჯანი)
10. დუდელანჟი (ლუქსემბურგი) — ლევსკი (ბულგარეთი)

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

პირველი მატჩები 26 ივლისს, საპასუხო — 2 აგვისტოს

1 წყვილის გამარჯვებული — ტორპედო (ქუთაისი, საქართველო)
8 წყვილის გამარჯვებული — ინტერი (ბრატისლავა, სლოვაკეთი)
ჰელსინგბორგი (შვედეთი) — 7 წყვილის გამარჯვებული
დინამო (ბუქარესტი, რუმინეთი) — პოლონია (პოლონეთი)
3 წყვილის გამარჯვებული — რუსენბორგი (ნორვეგია)
ბეშიქთაში (თურქეთი) — 10 წყვილის გამარჯვებული
შტურმი (ავსტრია) — ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი)
6 წყვილის გამარჯვებული — მარიბორი (სლოვენია)
სლავია (პრაღა, ჩეხეთი) — 9 წყვილის გამარჯვებული
ანდერლეხტი (ბელგია) — ანართოსისი (კვიპროსი)
შახტარი (უკრაინა) — 2 წყვილის გამარჯვებული
გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია) — 5 წყვილის გამარჯვებული
ბრონდბიუ (დანია) — 4 წყვილის გამარჯვებული
ჰაიდუკი (ხორვატია) — დუნაფერი (უნგრეთი)

უეფას თასი

UEFA CUP

საკვალიფიკაციო ეტაპი

პირველი მატჩები — 10 აგვისტოს, საპასუხო მატჩები — 24 აგვისტოს

ვიტ ჯორჯია (თბილისი, საქართველო) — ბეითარი (ისრაელი)
სლოვანი (სლოვაკეთი) — ლოკომოტივი (თბილისი, საქართველო)
უნივერსიტატეა (რუმინეთი) — პობედა (მაკედონია)
ფოლგორი (სან მარინო) — ბაზელი (შვეიცარია)
ნეფთჩი (აზერბაიჯანი) — ნოვა გორიცა (სლოვენია)
რაპიდი (ვენა, ავსტრია) — ტეუტა (ალბანეთი)
ბრიუგე (ბელგია) — ფლორა (ესტონეთი)
ვესტმანაეიარი (ისლანდია) — ჰართსი (შოტლანდია)
აკადემისკი (დანია) — ტორსჰაგენი (ფარერები)
კოლრეინი (ჩრდ. ირლანდია) — იორგრიტე (შვედეთი)
არაქსი (სომხეთი) — კოშიცე (სლოვაკეთი)
ნარპედაკი (იუგოსლავია) — ტულევიკი (ესტონეთი)
მტკ (უნგრეთი) — იოკერიტი (ფინეთი)
ვორსკლა (უკრაინა) — რაბოტნიჩკი (მაკედონია)
გენტი (ბელგია) — აკრანესი (ისლანდია)
ბანგორ სიტი (უელსი) — ჰალმსტადი (შვედეთი)
ვენტსპილსი (ლატვია) — ვაშაში (უნგრეთი)
ჟენესი (ლუქსემბურგი) — სელტიკი (შოტლანდია)
დრნოვიცე (ჩეხეთი) — ბუდუჩნოსტი (ბოსნია)
ტომორი (ალბანეთი) — აპოელი (კვიპროსი)
რაპიდი (ბუქარესტი, რუმინეთი) — მიკა (სომხეთი)
ომონია (კვიპროსი) — ნეფტოხიმიკი (ბულგარეთი)
ჟელეზნიჩარი (ბოსნია) — ვისლა (პოლონეთი)
შერიფი (მოლდოვა) — ოლიმპია (სლოვენია)
ქიაფაზი (აზერბაიჯანი) — ანთალიასფორი (თურქეთი)
ჟალგირისი (ვილნიუსი, ლიტვა) — რუხი (პოლონეთი)
აბერდინი (შოტლანდია) — ბოჰემიანსი (ირლანდია)
გი გოტუ (ფარერები) — ნორჩიოპინგი (შვედეთი)
მეტალურგსი (ლატვია) — ბრანი (ნორვეგია)
სლავია (მოზირი, ბელარუსი) — მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი)
სლიმა უონდერერსი (მალტა) — პარტიზანი (იუგოსლავია)
კონსტრუქტორული (მოლდოვა) — ცსკა (სოფია, ბულგარეთი)
აიკ (შვედეთი) — გომელი (ბელარუსი)
ჰიკ (ფინეთი) — გრევენმახერი (ლუქსემბურგი)
გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) — ლილესტრიომი (ნორვეგია)
ეკრანასი (ლიტვა) — ლიერსი (ბელგია)
ბოავიშტა (პორტუგალია) — ბერი თაუნი (უელსი)
კონსტელასიო (ანდორა) — რაიო ვალეკანო (ესპანეთი)
ლოზანა (შვეიცარია) — კორკ სიტი (ირლანდია)
ლა ვალეტა (მალტა) — რიეკა (ხორვატია)
ამიცა (პოლონეთი) — ვადუცი (ლიხტენშტაინი)

«ტორპედოს» შესაძლო მეტოქეები

ცრვენა ზვეზდა (ბელგრადი, იუგოსლავია)

დაარსდა: 1945 წელს
პრეზიდენტი: დრაგან ჯაიჩი
მწვრთნელი: სლავოლიუბ მუსლინი
სტადიონი: „ცრვენა ზვეზდა“ (ტევადობა 97 422)
იუგოსლავიის ჩემპიონი (21): 1951, 53, 56, 57, 59, 60, 64, 68, 69, 70, 73, 77, 80, 81, 84, 88, 90, 91, 92, 95, 2000
თასის მფლობელი (17): 1948, 49, 50, 58, 59, 64, 68, 70, 1, 82, 85, 90, 93, 95, 96, 97, 2000
ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (1): 1991
საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი (1): 1991

სწორება წითელ ვარსკვლავზე

რა დიდი ხნის წინ იყო, იუგოსლავიურმა — „ცრვენა ზვეზდამ“ ჩვენებურ ფოთის „კოლხეთს“ ქართული კლუბებისთვის არნახული სირცხვილი რომ აჭამა.

ბელგრადულმა „წითელმა ვარსკვლავმა“ ორი მატჩის ჯამში 11:0 (4:0, 7:0) დაამარცხა უძველესი ქართული კლუბი და ამ მარცხის განსაქარვებლად მთელმა ორმა სეზონმაც არ იკმარა. „კოლხეთის“ ბელგრადში 0:7 წაგება მანამ იყო სალაპარაკო, სანამ „ლოკომოტივმა“ იგივე ანგარიშით შინ, თბილისში არ წააგო პაოკ-თან.

გუშინდელმა წილისყრამ საქართველოს ჩემპიონ ქუთაისის „ტორპედოს“ შესაძლო მეტოქედ სწორედ ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“ არგუნა.

იუგოსლავიის წლევანდელი ჩემპიონი და თასის მფლობელი შარშანწინდელთან შედარებით დიდად არ შეცვლილა. ეგაა, მაშინდელი უმთავრესი დამრტყმელი ძალა პერიცა ოგნიენოვიჩი მადრიდის „რეალს“ მიჰყიდა. თუმცა იუგოსლავიაში ნიჭიერ „იჩებს“ რა დალევს. სწორედ მათი წყალობით „ცრვენა ზვეზდა“ 105 ქულით გახდა ჩემპიონი იუგოსლავიის 21-გუნდიან ჩემპიონატში.

მწვრთნელი, ვინც „ცრვენა“ გაჩემპიონა წარსულში ამ კლუბის ფეხბურთელი იყო. 1953 წლის 15 ივნისს კრაგულევაცში დაბადებულმა სლავოლიუბ მუსლინმა წითელვარსკვლავიანი მაისურით 302 მატჩი ითამაშა და 14 გოლი გაიტანა. მუსლინმა მოთამაშის კარიერა საფრანგეთის „ბრესტში“ დასრულა და იქვე დაიწყო სამწვრთნელო მოღვაწეობა. „ბრესტის“ მერე „პო“ გაწვრთნა, ამას „ბორდო“, „ლანსი“, „ლე მანი“ და ესპანური „კასაბლანკა“ მოჰყვა.

მუსლინის სამწვრთნელო კარიერის მწვერვალი „ბორდოში“ ჩატარებული სეზონი გამოდგა. ინტერტოტოს თასის უბრალო მონაწილე საბოლოოდ უეფას თასის ფინალისტი გამოდგა (დამარცხდა მიუნხენის „ბაიერნთან“) მსოფლიოს ფეხბურთს კი ისეთი ვარსკვლავები მისცა, როგორც ზინედინ ზიდანი, ბიქსენტ ლიზარაზუ და კრისტოფ დიუგარია.

მუსლიმმა „ცრვენა ზვეზდა“ 1999 წლის 21 სექტემბერს ჩაიბარა და სეზონი დუბლის მოგებით ჩაამთავრებინა.

თასის ფინალში „ცრვენამ“ „ნაპრედაკი“ 4:0 დაამარცხა.

ორი სიტყვა (ჯერ ეს ვიკმაროთ) მოთამაშეებზეც ვთქვათ. ფოთში ნანახი გუნდიდან „ცრვენას“ 10 ფეხბურთელი შემორჩა. მათში ყველაზე გამორჩეული ახლა ევრო 2000-ზე მოთამაშე იუგოსლავიელი ივან დუდიჩი, სლოვენიელი მილენკო აჩიმოვიჩი, „კოლხთა“ კარის არაერთგზის დამლაშქრავი მიოდრაგ პანტელიჩი და დრაგან მიჩიჩია.

„ცრვენას“ იუგოსლავიის ნაკრებში კიდევ ორი ფეხბურთელი ჰყავდა — მეკარე ალექსანდარ კოციჩი, ჩემპიონატამდე ხელი რომ მოიტეხა და შეცვალეს და გორან ბუნიევჩევიჩი, რომელიც ესპანურ „ლას პალმასს“ მიჰყიდეს.

„ცრვენას“ წლევანდელი ბომბარდირი მიხაილო პიანოვიჩია, რომელმაც 85-იდან 22 გოლი გაიტანა.

რაც შეეხება „ცრვენა ზვეზდას“ ნაღდ და „ტორპედოს“ მეორე შესაძლო მეტოქე „კლაკსვიკარს“, ფარერის კუნძულების ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია, მაგრამ საეჭვოა, მის თაობაზე ცნობების შეგროვება დაგვჭირდეს, რადგან თუ ამ გუნდების პაექრობა ფეხბურთის ფარგლებს არ გასცდა, ფარერელები ბელგრადს ვერ გასცდებიან.

ვახტანგ ბზიკაძე

„ცრვენას“ ფანობა ფოთში: „კოლხეთი“ დამარცხებულია!

კლაკსვიკარი (კლაკსვიკი, ფარერები)

დაარსდა: 1904 წელს
პრეზიდენტი: არნი იოენსენი
მწვრთნელი: იანის იაკობსენი
სტადიონი: „კლაქსვიკარი“ (ტევადობა 4 000)
ჩემპიონი (17): 1942, 45, 52, 53, 54, 56, 57, 58, 61, 66, 67, 68, 69, 70, 72, 91, 2000
თასის მფლობელი (4): 1966, 67, 90, 94

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის «ვიტ ჯორჯიას» მეტოქე

მილიარდერი იერუსალიმიდან

ბეითარი (იერუსალიმი, ისრაელი)

დაარსდა: 1939 წელს
პრეზიდენტი: მოშე დადაში
მწვრთნელი: ელი გუტმანი
სტადიონი: „ტედი“ (ტევადობა 21 000)
ისრაელის ჩემპიონი (4): 1987, 93, 97, 98
ისრაელის თასის მფლობელი (6): 1976, 79, 85, 86, 89, 2000

უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრამ საქართველოს ვიცე-ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას“ ისრაელის ჩემპიონატში მეხუთე ადგილზე გასული იერუსალიმის „ბეითარი“ შეახვედრა.

გაუმართლა თუ არა „ვიტ ჯორჯიას“, ძნელი სათქმელია. ყველაფერი უშუალოდ მათი დაპირისპირების შემდეგ გაირკვევა, თუმც ისიც ხომ ფაქტია, რომ ამქვეყნად დაუმარცხებელი არავინაა, მაგრამ...

იერუსალიმის „ბეითარს“ ისრაელის ჩემპიონატში ტიტულებით ბევრიც ვერ გააკვირვებს. „ბეითარი“ ჩემპიონიც ყოფილა და პრიზიორიც, ფულიც თითქმის არასდროს ჰკლებია, მაგრამ ფინანსური სიძლიერე ამიერიდან ვიკითხოთ. უმჯობესი იქნება, თუ ყველაფერს თავიდან დავიწყებთ.

„ბეითარს“ ახალი მეპატრონე ჰყავს — გად ზეევი ისრაელის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია. მის მფლობელობაშია ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, საამშენებლო ფირმები, ბენზინგასამართი სადგურები. ახლა საკუთარი საფეხბურთო კლუბიც გაიჩინა. მოკლედ, გად ზეევი აუარება ფულის პატრონია და, ალბათ, „ბეითარსაც“ არაფერი მოაკლდება.

კლუბის პრეზიდენტი მოშე დადაში ძველ მეპატრონეებთანაც შეხმატკბილებული ყოფილა და არც ახალს უნდა ემდუროდეს, რაკი თანამდებობა შეინარჩუნა.

ეტყობა, გად ზეევი „ბეითარის“ მეხუთეობას ვერ შეურიგდება და კლუბის დასაკუთრების შემდეგ გუნდის რეკონსტრუქცია-გადახალისებისთვის მიუყვია ხელი. ახალმა მეპატრონემ ძველ მწვრთნელ ელი ოჰანას კარები ცხვირწინ მიუხურა და გუნდში ისრაელის ერთ-ერთი უძლიერესი სპეციალისტი ელი გუტმანი მიიწვია. გუტმანმა, შარშან ჰაიფას „ჰაპოელი“ გააჩემპიონა.

„ჰაპოელს“ მისი ხელმძღვანელობით არც ევროთასებზე შეურცხვენია თავი. ჯერ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოსინჯეს ძალები და თურქული „ბეშიქთაში“ დაიბრიყვეს, თუმც ესპანურ „ვალენსიას“ ვერა მოუხერხეს და დამარცხებულებმა უეფას თასზე განაგრძეს თამაში.

გუტმანის დამოძღვრილმა „ჰაპოელმა“ გათამაშებიდან ბელგიური „ბრიუგე“ გამოთიშა, მერე შოთა არველაძის „აიაქსს“ ეწვია და „ამსტერდამ არენაზე“ 1:0 გაიმარჯვა.

„ჰაპოელის“ მესვეურთა სამწუხაროდ კიდევ ერთი სენსაცია არ შედგა. საპასუხო მეტჩში „აიაქსმა“ 3:0 გაიმარჯვა და შემდეგ წრეში ჰოლანდიელები გავიდნენ.

ელი გუტმანმა „ბეითარის“ თავის გემოზე გაწყობა მოინდომა და ამჟამად აქტიურ შერჩევით და სატრანსფერო სამუშაოებს ატარებს. შარშანდელი „ბეითარიდან“ ახალმა მწვრთნელმა ჯერჯერობით მხოლოდ ოთხი მოთამაშე დაიტოვა, დანარჩენებზე უოქვამს, ვნახოთო.

ისევ ბეითარელია ისრაელში მეტად პოპულარული, კლუბისა და ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი იოსი აბუქისი.

ელი გუტმანმა მოწყალე თვალით შეხედა „ბეითარის“ ორ უნგრელ ლეგიონერს. მარცხენა ნახევარმცველმა იშტვან ჰამარმა და ცენტრალურმა შუახახელმა ტომაშ შანდორმა თავკაცის ნდობა დაიმსახურეს. ორივე უნგრეთის ეროვნული გუნდის წევრია. ტომაშ შანდორს თავის დროზე იტალიური „ტორინოც“ დაუჭაშნიკებია.

თავდამსხმელი ალონ მიზრახიც, რომელიც ფრანგულ ნიცაგამოვლილიცაა, გუტმანის განკარგულებაში დარჩება.

მწვრთნელმა „ჰაპოელიდან“ გადაიბირა ხორვატი ნახევარმცველი ჯოვანი როსო, რომელიც შარშან ისრაელის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. „ბეითარმა“ მასში მილიონი დოლარი გადაიხადა, რაც იქაური ჩემპიონატისთვის ძალიან დიდი თანხაა. ეს როსოს სიძლიერესა და პოპულარობაზე მეტყველებს.

შოტლანდიური „დანდიდან“ (გიორგი ნემსაძის კლუბი) გამოისყიდეს ისრაელის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე — იან ტელასნიკოვი. 28 წლის ფეხბურთელი შოტლანდიაში სწორედ „ბეითარიდან“ გადავიდა. ახლა იგი ისევ ბეითარელია. ტელასნიკოვი ისრაელში 4 წლისა ჩაიყვანეს მშობლებმა, რომლებიც მანამდე თურმე რუსეთში ცხოვრობდნენ.

ელი გუტმანმა იუგოსლავიური „პარტიზანის“ ორი ცენტრალური მცველიც გადაიბირა. მათი ვინაობა ჯერჯერობით ვერ დავადგინეთ, მხოლოდ ის ვიცით, რომ ერთი მაკედონიის მოქალაქეა, მეორე — იუგოსლავიის.

ელი გუტმანი

„ბეითარი“ კვლავაც სატრანსფერო გაწამაწიაშია. გუნდის დაკომპლექტება ჯერაც არ დასრულებულა.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ როგორ მოხვდა მეხუთეადგილოსანი „ბეითარი“ უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე? პასუხი მარტივია, „ბეითარმა“ ისრაელის თასი მოიგო.

ბოლოს „ბეითარის“ ახალი მწვრთნელის, ელი გუტმანის მცირე კომენტარს შემოგთავაზებთ, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით:

— „ვიტ ჯორჯია“ ჩვენთვის სრულიად უცნობი გუნდია და წინასწარ ვერაფერს მოგახსენებთ. მალე გუნდის დაკომპლექტება დასრულდება და სერიოზულ მზადებასაც შევუდგებით. ცხადია, „ბეითარი“ მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ითამაშებს.

მამუკა კვანტალიანი

„ბეითარის“ მილიონიანი შენაძენი
ჯოვანი როსო (კლუბის მაისურათი) პრეზენტაციისას

თბილისის «ლოკომოტივის» მეტოქე

უძლიერესი და მესამე

სლოვანი (ბრატისლავა, სლოვაკეთი)

დაარსდა: 1919 წელს
პრეზიდენტი: იან დაკი
მწვრთნელი: სტანისლავ იარაბეკი
სტადიონი: „ტეჰელნე პოლე“ (ტევადობა 32 000)
ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი (8): 1949, 50, 51, 55, 70, 74, 75, 92
ჩეხოსლოვაკიის თასის მფლობელი (5): 1962, 63, 68, 74, 82
სლოვაკეთის ჩემპიონი (4): 1994, 95, 96, 99
სლოვაკეთის თასის მფლობელი (3): 1994, 97, 99
ევროპის თასების მფლობელთა თასის მფლობელი (1): 1969

— უკმაყოფილო ვარ. თბილისის „ლოკომოტივზე“ საერთოდ წარმოდგენაც არ მაქვს. ვიცი, ქართველები არიან, ეს ქვეყანა კავკასიაშია, რუსეთის მეზობლად. მეტი არაფერი. როგორ ფეხბურთს თამაშობენ, ახლა უნდა ვეცადოთ და გავიგოთ. იმედი მაქვს, „ლოკომოტივთან“ ინფორმაციას გავცვლით. დარწმუნებული ვარ, რთული მატჩი გველის, თუმც გამარჯვების იმედი მაქვს. უკეთესი იქნებოდა, სხვა ქვეყნის გუნდი შეგვხვედროდა — აი, ეს განუცხადა ჟენევაში დამთავრებული კენჭისყრის შემდეგ სლოვაკ ჟურნალისტებს თბილისის „ლოკომოტივის“ მეტოქის, ბრატისლავის „სლოვანის“ გენერალურმა დირექტორმა რომან დუბენმა. არ სცოდნია არაფერი ამ კაცს საქართველოზე და რა ქნას. გაარკვია თავის გუნდის მეტოქე და უკმაყოფილო დარჩა. უკმაყოფილო, „ლოკომოტივის“ მწვრთნელ რევაზ ბოძუაშვილისგან განსხვავებით. ბოძუაშვილს ოდნავი წარმოდგენა მაინც ჰქონია სლოვაკურ, ყველაზე პოპულარულ, ყველაზე სახელოვან და ყველაზე ტიტულიან კლუბზე...

ორიოდ წლის წინ ერთი კურიოზი შემემთხვა ალბანეთში. სლოვაკები და სლოვენიელები ამერია ერთმანეთში. მაშინ ევრო 2000-ის შესარჩევი მატჩები დაწყებული არ იყო და ვიფიქრე, აგერ, ჩვენი მომავალი მეტოქე ქვეყნის ერთ-ერთი გუნდია და ამათ გამოველაპარაკები, ეგებ რაიმე საინტერესო მითხრან-მეთქი. მივუახლოვდი ერთ ზორბა, ულავაშა კაცს და გავეცანი, ქართველი ვარ-მეთქი. გაკვირვებულმა შემომხედა, ორჯერაც გამამეორებინა სადაურობა. მერე მანაც, „სლოვანის“ გენერალური დირექტორისა არ იყოს, აა, კავკასიაო, თქვა. შესარჩევ მატჩებზე გავუბი ლაპარაკი და პირდაღებული რომ მომაცქერდა, მაშინღა მივხვდი, მისამართი შემშლია, სლოვენიელი კი არა, სლოვაკი ყოფილა, მისი გუნდი კი ბრატისლავის „ინტერი“, რომელსაც წინადღით „ტირანა“ დაემარცხებინა. ახლა, ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას, ერთმა ენამოსწრებულმა კაცმა სლოვენიელების კარგი თამაშის შემდეგ რომ თქვა, სრეჩკო კატანეცმა ევროპას სლოვენია სლოვაკეთისგან გაარჩევინაო, ის ამბავი გამახსენდა. მე იმ ულავაშამ გამარჩევინა სლოვენია-სლოვაკეთი...

მოკლედ, „ინტერის“ იმ ჩინოსანს ცივად რომ არ დავშორებოდი და ვითომ ძალიან მაინტერესებდა, სიტყვა სლოვაკურ ფეხბურთზე ჩამოვუგდე. დაახლოებით ხუთი წუთი ვისაუბრეთ და ამ კაცმა ერთი ათჯერ კი ახსენა „სლოვანი“. ასეთი გუნდია, ისეთი, სლოვაკეთში ყველაზე ძლიერი, მოქიშპეები კი ვართ, მაგრამ სიმართლე ვთქვა, ჩვენზე გაცილებით უკეთესი, შეძლებული გუნდია, სლოვაკეთში ყველას დამჩაგვრელიო — ამბობდა. ვუსმენდი მას და ისიც გამახსენდა, „სლოვანს“ ოდესღაც ევროპის თასების თასი რომ მოეგო. ახლა კი ზუსტად ვიცი, „სლოვანმა“ ჩვენს „დინამოზე“ 12 წლით ადრე, 1969 წელს დაისაკუთრა ის ვერცხლისფერი თასი, „ლაციოს“ რომ სამუდამოდ დარჩა.

„სლოვანს“ გარდა თასთა თასისა, ჩეხოსლოვაკიის თასი 5-ჯერ მოუპოვებია, სამჯერ კი — სლოვაკეთისა. არის ჩეხოსლოვაკიის რვაგზის და სლოვაკეთის ოთხგზის ჩემპიონი. „სლოვანი“ ყოფილ ჩეხოსლოვაკიაშიც ძალიან პოპულარული იყო და ახლაც, სლოვაკეთში, ასევე აგრძელებს.

„სლოვანში“ თავის დროზე თამაშობდა და გუნდის კაპიტანი იყო ცნობილი მწვრთნელი იოჟეფ ვენგლოში, რომელიც ჩეხოსლოვაკიის ნაკრების გარდა პორტუგალიურ „სპორტინგსა“ და „ასტონ ვილას“ წვრთნიდა. ამ გუნდის ნახევარმცველი, ორიოდ წლის წინ კი კლუბის პრეზიდენტი ანტონ ონდრუში 1976 წლის ევროპის ჩემპიონი ჩეხოსლოვაკიის ნაკრების კაპიტანი გახლდათ. „სლოვანში“ თამაშობდა საქვეყნოდ ცნობილი მეკარე ვილიამ შროიფი, 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ გაიბრწყინა და სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა ჯალმა სანტოსის, გარინჩას, მასოპუსტსსა და სხვა ვარსკვლავებთან ერთად. 1963 წლის ფიფას სიმბოლურ ნაკრებში კიდევ ერთ სლოვანელს, იან პოპლუჰარს უთამაშია. „სლოვანის“ მცველი გახლდათ იოჟეფ ჩაჰკოვიჩიც, 1976 წლის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში თვით იოჰან კრუიფს რომ ფეხი არ გაანძრევინა.

„სლოვანი“ უწინ მართლაც დიდი გუნდი გახლდათ, ახლა კი... „ლოკომოტივის“ სამომავლო მეტოქის თამაშზე ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ.

გუნდს ერთი სეზონია, სტანისლავ იარაბეკი წვრთნის, რომლის თავკაცობითაც „სლოვანმა“ სლოვაკეთის ჩემპიონატი 57 ქულით, „ინტერისა“ და „კოშიცეს“ შემდეგ მესამე ადგილზე ჩაამთავრა. ეროვნულ გუნდის წევრად დღეს რვა სლოვანელი ითვლება, მათგან ერთმა, ლუბომირ მესაროშმა კი თებერვალში კვიპროსის საერთაშორისო ტურნირზე სლოვაკეთის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ქართველების წინააღმდეგ ითამაშა. „სლოვანში“ ერთი უკრაინელი ლეგიონერია, თავდამსხმელი სერგეი ბორისენკო. გუნდის ლიდერად კი მცველი სტანისლავ ვარგა ითვლება.

აი, დღეს სულ ეს არის, რაც „ლოკომოტივის“ მეტოქეს, ბრატისლავის „სლოვანს“ შეეხება.

ძოგა ინასარიძე

იოჟეფ ვენგლოში

სტანისლავ ვარგა

ლევან ხომერიკმა ტიროლს გაუტანა

ქართველი თავდამსხმელი ბულგარელის შეცვლას აპირებს

თუ „ციურიხის“ ქართველი ლეგიონერები — გოჩა ჯამარაული და მიხეილ ყაველაშვილი ამ ზაფხულს სხვა ქვეყანას არ მიაშურებენ, შვეიცარიის ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონში მომავალ სეზონში, ალბათ, სამი ჩვენებური ითამაშებს. სავსებით შესაძლებელია, ბათუმისა და თბილისის „დინამოს“ ყოფილმა თავდამსხმელმა ლევან ხომერიკმა უახლოეს დღეებში ამ ქვეყნის ერთ-ერთ კლუბ „არაუსთან“ კონტრაქტი გააფორმოს და კარიერა შვეიცარიაში გააგრძელოს.

ცოტა ხნის წინათაც ვიტყობინებოდით, რომ ხომერიკი „ბათუმის“ იტალიელ თავკაც ჯანი კარნევალისთან ერთად ივნისის მეორე ნახევარში შვეიცარიას გაემგზავრა. ფეხბურთელით კარნევალის ძალისხმევის შედეგად „არაუ“ დაინტერესდა და მისი საქმეში ნახვაც მოისურვა.

„არაუს“ მთავარი მწვრთნელის, როლფ ფრინგერის გადაწყვეტილებით, გუნდი მომავალი ჩემპიონატისთვის 20 ივნისს შეიკრიბა და ვარჯიშსაც შეუდგა. ლევანიც ძირითად შემადგენლობას შეუერთდა. ქართველის გარდა ფრინგერმა გუნდში კიდევ ერთი ახალწვეული, 26 წლის ბრაზილიელი ნახევარმცველი მარსიო მიიყვანა, რომელიც ბოლო სეზონში სამხრეთამერიკული „რესიფეს“ ღირსებას იცავდა.

22 ივნისს „არაუმ“ პირველი საკონტროლო მატჩიც გამართა ავსტრიის ჩემპიონ „ტიროლთან“. ეს შეხვედრა ფრინგერს უფრო ახალწვეულების საქმეში სანახავად სჭირდებოდა.

„კარგი ფეხბურთელები ჩანან, ალბათ, დავიტოვებთ. ვნახოთ, მომავალ მატჩებში როგორ შთაბეჭდილებას დატოვებს ეს დუეტი. ახლა ყველაზე მეტად კარგი თავდამსხმელი გვჭირდება. ისეთი, რომელიც გუნდიდან წასულ ივანოვს სრულფასოვნად შეცვლის. ხომერიკს საამისო მონაცემები ნამდვილად აქვს“ — განუცხადა „არგაუერ ციტუნგს“ ფრინგერმა, რომლისთვისაც ქართველ ფეხბურთელებთან მუშაობა უცხო სულაც არ არის. ივი ერთი ხანობა ციურიხის „გრასჰოპერსაც“ თავკაცობდა, როცა ამ გუნდში ნემსაძე და ყაველაშვილი გამოდიოდნენ.

ლევან ხომერიკს (მარცხნივ) ახლა შვეიცარიული „არაუსთვის“ გააქვს გოლები

ახალწვეულებმა „ტიროლთან“ მართლაც კარგად ითამაშეს. 26 წლის ხომერიკმა გოლის გატანაც შეძლო, რომლის წყალობითაც „არაუ“ 2:1 დაწინაურდა, თუმცა საბოლოოდ მაინც დამარცხდა. ბოლო ათ წუთში ავსტრიის ჩემპიონებმაც სამი გოლი გაიტანეს და ორბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა შეძლეს. მატჩი 4:3 დასრულდა.

მწვრთნელები დღეს კიდევ ერთხელ გამოსცდიან ხომერიკს და მარსიოს. ამ საღამოს „არაუ“ „ვინტერთურს“ დაუპირისპირდება. ამ შეხვედრის გარდა უახლოეს ათ დღეში არაუელები კიდევ სამ ამხანაგურ თამაშს გეგმავენ: 28 ივნისს „მურთან“, 1 ივლისს ბულგარეთის ჩემპიონ სოფიის „ლევსკისთან“ და 4 ივლისს პოლონურ „პოგონთან“.

იმედია, ამ მატჩებს ლევან ხომერიკი უკვე „არაუს“ წევრის რანგში შეხვდება.

ვანო ოქროპირიძე

ქართველი მოსკოვის „სპარტაკში“

რომანცევი ოთარ ხიზანეიშვილის ქებაშია

ოთარ ხიზანეიშვილი, რომელიც თავის დროზე იოჰან ბოსკამპმა ორჯერ საქართველოს ნაკრებშიც ათამაშა და მისი ერთობ ეიმედებოდა, ახლა რუსეთის ჩემპიონ მოსკოვის „სპარტაკში“ ვარჯიშობს.

უკრაინის „კრივბასის“ ჩვენებური ფეხბურთელი მოსკოვში კვირას ჩავიდა და ორშაბათიდან გუნდის ძირითად შემადგენლობასთან ერთად ემზადება ოლეგ რომანცევის ხელმძღვანელობით.

მართალია, კონტრაქტით ოთარ ხიზანეიშვილი „კრივბასს“ ეკუთვნის, მაგრამ „სპარტაკმა“ თუ მისი დატოვება გადაწყვიტა, უკრაინელები ფეხბურთელს ხელს ვერ შეუშლიან. საქმე ის გახლავთ, რომ „კრივბასმა“ ოთარს კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები მთლიანად ვერ შეუსრულა. ჩვენებურს ახლავე შეუძლია უკრაინელებთან ურთიერთობის გაწყვეტა. „კრივბასი“ ფინანსურ კრიზისშია.

ხუთი დღეა, ოთარ ხიზანეიშვილი რომანცევს თავს აწონებს და დიდი შანსია, „სპარტაკში“ ითამაშოს. ოთარი „სპარტაკის“ ბაზაზე, ტარასოვკაში ცხოვრობს და არც შეკრებაზე მყოფი გამოცდილი სპარტაკელების ყურადღება აკლია. მისი ვარჯიშით ფეხბურთელებიც კმაყოფილნი დარჩნენ.

— ხიზანეიშვილი გუნდში კვირას მოვიდა. საღამოთი მწვრთნელ რომანცევს დაახლოებით ერთ საათს ესაუბრა და მეორე დილითვე ძირითად შემადგენლობასთან ერთად ვარჯიშს შეუდგა. ფიზიკურად ძლიერი და გონიერი ფეხბურთელია, ამბობს მასზე ოლეგ რომანცევი. მე კი გუშინ მითხრა, რომ ქართველს ლიბეროობაზე მეტად, ვფიქრობ, მეტოქის პერსონალური მეთვალყურეობა უნდა ეხერხებოდესო. რუსეთში ცოტა ხანში განაცხადების გაახლების დრო დადგება და ვიმედოვნებ, რომ „სპარტაკის“ შემადგენლობაში ეს ბიჭიც მოხვდება. საბოლოო სიტყვა რომანცევზეა. ჩვენ ახლა როსტოვში მივემგზავრებით „როსტელმაშთან“ სათამაშოდ, დავბრუნდებით და ხიზანეიშვილის საკითხიც ალბათ მაშინ გადაწყდება — გვითხრა „სპარტაკის“ პრესატაშემ ალექსანდრ ლვოვმა, როცა გუშინ მოსკოვში შევეხმიანეთ.



ჩვენ ისიც გავიგეთ, რომ რომანცევი ხიზანეიშვილის კარგ ფეხბურთელობაში უკვე დარწმუნდა, ახლა მთავარი ფინანსებია და ხიზანეიშვილის ხასიათი. „სპარტაკში“ ამას თურმე უდიდეს ყურადღებას აქცევენ. ახალწვეული ყველანაირად უნდა შეეწყოს პარტნიორებსო, ამბობენ მოსკოველები. რას ერჩი, მართალია.

კობა ინასარიძე

ფეხბურთის ჩუქურთმა

ᲨᲕᲔᲓᲘ ფორვარდი კენეტ ანდერსონი, შესაძლოა „ბოლონიადან“ „ფიორენტინაში“ გადავიდეს, ფეხბურთელს ფლორენციული გუნდის ახალი მწვრთნელი ფათიჰ თერიმი ეპატიჟება. „ფიორენტინადან“ საინტერესო შემოთავაზება მივიღეთ, დაფიქრება ნამდვილად ღირს — აცხადებს ანდერსონის აგენტი ვიჩენცო მორაბიტო — მომზიდველი წინადადებაა, კენეტმა „ფიორენტინაში“ გაბრიელ ბატისტუტა უნდა შეცვალოს“. „ბოლონიას“ კიდევ ერთ მოთამაშეს, კლას ინგესონს მარსელის „ოლიმპიკში“ იწვევენ. „მეც და კენეტსაც კარიერის დასრულება „ბოლონიაში“ გვსურდა, თუმც, შესაძლოა წლეულს კლუბი ორივემ დავტოვოთ. ანდერსონს ფლორენციიდან, ხოლო მე მარსელიდან შეგვეხმიანნენ“ — თქვა ინგესონმა.

ᲩᲔᲩᲘ ნახევარმცველის, რადეკ ბეიბლის შეძენას დორტმუნდის „ბორუსია“ აპირებს. მადრიდის „ატლეტიკოს“ 27 წლის ფეხბურთელმა განაცხადა: „გერმანიაში სიამოვნებით ვითამაშებ. ტრანსფერი ჯერჯერობით შეფერხდა, თუმცა ვიმედოვნებ, ყველაფერი მალე მოგვარდება“. შეთანხმების ერთ-ერთ ხელშემშლელ პირობად სატრანსფერო თანხას მიიჩნევენ. მადრიდული კლუბი ბეიბლის სანაცვლოდ 5,3 მილიონ გირვანქას ითხოვს, დორტმუნდელებმა კი, ჩვენ ამის გადამხდელები არ ვართო.

ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲘᲡ ნაკრების პრესატაშის ცნობით, ნახევარმცველი მირან პავლინი „კარლსრუედან“ „პორტუში“ გადავიდა. ფეხბურთელმა ახალ კლუბთან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. სატრანსფერო თანხა არ გაცხადებულა, თუმცა სააგენტოები იუწყებიან, რომ პავლინი წელიწადში დაახლოებით 260 ათას გირვანქას მიიღებს. „პავლინმა „პორტუსთან“ ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. კლუბებმა პირობები უკვე შეათანხმეს — განაცხადა პრესატაშემ.

ᲔᲡᲞᲐᲜᲣᲠᲘ „რეალ მალიორკას“ პრეზიდენტი გილენ რეინესი თანამდებობიდან გადადგა. იგი გუნდში ორი წელი მოღვაწეობდა. ამ პერიოდში „მალიორკა“ პრიმერადივიზიონში აღზევდა, თასების თასის ფინალში „ლაციოსთან“ წაგო და ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა. წლევანდელი სეზონი ბალეარის კუნძულების გუნდმა არცთუ წარმატებულად ჩაატარა, რეინესიც სწორედ ამიტომ წავიდა. კლუბს ვიცე-პრეზიდენტი ხუან ფელიუ ჩაუდგა სათავეში.

ᲔᲡᲞᲐᲜᲣᲠᲘ „მალაგას“ ბომბარდირმა კატანიამ „ასტონ ვილასა“ და „ნიუკასლ იუნაიტედისგან“ წინადადებები მიიღო. ესპანური კლუბი ბრაზილიელი ფორვარდის სანაცვლოდ 9 მილიონ გირვანქას ითხოვს, თუმც ბირმინგემულ და ნიუკასლურ კლუბებს ეს თანხა ეძვირებათ. კატანიას გადაბირება მადრიდის „ატლეტიკოსა“ და „რეალს“ სურდათ, თუმცა დღეს ამაზე ნაკლებად საუბრობენ. თუ „მალაგამ“ ბრაზილიელი ფორვარდი გაყიდა, მის ნაცვლად, შესაძლოა მექსიკელი კვატემოკ ბლანკო შეიძინოს.

ᲠᲣᲡᲣᲚᲘ „ზენიტის“ მეკარე რომან ბერეზოვსკი „სენტ ეტიენში“ ერთი თვის წინ გადავიდა, მან ფრანგულ კლუბთან ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. გაზეთი „სპორტ ექსპრესი“ იუწყება, რომ ბერეზოვსკი უკმაყოფილოა და „სენტ ეტიენიდან“ წასვლას აპირებს. ფრანგული და რუსული კლუბები ამჟამად კონტრაქტის გაუქმებაზე მუშაობენ. რუსეთიდან საფრანგეთს „ლოკომოტივის“ ნახევარმცველმა ალექსეი სმერტინმა მიაშურა, იგი „ბორდოს“ ხუთი წლით დაუკავშირდა. სატრანსფერო თანხა კლუბებს არ განუცხადებიათ.

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲘ ფორვარდის, პატრიკ კლუივერტის შეძენა ტურინის „იუვენტუსს“ განუზრახავს, იტალიური სააგენტოების ცნობით, „ბარსელონასა“ და „იუვენტუსს“ შორის მოლაპარაკებები, შესაძლოა უახლოეს მომავალში დაიწყოს. თავად კლუივერტი აცხადებს: „არ არის გამორიცხული, კვლავ იტალიაში დავბრუნდე და ჩემს თანამემამულეებთან — ედგარ დავიდსთან და ედვინ ვან დერ სართან ერთად ვითამაშო. გავიგე, რომ „ბარსელონას“ ჩემს სანაცვლოდ დიდძალ თანხას სთავაზობენ. ესპანეთში ყოფნა მსიამოვნებს, მაგრამ ხელსაყრელი წინადადების შემთხვევაში, ალბათ ტურინს მივაშურებ.“ კატალონიური კლუბი ჯერჯერობით ოფიციალურად არაფერს აცხადებს.

ᲞᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲔᲚᲘ ჟოაუ პინტუს შეძენა „ასტონ ვილას“ სურს, თუმცა ფეხბურთელის ხელში ჩაგდებას სხვა კლუბებიც ლამობენ. „ბენფიკას“ ფორვარდის გადაბირებას „ჩელსი“, „ნიუკასლ იუნაიტედი“ და „ფიორენტინა“ ეცილებიან ერთმანეთს. ჟოაუ პინტუს მომავალი ჯერჯერობით გაურკვეველია, კონკრეტულად არც ლისაბონელები იუწყებიან რამეს.

ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ „ლანსის“ ფორვარდი პასკალ ნუმა „ბეშიქთაშში“ გადავიდა. ფეხბურთელმა თურქულ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ნუმა ადრე პსჟ-ში თამაშობდა, პარიზულ კლუბთან ერთად 1995 წელს საფრანგეთის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. 1997 წელს იგი „სტრასბურში“ გადავიდა, ხოლო 1999 წელს „ლანსში“. ნუმამ „ლანსში“ 21 გოლი გაიტანა. „ბეშიქთაში“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ასპარეზობს, მისი მეტოქე სოფიის „ლევსკი“ ან ლუქსემბურგის „დუდელანჟი“ იქნება.

შკრაინა

30-ე ტური: დინამო — კრივბასი 2:1; ზირკა — შახტარი 2:6; დნიპრო — ვორსკლა 2:1; ტავრია — ზაპოროჟიე 1:2; მეტალურგი — პრიკარპატიე 4:1; ჩორნომორეცი — მარიუპოლი 3:4; კარპატი — ნივა 0:1; მეტალისტი — ცსკა 2:0

საბოლოო ცხრილი

დინამო	30	27	3	0	85:18	84
შახტარი	30	21	3	6	60:16	66
კრივბასი	30	18	6	6	54:30	60
ვორსკლა	30	14	7	9	50:34	49
ზაპოროჟიე	30	12	8	10	43:35	44
მეტალისტი	30	12	8	10	41:39	44
მეტალურგი	30	11	10	9	39:35	43
მარიუპოლი	30	13	3	14	49:48	42
კარპატი	30	12	4	14	49:38	40
ცსკა	30	9	8	13	31:36	35
დნიპრო	30	8	9	13	26:52	33
ნივა	30	7	10	13	40:57	31
ტავრია	30	7	8	15	32:51	29
პრიკარპატიე	30	7	8	15	27:47	29
ჩორნომორეცი	30	6	8	16	20:50	26
ზირკა	30	0	9	21	16:66	9

რუსეთი

14-ე ტური. სპარტაკი — ზენიტი 1:2; ლოკომოტივი — ალანია 1:0; ფაკელი — ტორპედო 1:2; კრილია — როსტსელმაში 0:3; როტორი — ჩერნომორეცი 1:1; ანჟი — სატურნი 2:0; ნ. ნოვგოროდი — დინამო 0:3; ცსკა — ურალანი 0:2

სპარტაკი	14	11	1	2	30:10	34
ანჟი	15	9	2	4	25:11	29
ლოკომოტივი	14	8	5	1	15:6	29
დინამო	14	8	3	3	19:13	27
ჩერნომორეცი	14	7	4	3	23:9	25
ტორპედო	14	7	4	3	18:13	25
სატურნი	14	6	3	5	13:13	21
ზენიტი	14	5	4	5	13:13	19
როსტსელმაში	15	3	8	4	10:8	17
როტორი	14	4	4	6	15:26	16
ალანია	14	4	3	7	11:17	15
კრილია	13	5	0	8	14:22	15
ფაკელი	14	2	6	6	16:25	12
ცსკა	14	3	2	9	10:21	11
ურალანი	14	2	4	8	11:19	10
ნ. ნოვგოროდი	15	0	5	10	6:23	5

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

კროკოს ბიუროებში ევროპის ჩემპიონატის მატჩების დღეებში შეჭების ბარეში იმუშავებს (როცა თამაშები არ ტარდება — ჩვეულებრივი განრიგით)

ევროპის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი

24 ივნისი

025	პორტუგალია-თურქეთი	1,6	3,4	5,0
026	იტალია-რუმინეთი	1,6	3,3	5,3

25 ივნისი

027	ჰოლანდია-იუგოსლავია	1,6	3,2	5,6
028	ესპანეთი-საფრანგეთი	3,4	2,9	2,1

I ტაიმი/ძირითადი დრო

			1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
		24 ივნისი									
21.00	075	პორტუგალია-თურქეთი	2,2	9,0	18,0	3,0	5,6	8,5	10,0	8,0	7,5
23.45	076	იტალია-რუმინეთი	2,3	9,0	18,0	3,0	5,3	8,5	10,0	8,0	7,5
		25 ივნისი									
21.00	077	ჰოლანდია-იუგოსლავ.	2,1	9,0	18,0	3,1	5,0	9,0	10,0	7,5	8,0
23.45	078	ესპანეთი-საფრანგეთი	4,4	7,5	14,0	5,0	4,5	4,0	17,0	7,5	3,2

(დასაშვებია №№075-078 გადამრავლება)

ნახევარფინალში გასვლა

21.00	801	პორტუგალია	1,25
		თურქეთი	3,2
		იტალია	1,25
		რუმინეთი	3,2

21.00	801	ჰოლანდია	1,2
		იუგოსლავია	3,5
		ესპანეთი	2,1
		საფრანგეთი	1,5

ჩემპიონი

24 ივნისი (21.00)

101	ჰოლანდია	3,2
	იტალია	3,6
	საფრანგეთი	4,0
	ესპანეთი	6,0
	პორტუგალია	6,0
	იუგოსლავია	10,0
	რუმინეთი	15,0
	თურქეთი	20,0

ფინალში გასვლა

20 ივნისი (21.00)

201	ჰოლანდია	1,6
	იტალია	1,8
	საფრანგეთი	2,0
	ესპანეთი	2,8
	პორტუგალია	3,0
	იუგოსლავია	5,0
	რუმინეთი	7,0
	თურქეთი	10,0

(დასაშვებია ორი გუნდის გადამრავლება)

ევროპის ჩემპიონატის ბომბარდირი. 20 ივნისი (23.45)

701	მილოშევიჩი	5,0	701	ფინძაგი	20,0	701	მონტელა	30,0
	კლუივერტი	6,0		ბერხკამპი	20,0		ტრეზეგე	30,0
	კონსეისაუ	6,0		მონტელა	30,0		ჯორკაეფი	30,0
	ანრი	7,0		ფიგუ	25,0		დიუგარი	30,0
	რაული	9,0		ზენდენი	25,0		რ. დე ბური	40,0
	ალფონსო	15,0		ტოტი	25,0		კონტე	40,0
	შუქური	15,0		ანელკა	25,0		ზიდანი	40,0
	ფ. დე ბური	15,0		გომეში	25,0			
	დელ პიერო	20,0		მენდიეტა	30,0			

იმ შემთხვევაში, თუ ორმა ან მეტმა ფეხბურთელმა გოლების თანაბარი რაოდენობა დააგროვა, დადებულ ფსონს ზემოთ მოგებული თანხა ბომბარდირთა რაოდენობაზე გაიყოფა

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში; №2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი; თემქა, მე 11-ე მიკრორაიონი, პირველი კვარტალი და

ახალი ბიუროები: ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან) და წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.
ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67, II სართული.
გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთაველის ხანმოკლე პაუზის შემდეგ კვლავ მუშაობს „კროკოს“ განახლებული ბიურო. მისამართი: შარტავას 7.

დასაშვებია მხოლოდ ის გადამრავლებები, რომლებიც მითითებულია სიაში არასწორი გადამრავლებისას, დარჩება პროგნოზთა-ის ჯგუფი, რომლის კოეფიციენტთა ნამრავლიც მეტია

გადამრავლება დასაშვებია მხოლოდ იმ წესით რომელიც ზემოთ არის მითითებული

ინტერტოტო. I ეტაპი. II მატჩები

24 ივნისი

001 სტაბეკი (ნორვეგია)-ფლორიანა (მალტა)
1,1 6,0 12,0

002 სილკებორგი (დანია)-მოგილევი (ბელარუსი)
1,35 4,0 6,5

003 ვილიაში (აზერბაიჯანი)-ზაგლებე (პოლონეთი)
4,0 3,0 1,8

004 სლავენი (ხორვატია)-გლენავონი (ჩრდ.ირლანდია)
1,25 4,4 8,0

006 ვესტერლო (ბელგია)-პრიმორიე (სლოვენია)
1,5 3,6 5,0

007 ობილიჩი (იუგოსლავია)-ჩიბალია (ხორვატია)
1,6 3,2 5,0

008 ვლაუნია (ალბანეთი)-სალამინა (კვიპროსი)
2,0 2,9 3,4

009 დინაბურგი (ლატვია)-ტრენჩინი (სლოვაკეთი)
2,3 2,9 2,8

011 ტატაბანია (უნგრეთი)-ტორსჰაგენი (ფარერები)
1,15 5,6 10,0

012 სტანდარდი (ბელგია)-დინამო (საქართველო)
ანგარიში –5,0

017 ჰაპოელი (ფ-თ/ისრაელი)-ლინცერი (ავსტრია)
1,9 2,9 3,6

018 ლუცერნი (შვეიცარია)-ლეიფტური (ისლანდია)
1,25 4,4 8,0

019 ჰობშაიდი (ლუქსემბურგი)-პელისტერი (მაკედონია)
3,4 2,9 2,0

25 ივნისი

005 ველბაჟდი (ბულგარეთი)-დუბლინი (ირლანდია)
1,4 3,5 7,0

010 უნისპორტი (მოლდოვა)-ქუიმბრანი (უელსი)
1,5 3,5 5.3

013 ზრინსკი (ბოსნია)-ფრიოლუნდა (შვედეთი)
2,4 2,9 2,6

014 ქსამაქსი (შვეიცარია)-მიუპა (ფინეთი)
1,6 3,3 4,7

015 ჩაჰლაული (რუმინეთი)-ნარვა (ესტონეთი)
1,25 4,4 8,0

016 სიგმა (ჩეხეთი)-არაქსი (სომხეთი)
1,1 6,0 12,0

020 ატლანტასი (ლიტვა)-ქოჯაელი (თურქეთი)
3,0 2,9 2,2

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეს აზოტისთვის ზღვარი იყო, ბასკოს მეტი მოეთხოვებოდა მომავალ ფინალამდე!

ბურაბ დოლიძეს ფოტო

აზოტელი ზაზა გაბისონია (მარცხნივ) და ბასკელი ვლადიმერ ბეჟანიშვილი

საქართველოს ჩემპიონატი

დასრულდა. მეცხრე ეროვნული ისტორიამ ჩაიბარა. უკვე ჩაცხრა ვნებათაღელვაც და მშვიდად, ცივი გონებით გავიხსენებთ წლეულს ნანახსა და განცდილს.

იცოცხლეთ, ბევრი რამ ამოგვიტივტივდება მეხსიერებაში, ვინძლო ყველაფერი ვერც კი აღვიდგინოთ, მაგრამ დამაგვირგვინებელი აკორდის ჟღერადობა, გათამაშების ფინალი რომ ჰქვია, კიდევ ბევრჯერ მოგვჭრის ყურს.

ფინალი კი მართლაც გამორჩეული, ორიგინალური იყო. აბა, ვის გახსოვთ თბილისური გუნდების გარეშე ჩაევლოს საჩემპიონო ჭიდილს, ან კი სხვა, არათბილისური გუნდი აღზევებულიყოს ჩემპიონის ტახტზე.

მოსახდენი მოხდა, ქართულ კალათბურთში „ვითას“ ბატონობა დასრულდა და ახლა სხვა მხრიდან დაუბერა სიომ. ის, რაც რუსთავის „აზოტმა“ სამი წლის განმავლობაში ვერ შეძლო, ბათუმის „ბასკომ“ მოახერხა: ზღვისპირულმა გუნდმა სადებიუტო სეზონშივე გვირგვინი დაიდგა.

ჯერ მარცხი და მერე მისი მიზეზების რკვევა, დამეთანხმებით, ნაკლებად სასიამოვნო პროცესია. ოთარ ხმელიძის „აზოტს“ ძალაუნებურად ზედიზედ მესამედ უწევს წაგების მიზეზებში ჩაძიება. ვინ იცის, ზედმეტად აღარ იწუხებენ თავს რუსთაველები, მათ ხომ დაუფარავად მსაჯებისკენ გაიშვირეს ხელი, ჩვენი ცოდვა არბიტრებმა დაიდეს.

ნებისმიერი ბრალდება, რაც უნდა სიმართლით იყოს გაჯერებული, გარკვეულწილად ჩრდილში აქცევს ფინალისდარ ღონისძიებას. მსაჯებისადმი პრეტენზიებმა, სადავო და საკამათო ფაქტებმა, ცხადია, წლევანდელ ფინალსაც დააკლო ხიბლი. მაჩალაძე-ბერეკაშვილის ნაღვაწის გარჩევას ახლა ნამდვილად არ ვაპირებთ, მით უფრო, რომ სათქმელი აქამდეც ითქვა. თუმც ვერც იმას ავუვლით გვერდს, რომ ფინალურ ორთაბრძოლებში სწორედ მსაჯები იყვნენ უმთავრესი ფიგურები და არა მწვრთნელები ან კალათბურთელები.

ამ და სხვა მხრივაც დღემდე სრული ქაოსია ქართულ კალათბურთში და ვინ იცის, ქომაგმა ამიტომაც აიყარა გული. „ბასკო“-„აზოტის“ ფინალურ მატჩებს სარეკორდოდ ცოტა მაყურებელი დაესწრო. ალბათ, იმიტომ, რომ გულშემატკივარს კალათბურთის ინტერესი გაუნელდა...

ამ რამდენიმე წლის წინ „ვითა“-„თბილისის“ ფინალური შეხვედრების კიბეებიდან თვალის მადევნებელი (სხვათა შორის, ბილეთი ყოველთვის მქონდა, მაგრამ ჩემს ადგილამდე ვერასდროს მივაღწიე), ასეთ რამეს ვერც კი წარმოვიდგენდი. მაგრამ რას იზამ, შეიცვალა დრო და არც ის უნდა გაგვიკვირდეს, ქვეყნის ჩემპიონიც რომ შეიცვალა.

ახლა „ბასკოა“ პირველი, ეკუთვნის კიდეც. ზურაბ ტომარაძის გუნდმა ჩემპიონობა ყველაფრით დაიმსახურა. „აზოტს“, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ცოტა დააკლდა, შეეძლო ჩემპიონის სარგო ტახტზე მოკალათება, მაგრამ ახლა „ბასკოს“ დაანება ეს პატივი.

ფინალი თავისთავად ისეთი მნიშვნელობის მოვლენა გახლავთ, ერთიორად მეტ განსჯას, ღრმა ანალიზს რომ მოითხოვს. ყოველთვის არსებობს გარკვეული ლოგიკა, რომლის მიხედვითაც ერთი გუნდი ჩემპიონი ხდება, მეორე კი ზედიზედ მესამედ მარცხდება ფინალში. ოთარ ხმელიძის „აზოტის“ წარუმატებლობებს (ფინალურ სერიებს ვგულისხმობთ) ერთბაშად ვერ ამოხსნი, თუმც არსებობს მოელი რიგი მოსაზრებები, თუ რა უშლის ხელს რუსთაველებს გაჩემპიონებაში.

ერთ-ერთი და, ვფიქრობთ, ყველაზე დამაჯერებელი არგუმენტი ის გახლავთ, რომ, ბევრის მტკიცებით, „აზოტი“ ზედმეტად ემოციური და ნერვებს აყოლილი გუნდია. ამის უარყოფა ნამდვილად არ ეგების — თავად აზოტელებისთვისაც კარგად ნაცნობი ვერსიაა და არაერთხელ გამხდარან მომსწრენი, თუ რა შედეგი მოუტანია მათთვის ვნებათაღელვას. ჩვენგან თქმულს ფაქტებიც ჯიუტად ამტკიცებს, შორს არ წავალთ, ფინალური სერიის ბოლო, მეოთხე მატჩს გავიხსენებთ, რომლის ძირითადი დროც, წინა შეხვედრის მსგავსად, ფრედ დამთავრდა. სწორედ ნერვიულობის ნიადაგზე რუსთაველებმა სამჯერ დასტყუეს მსაჯებს ტექნიკური ჯარიმა. ამის წყალობით მისმა მეტოქემ, „ბასკომ“, ოთხი ქულა შეიმატა.

ეს რომ არა, მივიდოდა საქმე ოვერტაიმამდე? — ვფიქრობთ, სულაც არ გახლავთ უდროო და გულუბრყვილო კითხვა.

„ბასკოს“ ყველაზე დიდი ნაკლი, თუ ჩავუღრმავდებით, მხოლოდ ისაა, რომ ახალშექმნილი გუნდია და კალათბურთელებიც არ არიან სასურველად შეთამაშებულნი. სხვა მხრივ, დიდი სადარდელი არ უნდა ჰქონოდა ბათუმელთა მთავარ მწვრთნელ ზურაბ ტომარაძეს. გამთამაშებელ მამუკა აბრამიძესაც, ზედ ფინალური სერიის დაწყების წინ რომ დაშავდა, მეტ-ნაკლებად სრულფასოვანი შემცვლელები მოუნახა, თუმც ძირითადად ფარქვეშ წარმატებული თამაშიც მიაღწია „ბასკომ“ ჩემპიონობას და ნურც ამას ავუვლით გვერდს.

ამ მხრივ მართლაც თვალსაჩინო იყო ზღვისპირელთა უპირატესობა, კილაძე, ქარაბაკი და არხიპოვი საჰაერო ორთაბრძოლებში უმეტესად გამარჯვებულები გამოდიოდნენ, რაც „აზოტს“ აიძულებდა, გარედან შეეტია. რუსთაველთა თამაშიც, თავის მხრივ, უკანა ხაზელებზე იყო აგებული და ერთხელ, კერძოდ მეორე შეხვედრაში, როცა ჟლენტსა და გოგობერიშვილს შორეული სროლები არ წაუვიდათ, „აზოტი“ მთლიანად მოიშალა.

მსგავსი რამ, დარწმუნებული ვარ, „ბასკოს“ არ დაემართებოდა, რაკი ტომარაძეს გაცილებით მეტი იმპროვიზაციის საშუალება ჰქონდა, ვიდრე ხმელიძეს. ბათუმელთა მწვრთნელს შეეძლო გაუთავებლად ეცვალა მოთამაშეები და კონკრეტულ სიტუაციაში ნებისმიერ კალათბურთელსა თუ სათამაშო რგოლს დაყრდნობოდა. ხმელიძე კი, დამეთანხმებით, მსგავს ფუფუნებას მოკლებული გახლდათ.

აი, მივადექით კიდევ ერთ პრობლემას, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებს ვიცე-ჩემპიონს. მოკლე სკამი მეტისმეტად თრგუნავს რუსთავის გუნდს, ხმელიძეს არ ეგულება ისეთი სათადარიგო მოთამაშე, რომელიც ღირსეულად შეცვლის ხუთეულის ამა თუ იმ კალათბურთელს. ერთი სიტყვით, „აზოტის“ მწვრთნელს ამ მხრივ მწირი არჩევანი აქვს, რაც წამყვანი მოთამაშეებისთვის შეუძლებელს ხდის მატჩის ბოლომდე ძალების თანაბრად გადანაწილებას. შესაბამისად, ამ ბიჭების სარგებელუნარიანობაც მცირდება და „აზოტის“ წარმატების შანსიც. „ბასკოს“ ერთი რამით აღემატება „აზოტი“. ბათუმელთა გუნდში რამაზ გოგობერიშვილის დარი კალათბურთელი არ მოიძებნება. გოგობერიშვილი „აზოტისთვის“ შეუცვლელია. იგი, ალბათ, მეცხრე ეროვნულის საუკეთესოდაც უნდა მივიჩნიოთ.

მართალია, „ბასკო“ საბოლოო ჯამში გამარჯვებული გამოვიდა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ტომარაძის გუნდმა აზოტელთა ლიდერის გაუვნებლებას წარმატებით გაართვა თავი. გოგობერიშვილს, ისევე როგორც მთლიანად „აზოტს“, ერთი მატჩი კი ჩაუვარდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ „ბასკომ“ მის წინააღმდეგ თამაშში რაიმე ხერხს მიაგნო. თუ ასეა, სხვა შეხვედრებშიც იმავე ტაქტიკისთვის მიემართა ზღვისპირულ გუნდს.

„ბასკომ“ სხვა რამით დაჯაბნა „აზოტი“: ტომარაძის გუნდი უფრო ორგანიზებული იყო, ვიდრე მისი მეტოქე. იმ შემთხვევაშიც კი, თუ თამაში არ გამოსდიოდა, „ბასკო“ მწვრთნელისგან ნაკარნახევ ტაქტიკას არ ღალატობდა და მაყურებლის თვალშიც უფრო მიზანმიმართულ გუნდად გამოჩნდა. რუსთაველები ინდივიდუალურ თამაშს ეძალებოდნენ, „აზოტი“ მთლიანად ერთორ კალათბურთელზე იყო დამოკიდებული, მათ კი ბოლომდე არ ჰყოფნიდათ ძალ-ღონე.

ფინალური სერიის მესამე მატჩი საყოველთაო განსჯის საგნად იქცა. რუსთაველებმა მსაჯები მიკერძოებაში დაადანაშაულეს. ყოველივემ ერთიორად გაამძაფრა ვითარება და ალბათ შესაძლებელი იყო, უარეცალერტი ფაქტის მომსწრენიც გავხდარიყავით. საქმე ისაა, რომ მეოთხე შეხვედრაზე „აზოტი“ საერთოდ არ აპირებდა გამოსვლას.

ეს ყველაფერი ახლა გვერდზე გადავდოთ და ის ვთქვათ, როგორ წარიმართა ეს საკამათოდ ქცეული შეხვედრა. განსაკუთრებით საინტერესო იყო ამ მატჩის ბოლო ნაწილი, როცა ძირითადი დროის დამთავრებამდე ხუთ წუთზე ცოტა მეტი რჩებოდა, „აზოტი“ კი მთელი თორმეტი ქულით იყო წინ. როგორ უნდა მოქცეულიყო რუსთავის გუნდი, ეს მეოთხე თამაშში „ბასკომ“ გვაჩვენა, როცა მეტოქეებმა როლები გაცვალეს. „აზოტის“ ანალოგიურ სიტუაციაში ჩავარდნილმა ზღვისპირელებმა დროის მოგების მიზნით ბურთის ხანგრძლივი გათამაშება იწყეს — ეს შეუმცდარი ნაბიჯი იყო, რასაც ან ვერ მიაგნო „აზოტმა“, ან მიაგნო და არაფრად ჩათვალა. მავანი იქნებ შემედავოს და თქვას, „ბასკომაც“ ხომ გაფლანგა უპირატესობაო. ასეა, ამ მატჩშიც ოვერტაიმის დანიშნა გახდა საჭირო, მაგრამ გახსოვთ რუსთაველი ლევან ჩაჩუას სულ ბოლო წამზე ჩაგდებული სამქულიანი? ყოველივე სასწაულს უფრო ჰგავდა, ჩაჩუამ წარმოუდგენელი ჩაგდო... მიუხედავად ყველაფრისა, ამ წერილის ავტორი იმ ხალხს მიეკუთვნება, ვინც ფიქრობს, რომ მესამე შეხვედრაში მსაჯები რამდენჯერმე „ბასკოს“ სასარგებლოდ შეცდნენ. თუმც, არამც და არამც ვირწმუნები, მათი მიზანი მიკერძოებული მსაჯობა იყო-მეთქი.

საკუთარი აზრი მაქვს სხვა საკითხზეც. კერძოდ: „აზოტმა“ ფინალში თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გაიღო. ერთი მატჩის გამოკლებით ოთარ ხმელიძის გუნდი საუკეთესო კუთხით წარმოჩინდა ფინალურ სერიაში. მიმაჩნდა და ახლაც ამ აზრზე ვარ, რომ ლოგიკურად „ბასკო“ უფრო ძლიერი გუნდია და პოტენციაც მეტი აქვს. ამ შემადგენლობით, ვფიქრობ, ბათუმის გუნდი აუცილებლად უნდა გამხდარიყო ჩემპიონი, რაც საბოლოოდ ასეც მოხდა. მაგრამ ეს ყველაფერი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „ბასკომ“ სრულად გამოავლინა თავი, ტომარაძის გუნდს ალბათ, გაცილებით მეტი მოეთხოვებოდა.

და მაინც. ზურაბ ტომარაძეს ზედიზედ მესამედ გაჰყავს გუნდი ფინალში და სამჯერვე აჩემპიონებს, ადრე „ვითა“ იყო, ახლა „ბასკოში“ შლის ფრთებს მისი ტაქტიკა.

ოთარ ხმელიძე მისი გუნდივით მებრძოლი ხასიათისაა, საჩემპიონო ოცნებები დღემდე განუხორციელებელი კი დაურჩა, მაგრამ ჯერაც მოსდევს გულისწადილის ასრულების შნო და ჯანი. ყოველივე გვაფიქრებინებს, რომ ტომარაძე-ხმელიძის დუელი საბოლოოდ ჯერაც არ დასრულებულა. თუ მართლა ასეა და, სულ ცოტა ერთი წელი მოცდა მოგვიწევს. მომავალ ფინალამდე!

გიორგი გიკაშვილი



ბურაბ დოლიძეს ფოტო

აზოტელი ვანო გოგოლაძე (№8) და ბასკელი ვალერი კილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრაიანტმა ოლიმპიადას დაქორწინება ამჯობინა

ORIOდ დღის წინ ჩამთავრებული სეზონის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში მთავარ სალაპარაკო თემად ახალი ჩემპიონი „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ და მის გარშემო განვითარებული მოვლენები იქცა. ახალი ჩემპიონები დიდი თუ მცირე ჟურნალ-გაზეთების პირველ გვერდებს არ სცილდებიან. ახალი ტრიუმფატორების სახელები ყველას პირზე აკერია. ჩემპიონთა მწვრთნელ ფილ ჯეკსონს თუ გუნდის ლიდერებს — შაკილ ონილსა და კობი ბრაიანტს აქებენ და ადიდებენ.

ახლა კობი ბრაიანტმა ხალხს ახალი სალაპარაკო გაუჩინა. თურმე ნუ იტყვით და, მას არ სურს, ქვეყნის ნაკრებს სიდნეის ოლიმპიადაზე გაჰყვეს, რასაც ასე ხსნის: „ამჟამად სულაც არ მინდა ნაკრებში ყოფნა. ამ ზაფხულს სხვა გეგმები მაქვს. მძიმე სეზონი გვქონდა, ჩემპიონები გავხდით და ახლა მსურს, კარგად დავისვენო, მეტი დრო დავუთმო ოჯახს და გარდა ამისა, ცოლი მომყავს. ოლიმპიადაზე კი ჩემი ყოფნა-არყოფნა ბევრს არაფერს წყვეტს.“

სანამ ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა, ბრაიანტს კარგა ხანს უთათბირია თავის დამრიგებელ ფილ ჯეკსონთან. მწვრთნელიც ამართლებს შეგირდს: „ეს მხოლოდ და მხოლოდ კობის გადასაწყვეტია. ბიჭს ცოლი მოჰყავს, სურს პირად ცხოვრებას მიხედოს. გარდა ამისა, მესმის, რომ კობი აღფრთოვანებული არაა ნაკრებში მიწვევით. მას არ შეუძლია, სიდნეიში თან თაფლობის თვე გაატაროს და თან ანგოლას ეჭიდავოს. თუ მათ, ვინც ნაკრების შემადგენლობას ასახელებს, კობის აყვანა სურდათ, იგი გასულ ზაფხულში უნდა გაეფრთხილებინათ“ — ამბობს ჯეკსონი.

21 წლის ბრაიანტი სულ ორიოდ კვირაში ქორწინდება 18 წლის ვანესა ლეინზე, რომელსაც სულ ახლახან დაუმთავრებია სკოლა. კობი მას თურმე ორი წელი უცდიდა და, ცხადია, ჩქარობს, რაც შეიძლება მალე მოარგოს საქორწინო ბეჭედი. გარდა ამისა, სხვა გეგმებიც აქვს. ბრაიანტი საგულდაგულოდ მალავდა, რომ სურდა, იტალიაში ჩასვლა, სადაც თურმე ერთ-ერთი პროფესიული საკალათბურთო კლუბის ყიდვა განუზრახავს. ახლა ყველაფერი ცნობილია. ოლიმპიადისთვის დრო ნამდვილად აღარ რჩება... თუმც გავბედავთ და ვიტყვით, რომ იგი ხელიდან უშვებს ოლიმპიურ ოქროს.

ახლა იმაზეც ვთქვათ საიდან გაუჩნდა მას ნაკრებში მოხვედრის შანსი. მოგეხსენებათ, ამ ორი თვის წინ, პლეი ოფის დაწყებისას, მძიმედ დაშავდა ნაკრების ერთ-ერთი პოტენციური ლიდერი გრანტ ჰილი. ახლა იგი გამოჯამრთელების გზას ადგას, მაგრამ მაინც უარი უთქვამს, ვაითუ, ოლიმპიადის დაწყებამდე ფორმაში ვერ შევიდე და ჩემი ქვეყნის ინტერესების დასაცავად ბოლომდე ვერ დავიხარჯოო. ამ ვაკანტური ადგილისთვის სპეციალურ კომიტეტს რამდენიმე კანდიდატურა განუხილავს და მათგან ამ რამდენიმე დღის წინ კობი ბრაიანტი შეურჩევია. კომიტეტს უყურადღებოდ არ დაუტოვებია ბოლო ერთი წლის განმავლობაში ბრაიანტის წინსვლა, ფინალშიც ხომ თავი ისახელა და გადაწყდა: მიუხედავად იმისა, რომ ბრაიანტი მხოლოდ 21 წლისაა და გამოცდილება აკლია, სწორედ მას ერგებოდა ოლიმპიადაზე თამაშის პატივი, მაგრამ... ამერიკული კალათბურთის მამები მოთამაშემ გააწბილა და ახლა იძულებულნი არიან, სხვა მოძებნონ, ვინც უფრო მეტი ხალისით მიიღებს ამ წინადადებას. სხვა კანდიდატები კი არიან: შარლოტელი მსროლელი ედი ჯონსი, ინდიანელი ფრთა ჯალენ როუზი და „ვანკუვერის“ თავდამსხმელი შარიფ აბდურ-რაჰიმი.

აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა კალათბურთელი უარს აცხადებს ოლიმპიურ თამაშებზე, რომლის ჩემპიონობასაც ამერიკის ნაკრებს ალბათ ვერავინ შეეცილება. რამდენიმე თვის წინ ბრაიანტის თანაგუნდელ შაკიპლ ონილს უთქვამს, ჩვენები მაინც ცალი ხელით მოიგებენ და ჩემი იქ ყოფნა დროის ფუჭად ხარჯვად მიმაჩნია. დრო კი ძვირად მიღირს, რადგან ჩემი მესამე რეპ-ალბომი უნდა დავამთავრო და გამოვუშვაო. ონილი ალონზო მურნინგმა შეცვალა. როდესაც ტომ გულიოტა დაშავდა და გაირკვა, რომ „დრიმ თიმს“ სიდნეიში ვერ გაპყვებოდა, მის შემცვლელად დასახელებულმა ვინს კარტერმა დიდი თავპატიჟი გამოიდო, თუმც ცდუნებას მაინც აჰყვა და დათანხმდა თამაშს.

საბოლოოდ გრანტ ჰილის შემცვლელი ამ რამდენიმე დღეში გაირკვევა. ნაკრების კი შეკრება 24 აგვისტოს იწყება ჰავაის თვალწარმტაც კუნძულ მაუიზე, კობი ბრაიანტის 22-ე დაბადების დღიდან ერთი დღის შემდეგ. ესეც კიდევ ერთი მიზეზი კობი ბრაიანტისთვის.

ირაკლი ფირაშვილი



კობი ბრაიანტს ჩემპიონობა საცოლე ვანესა ლეინმა მიულოცა

ჭრილი Perla

პ ე რ ლ ა

ჭრილი Perla

მ ა რ გ ა ლ ი ტ ე ბ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა

WIMBLEDON 2000

ყველაზე სწრაფი მსოფლიოში

ორშაბათს სრულიად ინგლისის ბალახის ჩოგბურთისა და კროკეტის კლუბში სეზონის მესამე დიდი სლემის ტურნირი — უიმბლდონი დაიწყება. როგორც კლუბის სახელწოდებიდან თავადაც მიხვდებოდით, 128-128 ქალ-ვაჟი ყველაზე სწრაფ და ბუნებრივ საფარზე, ბალახზე შეეცდება რამდენიმე ასეული ათასი დოლარისა და ჩოგბურთის ყველაზე პრესტიჟული ტიტულის მოპოვებას

კაცების ბადე





ბოლო ხანებში სამეფო ოჯახის წევრებიდან დაწყებული თავად მოთამაშეებით დამთავრებული, მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს და ცნობილ ტურნირს ყველამ გაჰკრა კბილი. ბრალდებები მრავალი და ნაირნაირი გახლდათ — სნობიზმი, სულელური წესები, არასტუმართმოყვარეობა, მოსაწყენი მატჩები, თუმცა ასეა თუ ისე, დღესდღეობით პოპულარობაში უიმბლდონს ვერც ერთი სხვა საჩოგბურთო პირველობა ვერ გაუჯიბრება.

ყველაფერი კი 1877 წელს დაიწყო. კლუბში, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ ინგლისელი არისტოკრატების საყვარელი გართობის — კროკეტისთვის იყო განკუთვნილი, პირველი ბალახის ჩოგბურთის ჩემპიონატი ჩაატარეს მამაკაცთა ერთეულებში.

ტურნირს სულ 22 მონაწილე და ორასამდე მაყურებელი ჰყავდა, ბილეთი თითო შილინგი ღირდა, ტრიბუნები კი სახელდახელოდ იყო მოწყობილი. ჩემპიონის პირველი ტიტული და ისტორიაში ადგილი ვინმე სპენსერ გორს ხვდა წილად.

1884-ში კლუბში ქალების ერთეულებისა და კაცთა წყვილების შეჯიბრისთვის გამოინახა ადგილი. ტურნირი წლიდან წლამდე სულ უფრო პოპულარული ხდებოდა, მე-20 საუკუნის დასაწყისში კი აქ უკვე ევროპის სხვა ქვეყნებიდან და ატლანტიკის გაღმიდან ჩამოდიოდნენ სათამაშოდ თუ საქომაგოდ.

1922-ში „უერფლ როუდიდან“ ახალ, გაცილებით ფართო სარბიელზე, „ჩერჩ როუდზე“ გადაბარგებას კროკეტის ყველა მოედანი შეეწირა (1960-ში ისევ აღადგინეს), სამაგიეროდ, სულ მალე მაყურებელთა საერთო რაოდენობამ 200 ათასს გადააჭარბა.

„ოლ ინგლენდ კლაბი“ სულ უფრო ფართოვდებოდა, კორტების რაოდენობა ოცამდე გაიზარდა და ტურნირიც მრავალმილიონიანი მოგების მომტან სარფიან ბიზნესად იქცა, მაგრამ საუკუნოვანი ტრადიციებიდან თითქმის არაფერი შეცვლილა.

ჩოგბურთელებს ისევ თავით ფეხამდე თეთრი სამოსი უნდა ეცვათ, ცენტრალურ კორტზე შესვლისას თავი უნდა დაუკრან „სამეფო ლოჟას“, თუ იქ სამეფო, თუნდაც ოჯახის ერთი წევრი მაინც იმყოფება, კლუბის ტერიტორიაზე კი სხვა ტურნირებისთვის განუყოფელ სარეკლამო პლაკატებს თითქმის ვერ იხილავთ.

უიმბლდონზე თამაშის სტილიც კი გამორჩეული და განსხვავებულია. უსწრაფესი ბალახის საფარის გამო აქ განსაკუთრებით მძლავრი მოწოდება და ზუსტი მიღება ფასობს. უკანა ხაზზე მოკალათებას ნაკლები აზრი აქვს, ამიტომ თითოეული ჩოგბურთელი მოწოდებისთანავე ბადესთან გასვლას და მიწაზე დაუშვებელი ბურთის დახვედრას ლამობს — გათამაშებებიც თვალის დახამხამებაში სრულდება.

ფავორიტები

ბოლო 10 წლის გამარჯვებული კაცები

1990 სტეფან ედბერგი — ბორის ბეკერი 6:2, 6:2, 3:6, 3:6, 6:4
1991 მიხაელ შტიხი — ბეკერი6:4, 7:6, 6:4
1992 ანდრე აგასი — გორან ვანიშევიჩი 6:7, 6:4, 6:4, 1:6, 6:4
1993 პიტ სამპრასი — ჯიმ კურიე 7:6, 7:6, 3:6, 6:3
1994 სამპრასი — ივანიშევიჩი 7:6, 7:6, 6:0
1995 სამპრასი — ბეკერი 6:7, 6:2, 6:4, 6:2
1996 რიჩარდ კრაიჩეკი — მალივაი ვაშინგტონი 6:3, 6:4, 6:3
1997 სამპრასი — სედრიკ პიოლინი 6:4, 6:2, 6:4
1998 სამპრასი — ივანიშევიჩი 6:7, 7:6, 6:4, 3:6, 6:2
1999 სამპრასი — აგასი 6:3, 6:4, 7:5

ზემოთ მოყვანილ ნუსხაზე თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ წლევანდელი ტურნირის მთავარი ფავორიტის ვინაობა დაადგინოთ: ბოლო 7 წლის მანძილზე პიტ სამპრასმა უიმბლდონზე ერთადერთი მატჩი წააგო (1996-ის მეოთხედფინალი რიჩარდ კრაიჩეკთან), 46 მოიგო და ექვსჯერ ჩემპიონიც გახდა.

მნიშვნელობა არა აქვს, მთელი სეზონის მანძილზე როგორ ასპარეზობდა, ან ტურნირის წინ როგორ ფორმაში იყო, უიმბლდონის დაწყებისთანავე „პისტოლ პიტი“ ცხრათავიან მითიურ ურჩხულად იქცევა ხოლმე და ყველას და ყველაფერს სპობს თავის გზაზე.

„ცოტა უცნაურია, რომ აქ ასე შთამბეჭდავ შედეგებს მივაღწიე, კარიერის დასაწყისში ბალახზე თამაში ყველაზე ნაკლებად მსიამოვნებდა... ჩემი ტიტულის დასაცავად სრულ მზადყოფნაში ვარ, არაფერი მაწუხებს და წარმატების დიდი იმედიც მაქვს“ — განაცხადა ამერიკელმა ამ რამდენიმე დღის წინ.

სხვა დიდი სლემის ტურნირებისგან განსხვავებით, განთესილთა ვინაობისა და რიგის დასადგენად უიმბლდონის ორგანიზატორები მხოლოდ კლასიფიკაციით არ სარგებლობენ, ისინი წინა წლების წარმატებებსა და სწრაფ საფარზე თამაშის გამოცდილებასაც ითვალისწინებენ.

სწორედ ამიტომ განთესილთა შორის წლეულს გრეგ რუზეცკის (14), რიჩარდ კრაიჩეკს (11), პატრიკ რაფტერსა (12) და მარკ ფილიპუსისს (10) იხილავთ, რომელთაც გასული 52 კვირის მანძილზე ნაჩვენები შედეგებით ასეთი პატივი სულაც არ ეკუთვნოდათ.

სამპრასის მთავარ კონკურენტებადაც სწორედ ეს ჩოგბურთელები, მასპინძელთა ჯილა ტიმ ჰენმანი და ახალგაზრდა ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი უნდა მივიჩნიოთ.

მსოფლიოს პირველი ჩოგანი და შარშანდელი ფინალისტი ანდრე აგასი სულაც არ დაგვიწყებია, უბრალოდ, ხოტორა ამერიკელმა ერთი კვირის წინ ზურგის მსუბუქი ტრავმა მიიღო და როგორ ფორმაში შეხვდება ტურნირის დაწყებას, ძნელი სათქმელია.

ბობოლათა სავარაუდო გამამწარებლები: უეინ არტურსი, როჯერ ფედერერი, გორან ივანიშევიჩი, ტოდ მარტინი, დავიდე სანგვინეტი.

ბოლო 10 წლის გამარჯვებული ქალები

1990 მარტინა ნავრატილოვა — ზინა გარისონი 6:4, 6:1
1991 შტეფი გრაფი — გაბრიელა საბატინი 6:4, 3:6, 8:6
1992 გრაფი — მონიკა სელეში 6:2, 6:1
1993 გრაფი — იანა ნოვოტნა 7:6, 1:6, 6:4
1994 კონჩიტა მარტინესი — ნავრატილოვა 6:4, 3:6, 6:3
1995 გრაფი — არანჩა სანჩეს-ვიკარიო 4:6, 6:1, 7:5
1996 გრაფი — სანჩეს-ვიკარიო 6:3, 7:5
1997 მარტინა ჰინგისი — ნოვოტნა 2:6, 6:3, 6:3
1998 ნოვოტნა — ნატალი ტოზია 6:4, 7:6
1999 ლინდსი დევენპორტი — გრაფი 6:4, 7:5

წლეულს ტურნირს ერთბაშად ორი ყოფილი ჩემპიონი და მაყურებელთა ფავორიტი — შტეფი გრაფი და იანა ნოვოტნა გამოაკლდა. ჯერ კიდევ შარშან ისინი გამარჯვების უპირველეს პრეტენდენტებად ითვლებოდნენ, მაგრამ ახლა უკვე დამსახურებული პენსიონერები არიან.

ვინ გადაიბარებს მათგან ესტაფეტას და ვინ იბატონებს ახალი ათასწლეულის დასაწყისში „ოლ ინგლენდ კლაბის“ კორტებზე, ჯერაც ძნელი სათქმელია.

მსოფლიოს პირველ ჩოგან მარტინა ჰინგისს დიდი სლემის ტურნირი ლამის ორი წელია, არ მოუგია, ლინდსი დევენპორტს ათასგვარი ტრავმა აწუხებს და შარშანდელი ჩემპიონობა ახლაც უკვირს, დები უილიამსები საუკეთესო ფორმიდან მეტად შორს არიან, როლან გაროსის ტრიუმფატორ მარი პირსს არც ბალახის კორტები ეხატება გულზე და არც თავად უიმბლდონი.

ესენი კონკურენციას, უპირველეს ყოვლისა, ფრანგების — ვეტერანი ნატალი ტოზიასა და ჯანიანი ამელი მორესმოსგან უნდა ელოდნენ.

ბობოლათა სავარაუდო გამამწარებლები: ელენა დოკიჩი, ალექსანდრა სტივენსონი, ჯენიფერ კაპრიატი, კიმ კლაისტერსი.

ავთანდილ სვანიძე

ქალების ბადე





ბრაიან ლუისი ოქროს გზას შეუდგა

სპრინტერი სახელად ჟანა

MEETING GAZ DE FRANCE PARIS SAINT-DENIS

გუშინ პარიზის გარეუბან სენ-დენიში, „სტად დე ფრანსზე" თავმოყრილმა 40 ათასმა მაყურებელმა ემოციათა ფრქვევა დაიწყო, რაც „ოქროს ლიგის" პირველი ეტაპის დაწყებას მოასწავებდა. ვითარება საზეიმო იყო, უხვად სინათლე და სამძლეოსნო სარბიელზე გასული სპორტსმენები ხომ უკლებლივ პირველი კლასისანი. რომელი ერთი დავასახელოთ; აი, მაგალითად, რა სახელოვანმა სამეულმა ირბინა კაცთა 100 მეტრიანი დისტანცია: ამერიკელი ბრაიან ლუისი წინა კვირას თვით მორის გრინის ძლევით გამოირჩა, კანადელი ბრუნი სურინი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონია და ტრინიდადელი ატო ბოლდონი, მოგეხსენებათ, სულაც ჩემპიონი ყოფილა (ოღონდ სამი წლის წინათ და 200 მეტრიან დისტანციაზე). გუშინ ლუისმა ივარგა. მას ასი მეტრის გასარბენად 10,10 წამი დასჭირდა, რაც სურინისაზე რვა მეასედით და ბოლდონისაზე კი სულაც ჭამის მეათედით ნაკლები გახლდათ. რბენის დასრულებისთანავე მასთან მიჭრილ ჟურნალისტებს ლუისმა კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ მისთვის მთავარი ოლიმპიადაა და პარიზში მოხვეჭილ 15 ათას ევროს სიდნეიში გამგზავრება ურჩევნია. უძნელესი ამოცანაა, თუკი ამერიკის ნაკრებში მოსახვედრად მისი მთავარი კონკურენტი მორის გრინი იქნება. ვინ წავა ავსტრალიაში, ამას ივლისი გვიჩვენებს, ქალთა ასმეტრიანზე კი იმას ვიტყვით, რომ მასზე ზანგი დიაცების ბატონობას პარიზში დიდი მახვილი ჩაეცა. ვერ ივარგა ბაჰამელმა სავთედა ფაინსმა, რომელიც მეორე იყო და ვერც ამასწინათ რელეის ტურნირის მომგებმა, ჩანდრა სტარაპმა ისახელა თავი. არადა, იგი ოლიმპიადისთვის ამერიკელებს დიდებული მარიონ ჯონსის ერთ-ერთ მოცილედ ესახებოდათ და ახლა, როცა მან თეთრი ქალი წინ გაუშვა, აზრი შეეცვლებოდათ. ის თეთრი ქალი უკრაინელი ჟანა პინტუსევიჩი იყო, გვარიანი შედეგით — 11 წამი და ცხრა მეასედი. ქალთა ორჯერ გრძელი დისტანცია ავსტრალიელმა კეტი ფრიმენმა მოიგო, რითაც უჩვენა, რომ ამერიკაში სავარჯიშოდ წასვლა მოხდენია, ხოლო 1500 მეტრზე ეთიოპიელი მანდილოსნის, კუტრე დულეჩას 4 წუთი, 3 და 73 მეასედი წამი იმითაა გამოსარჩევი, რომ სეზონის რეკორდი გახლავთ. გრძელ დისტანციებზე მორბენალ მამაკაცებში დიდი ამბები არ მომხდარა. მაროკოელმა ჰიშამ ელ გურუჯი 1500 მეტრი ერთი ამოსუნთქვით გაირბინა, რაზეც მისგან ამ საქმისთვის დათმობილი დრო მეტყველებს — 3:30,76. ორჯერ მეტი გზაც არაბმა კაცმა მოიგო, თუმცა ერთობ სახელოვან შავებთან უხდებოდა ჭიდილი. არაბი ალჟირელია და გვარად ალი საიდი გახლავთ, შავები კი კენიის შვილები არიან, მეორე დანიელ კომენი იყო, მესამე — მილიონ ვოლდე. სხვა რამეა გასაკვირი, 3000 მეტრი ქალებმაც ირბინეს და უნდა ვიკითხოთ: სად იყვნენ ფეხმარდი აფრიკელები. სამეულზე არას ვიტყვით, ათ საუკეთესოშიც მხოლოდ ორი კენიელი და ერთიც მაროკოელი დავლანდეთ, ამ დროს სათავე სხვებს შეევსოთ; პოლონელ ლიდია ჩოჯეკას გაემარჯვა, ჩინელი იანმეი დუგი მეორეზე ვიხილეთ და ირლანდიელი ვეტერანი სონია ოსალივანი — მესამეზე.

სხვა დისციპლინებში საყურადღებო არც არაფერი მომხდარა, ამიტომ წერტილს აქვე დავსვამთ.

დავით გულუა

მე ვხედავ სენაზე!

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

წლევანდელი ჩემპიონატის დასაწყისში ფორმულის ყველაზე მეტქულიანთა სიის გამოქვეყნების შემდეგ ცხრილში იმდენი ცვლილება-გადაადგილება მოხდა, რომ უპრიანია არა მარტო დაწინაურებულთა, არამედ სულაც ყველა იმ პილოტის წარმოდგენა, ვისაც კარიერაში 100 ქულაზე მეტი დაუგროვებია (მათ შორის ხომ რვა მოქმედი მრბოლია). ასიანთა კლუბში გაწევრიანება იოლი სულაც არ გახლავთ — 50 ჩემპიონატში ამგვარად თავის გამოჩენა მხოლოდ 50 მძღოლს მოუხერხებია.

წინა კვირას, კანადის დიდი პრიზის გათამაშების შემდეგ, „ასებს" რუბენს ბარიკელოს სახით ახალი, 51-ე წევრი შეემატათ. 28 წლის ბრაზილიელისთვის მიმდინარე სეზონი მერვეა. ამდენად, მხოლოდ ახლა, 120 რბოლის მერე, ამ ზღვრის დაძლევა საკმაოდ დაგვიანებულია და პილოტის პრესტიჟისთვის ნაკლებსახარბიელოც, თუმცა ამით ფაქტის ისტორიულობას, ცხადია, ჩრდილი არ ადგება. ბობოლები ასქულიანი რუბიკონის გადალახვას ბევრად ადრე, ორ-სამ წელიწადში ასწრებენ, უიღბლო რუბინიოს კი რა უნდა ექნა. იმედისმომცემი ჭაბუკი, მართალია, თავიდანვე მოექცა სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში და ერთ-ერთი უმრწემესი მრბოლიც შეიქნა, ვისაც ამ ზემძლავრი და უსწრაფესი ბოლიდის საჭე ანდეს, მაგრამ ჯაგლაგ „ჯორდანსა" და „სტიუარტში" გატარებული შვიდი წლის განმავლობაში სულ 77 ქულასა და ექვს პოდიუმს ძლივს მოუყარა თავი.

ბარიკელოსთვის დღემდე საუკეთესო იყო 1994 წლის ჩემპიონატი — სწორედ მაშინ მოიგო პირველი პოული (ბელგია), პირველად შეხტა პოდიუმზე (იაპონიაში, მესამე ადგილი) და სეზონი მეექვსე ადგილზე დასრულა. თუმცა, იმ წელს ყველაზე საშინელ ავარიაშიც მოჰყვა: იმოლას ავტოდრომზე კვალიფიკაციისას, ბეტონის კედელთან 280 კმ/სთ სიჩქარით მინარცხებული მისი „ჯორდანი" რამდენჯერმე ამოტრიალდა და ნაწილ-ნაწილად დაიშალა. უბედნიერეს ვარსკვლავზე დაბადებული პილოტი წარმოუდგენლად იოლად — მცირე ხნით გრძნობის დაკარგვით, დალურჯებული ცხვირ-პირითა და ხელის უმნიშვნელო ტრავმით გადარჩა. კლინიკაში გონს მოსულმა რუბენსმა პირველი, ვინც დაინახა, იყო აირტონ სენა, რომელმაც ძალზე განიცადა თანამემამულის მარცხი. ლეგენდარული სამგზის ჩემპიონი მამასავით ზრუნავდა 12 წლით უმცროს ახალბედაზე, ძალიანაც ეიმედებოდა მისი და სამეფო რბოლებში თავის მემკვიდრედაც თვლიდა.

რუბინიოც ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ეს ნდობა გაემართლებინა, მაგრამ თავს ზევით ძალა არ ჩანდა. ადრეული ასაკიდან მრბოლობას გამოდეკნებულს ხეირიანი განათლება არც მიუღია, თუმცა მუდამ იტაცებდა ტექნიკური საგნები და ინჟინრებთან ერთად დღედაღამ მანქანას უკირკიტებდა, წარუმატებლობის მიზეზი რომ ეპოვა.

წლეულს ბარიკელოს, როგორც იქნა, ნატვრა აუხდა და პირველად აღმოჩნდა საპრიზო ბოლიდის კოკპიტში. „ფერარიში" მისი სენსაციური გადასვლა სეზონის კონტრაქტად მონათლეს. რუბენსიც ორმაგად ბედნიერი იყო — იგი ხომ პირველი ბრაზილიელი გახდა, ვინც ყველასთვის საოცნებო გუნდში მიიწვიეს. ისე, იტალიაში მის გადაბარგებას ბევრმა ეჭვის თვალით შეხედა და „სისხლისფერი ბედაურების" მფლობელს, ლუკა დე მონტეზემოლოს ეს ნაბიჯი არ მოუწონა. ბარიკელოს შარშანდელი შეფი ჯეკი სტიუარტი თავისი პილოტის გადაბირებით ნაწყენიც იყო და გაკვირვებულიც: „ეს გადასვლა გაუმართლებელია როგორც სპორტული, ასევე ფინანსური თვალსაზრისით. არა მგონია, „ფერარიში" მას იმაზე მეტი გადაუხადონ, ვიდრე „ფორდი" შესთავაზებს. ეს სულ მარანელოს მაგაა: ბრაზილია ჭკუიდან შეიშლება — ჯერ ხომ არც ერთი იქაური არ მჯდარა „სისხლისფერების" საჭესთან. „ფერარიცა" და ბარიკელოც უკეთეს რეკლამაზე ვერც იოცნებებდა. რაც შეეხება სპორტულ მხარეს, რუბენსი აშკარად განწირულია, რადგან ვიდრე გუნდში მიხაელ შუმახერი ბატონობს, თანასწორობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია."

ძნელი სათქმელია, რა თანხას გულისხმობდა „სტიუარტის" ბოსი, ვითომ იმ წლიურ ხუთ მილიონ დოლარზე მეტს, მონტეზემოლომ რომ დაუნიშნა ბრაზილიელს?

„ფერარიში" ბარიკელოს მისვლა, ცხადია, შემთხვევით არ მომხდარა. სინიორ ლუკას გლობალური მიზანი ამოძრავებს, რის განხორციელებასაც ათობით მილიონიანი რეკლამა დასჭირდებოდა. თუმცა, მაინც სათუო იყო, ჩანაფიქრი ასი პროცენტით გაამართლებდა, თუ არა. რუბინიოს გამოყენებით კი უმცირესი დანახარჯით მაქსიმალური შედეგი გარანტირებულია. თავის ბოლიდში ამჟამად ყველაზე პოპულარული ბრაზილიელი მრბოლის ჩასმით მონტეზემოლომ უცბად მოიგო სამხრეთ ამერიკის უდიდესი ქვეყნის მრავალმილიონიანი ტორსიდის გული და დარწმუნებით შეიძლება ითქვას, ვიდრე მშობლიურ სან პაულუში ბარიკელო უახლესი მოდელის თვალისმომჭრელი „ფერარით" იქროლებს, მის საქონელს იქაურ ბაზარზე ჩაწოლა არ ემუქრება. ეს ყველაფერი კი პრაქტიკულმა იტალიელმა ჩალის ფასად, სულ რაღაც ხუთ მილიონ დოლარად გაახერხა.

ერთი სიტყვით, წლის გარიგება შედგა და გუნდის შეცვლა რუბენსს წამალივით მოუხდა. წლეულს თავის საუკეთესო სეზონს ატარებს — სარეკორდო 28 ქულაც დაგროვა და სამჯერ პოდიუმის მეორე საფეხურზეც იდგა. ასე რომ, თანდათან უახლოვდება სანუკვარ მიზანს და წლეულს იქნებ ერთი დიდი პრიზის მოგება მაინც შეძლოს. მით უმეტეს, რომ მიხაელი საჯაროდ შეპირდა, მოკლე ხანში აუცილებლად დაგეხმარებიო. ეს დათქმული ვადა, ვფიქრობთ, ოთხი-ხუთი ეტაპის შემდეგ დადგება და რას უნდა ნიშნავდეს, ძნელი მისახვედრი არაა.

ირაკლი ნიკოლაძე



რუბენს ბარიკელო

ბრაზილია

დაიბადა 1972 წლის 23 მაისს სან პაულუში; მეუღლე სილვანასთან ერთად ცხოვრობს მონტე კარლოში; სიმაღლე 172 სმ, წონა 79 კგ;

ჰობი — სირბილი, უყვარს სპაგეტი, ფორთოხლის წვენი და ბეპსი.

პირველი სტარტი — 1993 (სამხრეთ აფრიკის დიდი პრიზი)

გუნდები: ჯორდანი (1993-96), სტიუარტი (1997-99), ფერარი (2000).

120 რბოლა, 10 პოდიუმი (0+5+5), 105 ქულა.

ასები

		ქულა	რბოლა	საშ
1. ალენ პროსტი	საფრანგეთი	798,5	199	4,0
2. მიხაელ შუმახერი	გერმანია	626	136	4,6
3. აირტონ სენა	ბრაზილია	614	161	3,8
4. ნელსონ პიკე	ბრაზილია	485,5	204	2,4
5. ნაიჯელ მენსელი	ბრიტანეთი	482	187	2,6
6. ნიკი ლაუდა	ავსტრია	420,5	171	2,5
7. გერჰარდ ბერგერი	ავსტრია	385	210	1,8
8. ჯეკი სტიუარტი	ბრიტანეთი	360	99	3,6
9. დეიმონ ჰილი	ბრიტანეთი	360	115	3,1
10. მიკა ჰაკინენი	ფინეთი	326	136	2,4
11. კარლოს რუტმანი	არგენტინა	310	146	2,1
12. გრეჰემ ჰილი	ბრიტანეთი	289	176	1,6
13. ემერსონ ფიტიპალდი	ბრაზილია	281	144	1,9
14. რიკარდო პატრეზე	იტალია	281	256	1,1
15. ხუან მანუელ ფანხიო	არგენტინა	277,5	51	5,4
16. ჯიმ კლარკი	ბრიტანეთი	274	72	3,8
17. ჯეკ ბრაბემი	ავსტრალია	261	126	2,1
18. დევიდ კულჰარდი	ბრიტანეთი	255	98	2,6
19. ჯოდი შექტერი	ს. აფრიკა	255	112	2,3
20. დენის ჰალმი	ახალი ზელანდია	248	112	2,2
21. ჟან ალეზი	საფრანგეთი	236	175	1,4
22. ჟაკ ლეფიტი	საფრანგეთი	228	176	1,3
23. კლეი რეგაცონი	შვეიცარია	212	132	1,6
24. ალან ჯოუნსი	ავსტრალია	206	116	1,8
25. რონი პეტერსონი	შვედეთი	206	123	1,7
26. ბრუს მაკლარენი	ახალი ზელანდია	198,5	101	2,0
27. სტირლინგ მოსი	ბრიტანეთი	186,5	66	2,8
28. მიკელე ალბორეტო	იტალია	186,5	194	0,9
29. ჟაკ ვილნევი	კანადა	185	73	2,5
30. ჟაკი იქსი	ბელგია	181	116	1,6
31. რენე არნუ	საფრანგეთი	181	149	1,2
32. ჯონ სარტის	ბრიტანეთი	180	111	1,6
33. მარიო ანდრეტი	აშშ	180	128	1,2
34. ჯეიმს ჰანტი	ბრიტანეთი	179	92	1,9
35. ედი ირვინი	ბრიტანეთი	176	105	1,7
36. ჯონ უოტსონი	ბრიტანეთი	169	152	1,1
37. კეკე როსბერგი	ფინეთი	159,5	114	1,4
38. ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი	გერმანია	147	105	1,4
39. პატრიკ დეპაიე	საფრანგეთი	141	95	1,5
40. ალბერტო ასკარი	იტალია	139	32	4,3
41. დენ გარნი	აშშ	133	86	1,5
42. ტერი ბუტსენი	ბელგია	132	163	0,8
43. ნინო ფარინა	იტალია	128	33	3,9
44. მაიკ ჰოტორნი	ბრიტანეთი	127,5	45	2,8
45. ელიო დე ანჯელისი	იტალია	122	108	1,2
46. იოხენ რინდტი	ავსტრია	109	60	1,8
47. რიჩი გინტერი	აშშ	107	52	2,0
48. ჟილ ვილნევი	კანადა	107	67	1,6
49. პატრიკ ტამბი	საფრანგეთი	103	114	0,9
50. დიდიე პირონი	საფრანგეთი	101	70	1,4
51. რუბენს ბარიკელო	ბრაზილია	105	120	0,9

რეკორდი პატრონმა დაიბრუნა

ავსტრალიელმა მოცურავე მაიკლ კლიმმა კანბერაში, საკლუბო ტურნირზე, ათენის პატარა წყლის მსოფლიოს ჩემპიონატზე 50 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში 19 მარტს ჰოლანდიელი ლარს ფროლანდერის მიერ ჩამორთმეული მსოფლიოს რეკორდი (23,19) დაიბრუნა — 23,11. ამისთვის კლიმს, რომელიც 200 მეტრზე თავისუფალი სტილით და 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში დიდ წყალში მსოფლიოს ჩემპიონია, თითქმის ცხრა თვე დასჭირდა.

კლიმი სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე 100 მეტრზე თავისუფალი და ამავე მანძილზე ბატერფლაით ცურვაში ოლიმპიური ოქროს მოპოვებას აპირებს. იგი კანბერაში რუს ალექსანდრ პოპოვთან ერთად ვარჯიშობს, რომელიც შვიდი წელია, ავსტრალიაში ცხოვრობს და მანაც ახლახან დაამყარა მსოფლიოს რეკორდი, ოღონდ პატარა წყალში.

გიგა გურასაშვილი

სკოტი მაიკი

სადაც მისულა, იქაური ქუდი დაუხურავს, უფრო ზუსტად კაბა ჩაუცვამს მაიკ ტაისონს, მანქანაზე ამძვრალა და საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნას ლამობს. თუმცა სრულიად შოტლანდიამ სხვა ვიღას უნდა უყუროს, დღეს ხომ ტაისონი და სავარეზე დაარტყამენ; ბათქაბუთქი ისეთი იქნება, გლაზგო ჯერ რომ არ მოსწრებია.

ორი ერთზე

ყვანჯის გადაწევაში მონაწილეთაგან მარცხნივ რომ არიან, არ ვიცნობთ, მავანი იმედისმომცემი ჰოკეისტები ჩანან, მარჯვნივ ჯეირდ ოლინია, ნჰლ-ში თამაშის მოსურნე ყმაწვილკაცი. მალე დრაფტი იწყება და ფიზიკური მზადყოფნის დემონსტრირება ოლინს ვინ იცის, როგორ წაადგეს...

წინ, საფრანგეთისთვის

ზანგ-არაბ-ყალმუხური ტრიო გარბის, არც ვინმესგან და არც ვიღაცის კვალზე; ჯერ ვარჯიშია უბრალოდ, მალე ევრო 2000-ული ომიც განახლდება და ეს წარმოშობით გადამთიელთა სამეული პირზე ღიმილით (იხილეთ იური ჯორკაეფი) თუნდაც მოკვდება ახალი სამშობლოს, საფრანგეთის ღირსებისთვის ბრძოლაში. ორი დანარჩენის გვარები ზიდანი და ანელკა გახლავთ.

ინფოგოგონა



კორეელი ისე რ
მომხიბლავი გოგონ
ახლებურ საცურაო
კოსტიუმ
წარმოადგენს; მის
მთავარი ღირსება
პაწია მიკროსქემებია
ადამიანის
ორგანიზმის შესახებ
მრავალფეროვანი
ინფორმაციის
მოპოვება რომ
შეუძლიათ
ინფორმაციაში
ტემპერატურა
ტენიანობა და
მისთანები
ვიგულისხმეთ
პრეზენტაციის
სეულში, მოდების
ჩვენებაზე ხდება
ხოლო ყოველივე
ამას სპორტთან ის
კავშირი აქვს, რომ
ამგვარი კოსტიუმები
საწყლოსნო სპორტის
ყველა სახეობისთვის
უაღრესად
გამოსადეგია.



ქალთა დღე

ბრიტანელები კლარა ცეტკინისეულ რვა მარტს არ სცნობენ, მათთვის ქალთა დღე 22 ივნისია, ოღონდ დავაზუსტოთ: ამ დღეს ალბიონზე „ლეიდიზ დეი“ ეწოდება, ფოტოზე აღბეჭდილი მანდილოსნები ასეთი უცნაური ქუდებით მორთულან და ინგლისურ ესკოტში მისულან, სადაც სუსტი სქესის პატივსაცემად დიდი დღი შემდგარა და ივი ვინმე შეიხ მუჰამედის არაბულას მოუგია. კმაყოფილი პატრონი გაქაფულ მერანს ცხვირზე მოფერებით აჯილდოებს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი პახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge